პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლომი

№ 284 (12 354)

5 დეკემბერი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუჯირიც კაიზერში?

ცქიტიშვილმა სამედიცინო შემოწმება გაიარა

ლევან ცქიტიშვილსა და „კაიზერსლაუტერნს" შორის მოლაპარაკება არც გუშინ შემდგარა. საქმე ისაა, რომ გერმანელები ჩვენიანის აგენტს ელიან. ამასობაში კი, ლევანმა **კეტილ რეკდალის** გუნდში კიდევ ერთხელ ივარჯიშა და სამედიცინო შემოწმებაც გაიარა. „კაიზერის" ოფიციალური ვებგვერდი და გერმანული სააგენტოები ცქიტიშვილის შესახებ გუშინ ახალს არაფერს წერდნენ. თუმცა საინტერესო ცნობები მოვიძიეთ კლუბის ფორუმზე. როგორც იქ წერია, „კაიზერსლაუტერნის" მრჩეველ **კლაუს ტოპმიოლერს** ზამთრისთვის გუნდის გაძლიერება სურს. კლაუსის სიაში კიდევ ერთი ქართველია. საუბარია **დავით მუჯირზე**. შეგახსენებთ, რომ მუჯირს სამარის „კრილიასთან" კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. ამასწინათ, დათომ „ლელოსთან" საუბარში აღნიშნა, რომ კლუბის შეცვლას აპირებდა, მაგრამ მას მერე, რაც სამარელთა ხელმძღვანელობა დაუკავშირდა, დარჩენაზე დაფიქრდა. საბოლოოდ, ეს საკითხი იანვრის დასაწყისში გადაწყდება. ჩვენ კი გერმანულ ამბებში გასარკვევად, მუჯირს დავუკავშირდით:

„მე არაფერი ვიცი, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის არავის დაურეკავს. პირველად, თქვენგან გავიგე „კაიზერსლაუტერნის" თაობაზე. წავალ თუ არა? რა გითხრათ... ისე, არა მგონია, „კრილიამ" გამიშვას".

დავით ცაბაძე



ჩვენ მეჯი შეგვიძლია

თემურ მახარაძეს დინამოზე საუბარი არ სურს 5

კობიმ ივარჯიშა

პირველი და ორჯერადი 5

რა ხდება ყენიას თავს? 5

ფაჩულიას მორიგი ჭრაკვმა 5



სელჩიკი დამარცხებულიც გავიდა

ᲓᲘᲜᲐᲛᲝ-ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ

ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲛᲐᲢᲩᲝ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ 2

ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲡᲔᲑᲘ 15

გუშინ, სან სიროზე. კალაძე მაკდონალდის წინააღმდეგ

www.kazbegi.com

გაზსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. XI (გადადებული) ტური. წინათქმა

www.pfl.ge

საშემოდგომო ფინალი ერთი თვის დაგვიანებით

2006 წლის 13 აპრილი. დინამო-ზესტაფონი 2:2

წესით ეს ტური ერთი თვის წინათ უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა პირველი წრის უმნიშვნელოვანესი დაპირისპირება პირველი წრის ბოლოსთვის გადმოიტანა. "დინამოსა" და "ზესტაფონისთვის" სასწორზე ძალიან ბევრი რამ დევს, ბუნებრივია, სეზონის პირველი ნახევრის ამაღლებულ განწყობაზე დასამთავრებლად სხვა გუნდებიც იბრძოლებენ.

14:00 ამერი-ვიტ ჯორჯია

5 დეკემბერი. თბილისი. ამერი

საპარაულო შემადგენლობები

ამერი: ქვაჩახია, დიდავა, კაკაშვილი, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, დოლიძე, დობროვოლსკი, დეკანოსიძე, ჯელაძე, ტატანაშვილი, რ. გოცირიძე

დისკვალიფიკაცია: *დავითნიძე, ბოლქვაძე*

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, ბეჭვაია, კლიმიაშვილი, მელქაძე, გელაშვილი, სახოკია

დისკვალიფიკაცია: **რაზმაძე, ბერიაშვილი, მიქაბერიძე**

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

 დღევანდელი დღის შეხვედრებიდან გლდანური ბრძოლა ყველაზე საინტერესოა. მესამე საფეხურზე მყარად მყოფი "ვიტ ჯორჯია" დღესაც სეეცდება წარმატებული სვლის გაგრძელებას და თუ გაიმარჯვა, ჩამორჩენას მინიმუმ ერთ ლიდერთან შეამცირებს. თუმცა ცხადია, ამის გაკეთება ვეტერინარებს ძალიან გაუჭირდებათ, "ამერმა" მარცხის მიუხედავად, წინა ტურში "ზესტაფონთან" არცთუ ურიგოდ ითამაშა და თასის მფლობელები ყველაფერს იღონებენ საიმისოდ, რომ ზამთრის შესვენების წინ ხასიათი ოდნავ მაინც გამოიკეთონ.

14:00 ბორჯომი-ოლიმპი

5 დეკემბერი. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი

საპარაულო შემადგენლობები

ბორჯომი: გლუნჩაძე, თ. ღონღაძე, ლ. მერებაშვილი, ლ. ჭელიძე, ქარქოზაშვილი, მემარნიშვილი, შ. გრიგალაშვილი, ბაბუნაშვილი, ნერგაძე, კ. ხანიშვილი, შ. ჯიქია

დისკვალიფიკაცია: *აკობია*

ოლიმპი: მერლანი, ორბელაძე, აკუასაგა, მახვილაძე, სილაგაძე, ნავალოვსკი, დევდარიანი, გენაძე, დვალიშვილი, კახელიშვილი, რ. ჯიქია

არბიტრი: პ. დოგრაშვილი

უჭუალო კონკურენტთა შეხვედრაა, რაც თავისთავად ნიშნავს ინტრიგასა და ეშხიანი ორთაბრძოლის მოლოდინს. ამ მატჩში ნებისმიერი შედეგია მოსალოდნელი, წესით, სტადიონზე დამსწრე გულშემატკივარმა არ უნდა მოიწყინოს.

14:00 სპარტაკი-ლოკომოტივი

5 დეკემბერი. გორი. ქართლი

საპარაულო შემადგენლობები

სპარტაკი: ქვილითაია, ბახტურიძე, ქემოკლიძე, ხაჭიპერაძე, კ. ავალიანი, მამუკაშვილი, ჩირიკაშვილი, თარხნიშვილი, გოგოხია, ძარია, ჯანელიძე

ლოკომოტივი: გვარამაძე, დ. ფოფხაძე, ლაღაძე, გ. კვახაძე, მალიჩავა, გულორდავა, დ. ჩაგელიშვილი, სამხარაძე, მ. ჟღენტი, ბარბაქაძე, იმედაძე

დისკვალიფიკაცია: *გუშარაშვილი, ხოხონიშვილი, ლ. ჩაგელიშვილი*

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

პირველი წრე დიდი წარმატებით ვერც "სპარტაკმა" ჩაამთავრა და ვერც "ლოკომოტივმა". წესით, მეტოქეთათვის ფრე მისაღები შედეგი არ უნდა იყოს, რაც უშელავათო ბრძოლის მომასწავებელია. ლოკომოტიველები უსიამოვნო ტრადიციას აგრძელებენ და ვინ მოსთვლის, უკვე მერამდენე მატჩს ხვდებიან დისკვალიფიცირებულთა სიმრავლით.

14:00 ბათუმი-მესხეთი

5 დეკემბერი. ბათუმი. ადელი

საპარაულო შემადგენლობები

ბათუმი: თოთლაძე, ვ. კუნჭულია, გალოგრე, თედორაძე, მაკარიანი, ოქრუაშვილი, ცანავა, კ. მახარაძე, დარჩიძე, ბეჟანიძე, კაკალაძე

მესხეთი: სომხიშვილი, ვ. აკოფიანი, კობესაშვილი, ძამსაშვილი, მ. ღონღაძე, ინასარიძე, გ. თურმანიძე, ზ. ჩხეტიანი, გვირჯიშვილი, აფრიამაშვილი, კაიდარაშვილი

დისკვალიფიკაცია: *ლეკოშვილი, მ. თაყაძე*

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

რამდენიმე დღის წინათ ბათუმელებმა ჩემპიონატში პირველი გამარჯვება იზეიმეს და სამი ქულის მოპოვების შანსი დღესაც აქვთ. "მესხეთმა" კი ბოლო ტურებში თამაშს მოუკლო და სატურნირო მარაგის შევსება ახალციხელებსაც არანაკლებ სჭირდებათ.

14:00 დინამო-ზესტაფონი

6 დეკემბერი. თბილისი. ეროვნული

საპარაულო შემადგენლობები

დინამო: ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობეში, ხმალაძე, დიმელაშვილი, გ. მერებაშვილი, ხუციშვილი, სპასოევიჩი, აკირემი

ზესტაფონი: ჭანტურია, საჯაია, ს. თოდუა, ლობჟანიძე, კ. ჩხეტიანი, ჟონატასი, კესანი, რ. ონიანი, გ. ნუგ. ჭელიძე, ბ. გოცირიძე, გ. ნოდ. ჭელიძე

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

პირველი წრის არაოფიციალურ ფინალს ქართველი გულშემატკივარი კარგა ხანია, მოუთმენლად ელის. როგორც იქნა, "დინამო"-"ზესტაფონი" მოახლოვდა, რომელმაც ძალიან ბევრ კითხვას უნდა გასცეს პასუხი. აქამდე ორივე გუნდი თითქმის უდანაკარგოდ მოვიდა და ვნახოთ, რომლის ამბიციები უფრო რეალურია. შეგახსენებთ, "ზესტაფონი" მხოლოდ დუშან უჭრინს კი არა, ჩეხი სპეციალისტის კიდევ რამდენიმე წინამორბედს ვერ დაუმარცხებია. ბოლოს "დინამომ" ფეროელებს 2004 წელს სძლია. წინა ტურში იმერლებმა გლდანში იმარჯვეს, მრავალგზის ჩემპიონებმა კი შინ "დილა" გაანადგურეს. დღეს ორივე გუნდი ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშებს.

14:00 სიონი-მგლები

6 დეკემბერი. ბოლნისი. თ. სტეფანია

საპარაულო შემადგენლობები

სიონი: ბობღლიაშვილი, ქურასბედიანი, სვანიძე, ბოიომო, რაქვიაშვილი, კვიტაიშვილი, ბაჯელიძე, ოქროპირიძე, ნადირაძე, სანიკიძე, ჩასემი

მგლები: ივარდავა, ქომეთიანი, ხუხია, მაჭავარიანი, კაკაბაძე, ქირია, ჯოჯუა, ხუბუა, წურწუმია, ბაკარანძე, ჭედია

არბიტრი: ლ. სილაგავა

"სიონს" რამდენიმე გუნდზე უკეთესი შედეგი აქვს, დღეს გამარჯვების შემთხვევაში კი ქვემოქართლელები სახიფათო ზონას კიდევ უფრო დიდი მანძილით დასცილდებიან. "მგლებზეც" იგივე შეიძლება ითქვას, თუმცა ზუგდიდელთათვის ბოლნისური ფრეც არ უნდა იყოს მიუღებელი შედეგი.

14:00 მერანი-დილა

6 დეკემბერი. თბილისი. მერანი

საპარაულო შემადგენლობები

მერანი: თევდორაძე, სარალიძე, თ. კობიაშვილი, გიგაური, ლოლაძე, ჯანგიტ, კობერიძე, ტყეშელაშვილი, ლომაშვილი, ბ. ჟრენტი, იაგო დეისაძე

დილა: **კეჩხუაშვილი, ბალიაშვილი, დ. ხანიშვილი, ლაცაბიძე, ბალაშვილი, სადაღაშვილი, ნ. ნოზაძე, სულთანიშვილი, შატაკიშვილი, სამადაშვილი, ბ. ჩიტაია**

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

მატჩს ორივე გუნდისთვის ზეპრინციპული მნიშვნელობა აქვს. სადღეისოდ, "მერანიცა" და "დილაც" გასავარდნ ზონაში არიან და სამი ქულა ჰაერივით სჭირდებათ.

ლევან ჯანეზაშვილი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ზესტაფონი	12	11	1	0	26-4	34
2. დინამო	12	11	0	1	33-4	33
3. ვიტ ჯორჯია	12	9	1	2	22-8	28
4. ბორჯომი	12	7	3	2	17-9	24
5. ოლიმპი	12	7	2	3	13-8	23
6. ამერი	12	7	0	5	21-13	21
7. მესხეთი	12	5	2	5	13-16	17
8. მგლები	12	5	0	7	13-16	15
9. სიონი	12	3	3	6	13-16	12
10. ლოკომოტივი	12	3	0	9	8-19	9
11. სპარტაკი	12	2	3	7	3-14	9
12. მერანი	12	2	1	9	6-23	7
13. დილა	12	1	3	8	7-23	6
14. ბათუმი	12	1	1	10	4-26	4

ბომბარდირები

ხუციშვილი (დინამო)	9
გ. მერებაშვილი (დინამო)	8
გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტაფონი)	8
ბელაშვილი (ვიტ ჯორჯია)	7
აკირემი (დინამო)	6
სპასოევიჩი (დინამო)	6
რ. ჯიქია (ოლიმპი)	6
ჟედია (მგლები)	6
შ. ჯიქია (ბორჯომი)	6
ბატანაშვილი (ამერი)	5

ვიტ ჯორჯიასთან მატჩს ამერის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბოლქვაძე გამოტოვებს

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



2006 წლის 13 აპრილი. დინამო-ზესტაფონი 2:2. გადამწყვეტი მომენტები ამ შეხვედრაში. იაშვილის გაცუდებული პენალტი და გოცირიძის გამთანაბრებელი გოლი

პარალელური რეჟიმით...

ბოლო წლებია „დინამოსა“ და „ზესტაფონის“ დაპირისპირებებს „ტურის მატჩად“ ვნათლავთ; მაგრამ, ხვალ ამ გუნდების შეხვედრას არა მარტო ტურის, არამედ პირველი წრის ცენტრალური მატჩიც შეიძლება ვუწოდოთ. მეტსაც ვიტყვით: შესაძლოა, სეზონის ერთ-ერთი გადამწყვეტი მატჩიც გამოდგეს! და, იმის მიუხედავად, რომ ჩემპიონატის დასრულებამდე ორივე გუნდს წინ კიდევ მეორე წრე ელოდება...

...არავისთვის იყო (და არის კიდეც) მოულოდნელი ის ფაქტი, რომ მე-19 ჩემპიონატის „სალიდერო რბოლაში“ სწორედ „ზესტაფონი“ და „დინამო“ ჩაერთვნენ. ისიც ლოგიკურია, რომ დღეს-დღეობით ცხრილის სათავეში ეს ორი გუნდი მოკალათებულა და, ალბათ, სეზონის ბოლომდეც გაგრძელდება „ზესტაფონისა“ და „დინამოს“... „პარალელურ რეჟიმში“ ასპარეზობა. ეს იმას გულისხმობს, რომ ხვალინდელ მეტოქეებს სხვა გუნდებთან ქულების დაკარგვის უფლება არა აქვთ; აი, ერთმანეთთან კი, რაც შეიძლება, მაქსიმალურ შედეგს უნდა მიაღწიონ. არადა, ბოლო წლების სტატისტიკა აშკარად „ზესტაფონის“ მხარესაა - უკანასკნელი ექვსი მატჩიდან 3 მოგება და 3 ფრე (სათასო მატჩების ჩათვლით). ცალკე სასაუბრო თემაა „ზესტაფონის“ მთავარი მწვრთნელის **თემურ მახარაძისა** და... „დინამოს“ დაპირისპირება. მოკლედ, შესავალი, ვატყობთ, გაგვიგრძელდა და ალბათ, ჯობია, რომ ხვალინდელი მეტოქეების ბოლო მატჩები და სხვა „რაღაცეებიც“ გავიხსენოთ...

„ზესტაფონი“ ამ ჩემპიონატში რომ დაუმარცხებლად ასპარეზობს, ყველამ იცის; ეს კი, რაღა თქმა უნდა, ფეხბურთელებთან ერთად მთავარი მწვრთნელის - **თემურ მახარაძის** უდიდესი დამსახურებაა. მაგრამ, ისიც გვინდა შევახსენოთ ფეხბურთის გულშემატკივრებს, რომ ეროვნულ ჩემპიონატში „ზესტაფონისა“ და თემურ მახარაძის ნაუგებელი სერია უკვე ნელინადზე მეტს ითვლის! ჰო, შარშან 9 სექტემბრიდან მოყოლებული მახარაძის დამოძღვრილ გუნდს ჩემპიონატში თამაში არ ნაუგია! აქვე, ცოტა არ იყოს, ალოგიკურად გვეჩვენება ის ფაქტი, რომ წინა ჩემპიონატში ეს გუნდი უტიტულოდ დარჩა... თუმცა დავუბრუნდეთ თემურ მახარაძის ფაქტორს; ადრეც არაერთხელ გვითქვამს და კვლავაც სიამოვნებით გავიმეორებთ: ამ გამოცდილ სპეციალისტს რომელ გუნდშიც უმუშავია, ყველგან შედეგი ჰქონდა. და აქვე მისი სამწვრთნელო მოღვაწეობის ორი „აუცილებელი“ მომენტიც: ჯერ ერთი, ნებისმიერ გუნდში შედეგის მიღწევიდან ძალიან მალე... კარისკენ უთითებდნენ; მეორე და მნიშვნელოვანი კი ის იყო (და არის), რომ თითქმის ყოველთვის ახერხებდა „დინამოს“ დამარცხებას. ასე იყო „მერანში“, „სიონში“, „ლოკომოტივსა“ თუ „ვიტ ჯორჯიაში“ მუშაობის დროს; და, ასე გაგრძელდა „ზესტაფონშიც“ - წინა სეზონში „დინამომ“ თავის პრინციპულ მეტოქესთან ორ მატჩში მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა. დიდწილად ამის გამოც იყო, რომ საჩემპიონო ზეიმი რუსთავში იყო და არა - ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდის ბანაკში. საერთოდაც, „დინამოს“ რაღაც კომპლექსიც გაუჩნდა „ზესტაფონის“ მიმართ - სტუმრად ბოლოს ხუთი წლის წინ რომ მოუგო. ეგ კი არა, დინამოელებს ზესტაფონში გოლის გატანაც სანატრელი აქვთ...

...ხვალინდელი მეტოქეების ორივე შარშანდელ მატჩს დიდი აჟიოტაჟი ახლდა. რაღა თქმა უნდა, ორივე ის შეხვედრა ტურის ცენტრალურ მატჩად შევრაცხეთ; და, რაც მთავარია, ორივე მატჩი უაღრესად დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა.

მოდით, ჯერ პირველი წრის დაპირისპირება გავიხსენოთ, რომელიც 2006 წლის 23 სექტემბერს ზესტაფონში გაიმართა. იმასაც შეგახსენებთ, რომ წინა ჩემპიონატი ორივე გუნდმა არცთუ სახარბიელოდ დაიწყო და მწვრთნელების შეცვლაც, ალბათ, ამით იყო განპირობებული. თემურ მახარაძე ორი კვირის მისული იყო „ზესტაფონში“, „დინამოში“ კი სულაც სადებიუტო მატჩი ჰქონდა **დუშან უჰრინს!** ვაღიაროთ: **ივო შუშაკს** თუ არ ჩავთვლით, ასეთი დონის უცხოელი სპეციალისტი ქართულ საკლუბო ფეხბურთში მანამდე არც გვყოლია. ჩეხ მწვრთნელს უდიდესი საერთაშორისო გამოცდილება უმაგრებდა ზურგს და „დინამოში“ მიწვევა ამ კლუბის ხელმძღვანელთაგან დაკარგული პოზიციების დაბრუნებას ისახავდა მიზანს. სამწუხაროდ, უჰრინს ძალიან ცოტა დრო ჰქონდა „დინამო“ რომ კარგად „გაეცნო“ და, ალბათ, სადებიუტო მატჩში დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო. ჰო, თემურ მახარაძე „ხმაურით“ დაბრუნდა „ზესტაფონში“ - 7 000-მდე ერთგული გულშემატკივრის წინ მერამდენედ შესძლო „დინამოს“ დამარცხება! შეხვედრის ერთადერთი გოლი კი 64-ე წუთზე წინა ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო მცველმა **შალვა ღონღაძემ** გაიტანა თავური დარტყმით. ძალიან საინტერესო შეხვედრა იყო: ორმხრივი იერიშებითა და ხისტი ორთაბრძოლებით; **ლევან ფანიაშვილმაც,** როგორც სჩვევია, პრინციპულად და ობიექტურად იმსაჯა...

არანაკლებ საინტერესო და, რაც მთავარია, დრამატული გამოდგა ამ გუნდების მეორე წრის მატჩიც. თუმცა, ამ შემთხვევაში გუნდებს განსხვავებული სატურნირო მოტივაცია ამოძრავებდათ: „ზესტაფონს“ ძირითადი აქცენტი თასზე ჰქონდა გადატანილი, ხოლო „დინამო“ რუსთავის „ოლიმპთან“ ერთად ჩემპიონობაზე აცხადებდა პრეტენზიას. საერთოდაც, უჰრინის ხელში „დინამო“ ნელ-ნელა ათამაშდა და მეორე წრეშიც შთამბეჭდავი სტარტი აიღო: ზედიზედ ექვსი გამარჯვებით ოქროს მედლების რეალური კანდიდატიც გახდა. რაღა რჩებოდა - 5 მაისს რუსთავში უშუალო კონკურენტ „ოლიმპთან“ მატჩი; მაგრამ, მანამდე უჰრინის გუნდს არცერთ სხვა გუნდთან ქულების დაკარგვის უფლება არ ჰქონდა. ჰო, არცერთ სხვასთან, მაგრამ ერთ-ერთი რომ „ზესტაფონი“ იყო? და აი, 13 აპრილიც მოვიდა და, მართლაც, საწყენი იყო, რომ „დინამო“-“ზესტაფონის“ იმ ლამაზ სანახაობას ტრიბუნიდან მხოლოდ 1000-მდე კაცი უცქერდა. ამ მატჩში ყველაფერი იყო: მოულოდნელი დასაწყისი, როცა **ზურაბ იონანიძის** ზუსტი პასის მერე **გიორგი ჭელიძემ** (ნუგზარის ძმე) ეფექტური დარტყმით ანგარიში გახსნა; „დინამოს“ მიერ ტერიტორიული უპირატესობის მოპოვება და ზედიზედ რამდენიმე მომენტი **გრიგოლ ჭანტურიას** კართან; მერე კი ორწუთიანი კოშმარი სტუმართათვის - დროის ამ მოკლე პერიოდში ჯერ **სანდრო იაშვილის** ზღაპრული თავური დარტყმა ვიხილეთ,შემდეგ კი **გიორგი ფეიქრიშვილმა** დაასრულა თანაგუნდელთა მრავალსვლიანი კომბინაცია (**გიორგი მერებაშვილის** უდიდესი დამსახურებით)! მეორე ტაიმში „დინამოს“ ნამდვილად არ უცდია ანგარიშის შენარჩუნება და აი, 64-ე წუთზე, მატჩის კულმინაციაც დგება: მერებაშვილის წაქცევისათვის მატჩის არბიტრმა ლევან ფანიაშვილმა სტუმართა კარში ასპროცენტიანი პენალტი დანიშნა. ბურთთან ვინ მივიდოდა, თუ არა სანდრო იაშვილი - იმ მატჩის კი არა, საერთოდ მთელი ჩემპიონატის გამორჩეული მოთამაშე. გაიტანდა „იაშკა“ გოლს და ნამდვილად ძნელი წარმოსადგენი იყო, სტუმრებს ორბურთიანი ჩამორჩენა რომ აღმოეფხვრათ. მაგრამ, „დინამოსა“ და საერთოდ, ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის და ბომბარდირის დარტყმა არაზუსტი აღმოჩნდა...

და მაინც, „დინამოს“ თამაში გამარჯვებამდე და მეტად და მეტად ძვირფას სამ ქულამდე მიჰყავდა. თუმცა სტუმრები მარცხს არ ეგუებოდნენ და ბოლო წუთებზე „დინამოს“ მეკარემ **სოსო გრიშიკაშვილმა** ორი ურთულესი ბურთიც მოიგერია. თემურ მახარაძე შეცვლებით შეეცადა თამაშის გადარჩენას და ბოლო შვიდი-რვა წუთი „ზესტაფონი“ ორი ნომინალური მცველით თამაშობდა. და აი, როცა მსაჯის დამატებული წუთებიც იწურებოდა, თავი სწორედ შეცვლაზე შემოსულმა ფეხბურთელებმა გამოიჩინეს: მრავალსვლიან კომბინაციაში **ბექა ნოზაძე** და **ნიკა კვასხვაძე** მონაწილეობდნენ (ზურაბ იონანიძესთან ერთად), ბოლოს კი ყველაფერი **ბექა გოცირიძის** ლამაზი და ზუსტი დარტყმით დასრულდა; ისე, როგორც „დინამოს“ საჩემპიონო შანსებიც... რა თქმა უნდა, ეს მერე გამოჩნდა, მაგრამ, ალბათ, მიზანში გავარტყით, როცა ვივარაუდეთ, რომ სეზონის ფინიშისკენ გოცირიძის გოლს სხვა ფასი „დაედებოდა“. ეგ კი არა, მატჩის მეორე დღეს ჩვენი გაზეთის პირველ გვერდზე სწორედ ეს სათაური გამოვიტანეთ: „რა ფასი ექნება ამ გოლს?“..

...ჯერ პირველი წრეც არ დასრულებულა, მაგრამ, ხვალინდელ შეხვედრას მაინც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ერთმანეთს ხომ საქართველოს ორი საუკეთესო გუნდი ხვდება?!. თანაც, კვლავაც არავინ იცის, ამ მატჩში მოპოვებულ ქულებსა თუ გატანილ გოლებს სეზონის ბოლოსკენ რა ფასი ექნება...

გია ტუხაშვილი

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ჟონატასი დიდავას წინააღმდეგ

ინერვიუ ჟონატას ოლივეირა ტორესთან

ევროპიდან ბავშვური შეცდომების გამო წამოვედი

ჟონატას ოლივეირა ტორესი წლეულს, იანვარში ჩაირიცხა „ზესტაფონში“ და ნელ-ნელა გამოჩნდა, იმერულ გუნდს რა ძალა შეემატა.

საქართველოში ბევრი თვითმარქვია გვინახავს, რომლებიც ნიგერიის, კამერუნის თუ სხვა ქვეყნის ეროვნული ნაკრების ყოფილ წევრებად ასაღებდნენ თავს და მერე რეალური სახე გამოაჩინეს.

ჟონატასის ჩამოსვლამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ის „ბარსელონას“ დუბლებში და იტალიაში თამაშობდა, ასეთები კი საქართველოს ჩემპიონატში ჯერ არ გვინახავს. ხომ არ იყო ეს ბლეფი? ასეთი ეჭვები თავიდანვე გამოირიცხა, რადგან ბრაზილიელი ლეგიონერი **გოჩა ალადაშვილმა** ჩამოიყვანა, რომელიც საფეხბურთო სამყაროში კეთილსინდისიერი კაცის რეპუტაციით სარგებლობს.

ჩვენი საუბარი ამ კითხვით უნდა დაგვეწყო, მაგრამ... გაგეცინებათ და აღმოჩნდა, რომ „ზესტაფონის“ ბრაზილიელი ლეგიონერი საკმაოდ კარგად საუბრობს ქართულად. მთლად გამართულად არა, მაგრამ თარჯიმანი არ დაგვჭირვებია.

- ჟონატას, ქართული ასე მალე როგორ ისწავლე?

- ბიჭებმა მასწავლეს. პორტუგალიური აქ არავინ იცის და სხვა რა გზა იყო. ისე, ესპანური, იტალიური და ცოტა ინგლისური ვიცი.

- შენი ჩამოსვლისთანავე მსურდა მეკითხა, ბრაზილიელი, იტალიასა და „ბარსელონაში“ ნათამაშევი, ვისაც შეგეძლო სულ მცირე შვეიცარია-ავსტრიაში უზრუნველად თამაში, საქართველოში რამ ჩამოგიყვანა?

- მაშინ თავში პრობლემები მქონდა (იცინის). მე ბრაზილიაში თითქმის არ მითამაშია. 16 წლის ბიჭი წავედი ევროპაში, სხვათა შორის, ჯერ იტალიაში ჩავედი და სამი გუნდი შევიცვალე, თავიდან „სამდორიაში“ ჩავირიცხე, შემდეგ „ვერონაში“ გადავედი, ბოლოს კი „კომოში“ მიმიწვიეს. „ბარსელონა“ ამის შემდეგ იყო, თუმცა, 19 წლისა იქიდანაც წამოვედი. ხომ გითხარით, თავქარიანი ვიყავი.

მერე დავოჯახდი, შვილები გვეყოლა და ამის მერეღა დავფიქრდი, რომ ძალიან დიდი შანსი დავკარგე. დღემდე ვერ მიპატიება თავისთვის, რატომ არ დავრჩი იტალიაში, ან ესპანეთში.

- ბრაზილიაში თითქმის არ გითამაშია?

- ბავშვთა გუნდში ვიყავი, ძალიან ცოტა ხანი ვითამაშე და წამიყვანეს. მაშინ სელექციონერებს ჩემი დიდი იმედი ჰქონდათ.

- საქართველოს ჩემპიონატზე რას იტყვი?

- საკმაოდ ნორმალური თამაშებია. მაღალი დონის ნამდვილად არაა. ევროპაში გაცილებით ძლიერი გუნდები და ფეხბურთელები არიან, მაგრამ აქ ბევრი ტალანტია და თამაშიც არაა იოლი.

- ბრაზილიის ჩემპიონატის რომელ ლიგას შეადარებ აქაურ პირველობას?

- სადღაც შტატების ჩემპიონატის მეორე ლიგას. ბრაზილიაში ძალიან ძლიერი კლუბები არიან.

- „ამერთან“ მოგებით პირველი წრის ჩემპიონობისკენ დიდი ნაბიჯი გადადგით...

- მე ასე ვიტყოდი, „ამერთან“ თამაში იყო პირველი წრის ნახევარფინალი, „დინამოსთან“ კი ფინალი გველის. ჩვენ ძლიერი გუნდი გვყავს და ჩემპიონები უნდა გავხდეთ.

- შენი თანაგუნდელი სანტოსის შემზარავმა ისტორიამ მთელი საქართველო აღაშფოთა. ალბათ, აქეთ დაბრუნებაზე არც ფიქრობს.

- ეს ძალიან ცუდი ფაქტი იყო. სანტოსი ყველას შეგვეცოდა. ის კარგი ბიჭია და ასეთ დამოკიდებულებას არ იმსახურებდა. თუმცა რას აპირებს, არ ვიცი. ის ბრაზილიაში რომ ნავიდა, მას შემდეგ არ გვქონია კავშირი. დაიკარგა, მისი ტელეფონიც კი არ ვიცი.

- თავად საქართველოში როდემდე რჩები?

- ევროპაში დაბრუნება მინდა, იტალიაში ან ესპანეთში. თუმცა ჯერ რეალური წინადადება არ მიმიღია.

- ბრაზილიელი, ცენტრალური ნახევარმცველი ხარ. რომელი უფრო მოგწონს, კაკა თუ რონალდინიო?

- კაკა უფრო მიყვარს, ის ბრაზილიის ნაკრებისთვის უფრო სასარგებლოა და ყოველთვის მოტივირებულია. რონალდინიოც ძალიან მიყვარს, ყველა ბრაზილელმა ვიცით, რომ გულიანი ადამიანია, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატზე ხომ ნახეთ, ვერ ითამაშა.

მერაბ მამულაშვილი

ინტერვიუ თემურ მახარაძესთან

დინამოზე საუბარი არ მსურს

ჩვენ მეტი პოტენციალი გაგვაჩნია

თემურ მახარაძე ოლიმპს უმიზნებს. ის ორჯერ გაუშვეს „ზესტაფონიდან“, მაგრამ გუნდის პრეზიდენტი ილია კოკაია ბოლოს მიხვდა - ღირდა ამ გამოცდილი სპეციალისტის ნდობა. არც შემცდარა, როგორც იქნა, დიდი პოტენციალის გუნდმა ძალა მხოლოდ წლეულს გამოაჩინა და ჩემპიონატს ლიდერობს.

დარჩა პირველი წრის ფინალი - „დინამო“-“ზესტაფონი“. ჩვენ მეთორმეტე ტურის საუკეთესო მწვრთნელს, თემურ მახარაძეს ვესაუბრებით. მისმა გუნდმა თბილისში „ამერის“ დამარცხებით 6 დეკემბრის შეხვედრას უდიდესი მნიშვნელობა შესძინა.

- „დინამომ“ და „ზესტაფონმა“ წლეულს დიდი ბრძოლა წამოიწყეთ. „ამერთან“ შეხვედრა ამ კუთხით უმნიშვნელოვანესი იყო. სხვა თუ არაფერი, თავად „ამერია“ თქვენი ერთ-ერთი სერიოზული მდევარი.

- მთავარია, რომ სამი ქულა მოვიპოვეთ. „ამერი“ სერიოზული მოწინააღმდეგეა. ის ლიდერთა ჯგუფშია და ეს მატჩი ძალიან ბევრს წყვეტდა და არა მარტო ჩვენთვის.

- „ამერისთვის“ ეს ნაკლები მნიშნელობის თამაში არ იყო. შეიძლება ითქვას, რომ ის უკვე ჩემპიონობაზე ოცნებას დაემშვიდობა?

- ვფიქრობ, ჩემპიონობისთვის ბრძოლას ერთი სოლიდური კონკურენტი მართლა გამოაკლდა. მიუხედავად იმისა, რომ წინ მეორე წრეა, ჩვენ და „დინამოს“ სხვა ლიდერები ამ ეტაპისთვის დიდი სხვაობით ჩამოგვრჩნენ.

- „დინამოსთან“ შეხვედრა მოახლოვდა. პირველი წრის ჩემპიონობისთვის ფრეც გყოფნით.

- ეს თემა დროებით დავხუროთ. თამაშამდე ამაზე საუბარი არ მსურს.

- თუმცა ფაქტია, რომ მთელი პირველი წრე თქვენ და დუშან უჰრინი ერთმანეთთან დაპირისპირებისთვის ემზადებით.

- ყველა შეხვედრა მნიშვნელოვანია, მაგრამ „დინამოსთან“ მართლა განსაკუთრებულია.

დღეს ცხრილის თავში ვართ, თუმცა მიმაჩნია, რომ „ზესტაფონს“ გაცილებით მეტი პოტენციალი გააჩნია. მეორე წრეში კიდევ უფრო დიდი ბრძოლა იქნება და ჩვენც კიდევ უფრო უნდა გავძლიერდეთ. ვფიქრობ, უფრო უკეთესი გუნდი გვეყოლება. თავად განსაჯეთ, „ამერთან“ შეხვედრის განაცხადში გვყავდა ექვსი ისეთი ფეხბურთელი, რომლებსაც ზაფხულში ჩვენთან ერთად მოსამზადებელი ეტაპი არ გაუვლია - ორივე ჭელიძე, უჩა ლობჟანიძე, ბექა გოცირიძე, ჟონატასი და ახლახან ჩამოსული ბიტოო. მეორე წრისთვის ისინი გაცილებით უკეთ ათამაშდებიან და ესაა ჩვენი პოტენციალი.

- პოტენციალი უდავოდ გაგაჩნიათ. თუნდაც, თავდასხმაში, ხუთი ძლიერი ფეხბურთელი გყავთ, გოცირიძე, ჭელიძე, ფიფია, ჩხეტიანი, იონანიძე. თუმცა ზოგიერთი ვერ თამაშობს და უკმაყოფილოც გეყოლებათ. როგორ აუხსნით უთამაშებელ ფეხბურთელს, რომ ეს საჭიროა, რომ მას ეს არ უნდა ეწყინოს?

- ეს მართლაც ძნელი საკითხია, ასახსნელადაც რთულია. ჩვენ მაღალი კლასის ფეხბურთელები გვყავს და თითოეულს თამაში უნდა. ვცდილობ, ეს პრობლემა როტაციით გადავჭრა. თითქმის ყველა თამაშობს და რაც მთავარია, „ზესტაფონს“ ყველა სჭირდება და სასარგებლოა.

მერაბ მამულაშვილი

თემურ მახარაძე

ფინალის მომენტი

თსუ სტუდენტური ჩემპიონია

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის მიერ ორგანიზებული ტურნირი მინიფეხბურთში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდის გამარჯვებით დასრულდა. თსუ-ს სტუდენტებმა ფინალურ მატჩში, რომელიც განსაკუთრებულად დაძაბული გამოდგა, ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი 2:1 დაამარცხეს და ჩემპიონები გახდნენ.

ასპარეზობა სპორტის აკადემიის მიმდებარე ტერიტორიაზე ხელოვნურსაფარიან მოედანზე გაიმართა და 5 დღე გაგრძელდა. მონაწილეობდა 8 გუნდი - ფინალისტების გარდა ორ-ორი ჭავჭავაძის და აგრარული უნივერსიტეტებიდან, ერთი სამედიცინო უნივერსიტეტიდან და ერთიც „აი ბი“.

ფინალში გასვლამდე, თსუ-მა და სტუ-მა ნახევარფინალში, შესაბამისად, „სამედიცინო უნივერსიტეტი“ - 4:2 და „ჭავჭავაძე 1“ - 7:1 დაამარცხეს.

ფინალურ შეხვედრას არც მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი აკლდა. მხარდამჭერები ორივე გუნდს ენერგიულად ამხნევებდნენ.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა პირველ ტაიმში ორი გოლის გატანა მოახერხეს და მატჩის 20 წუთიანი ნახევრის შემდეგ 2:0 დანინაურდნენ. მეორე ტაიმში უპირატესობას ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი ფლობდა, მაგრამ მხოლოდ ერთი ბურთის გატანა შეძლეს, თსუ-ს ბრწყინვალედ მოთამაშე მეკარემ მეტოქეს მეტი აღარ გაატანინა.

ტურნირის გამარჯვებულმა გუნდმა და ყველაზე გამორჩეულმა მოთამაშეებმა, საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის მიერ დაწესებული თასი და პრიზები მიიღეს. ფეხბურთელებს ჯილდოები საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა - **ნიკა ამაშუკელმა** და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე – **გია გალდავამ** გადასცეს. მათვე საჩუქრად მიიღეს საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების სიმბოლიკიანი კაშნეები, ბურთები, 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი საშინაო მატჩების აბონემენტები და ტელევიზორი გადაეცათ.

მეორე პრიზიორებს მაისურები ნარწერით „ჩვენ ერთი გუნდი ვართ“ და DVD გადაეცათ.

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად გამარჯვებული გუნდის კაპიტანი **გიორგი სოზაშვილი** დასახელდა, საუკეთესო მეკარედ **სანდრო დგვარელი,** ხოლო 10 გოლის გამტანი **გიორგი რუსიძე** საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ორივე ფეხბურთელი სტუ-დანაა.

გიორგი ჭანიშვილი
სპორტის დეპარტამენტის პრესცენტრი

გახსენი... ყაზბეგი

www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

U17. ამხანაგური მატჩი

ფრე პორტუგალიაში

ჰერბერტ ცანკერი

პორტუგალია-საქართველო 0:0

4 დეკემბერი. პორტუგალია. კასტროვერდე. 25 აპრილი. 100 მაყურებელი.

საქართველო: **ნადირაძე, ამაშუკელი, მირცხულავა, ფუტკარაძე, მამულაძე, (68. სიხარულია), ძალამიძე (73. ხარლამოვი), ჩელებაძე (41. ელიზბარაშვილი), ჯიშკარიანი (53. გულუა), შეყილაძე, ვაშაკიძე (53. გაბაშვილი), ჯიმშელეიშვილი.**

არბიტრი: ჟ. პერედა (პორტუგალია)

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები შემოდგომაზე დასაწყები შესარჩევი ტურნირისთვის ამთავითვე ემზადება. **ჰერბერტ ცანკერის** გუნდი ამჟამად პორტუგალიაშია, სადაც გუშინ პორტუგალიის 17-წლამდელთა ნაკრებთან პირველი ამხანაგური მატჩი გამართა.

მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. მართალია, ორივე გუნდს ჰქონდა გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ შეხვედრა საბოლოოდ უგოლოდ დასრულდა. ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ჩვენი გუნდიდან, მეკარე და კაპიტანი **გიორგი ნადირაძე** და მცველები **ბაქარ მირცხულავა** და **მინდია ფუტკარაძე** გამოირჩეოდნენ.

მე-10 წუთზე **ირაკლი შეყილაძე** მასპინძელთა საჯარიმოში მარცხნიდან შეიჭრა და ხელსაყრელი პოზიციიდან კარში ძლიერად დაარტყა, მაგრამ ბურთი მცირედით ასცდა მეტოქის კარს. 77-ე წუთზე კი იმავე შეყილაძემ ორი მცველი მოატყუა და კარში ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ პორტუგალიელთა მეკარემ შესაშური რეაქცია გამოავლინა და მოიგერია ბურთი. მასთან ყველაზე ადრე **კონსტანტინე გაბაშვილი** გაჩნდა და კარში დარტყმას შეეცადა, მაგრამ მცველებმა ბოლო ნამს მოახერხეს ვითარების განმუხტვას.

ჭაბუკთა ნაკრების გუშინდელ მატჩს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **პეტარ სეგრტიც** ესწრებოდა. ცანკერის გუნდის თამაშით ისიც მოიხიბლა და მატჩის შემდეგ აღნიშნა: *"ჩვენმა გუნდმა ჩინებულად ითამაშა. განსაკუთრებით აღსანიშნავი მცველთა შეთანხმებული მოქმედება გახლდათ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ბიჭების სახით საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ძლიერი ფეხბურთელები ეზრდება".*

ჩვენი 17-წლამდელთა ნაკრები დღეს მხოლოდ ვარჯიშით დაკმაყოფილდება. ხვალ, 6 დეკემბერს კი პორტუგალიელ თანატოლებთან კიდევ ერთ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. ეს მატჩი ბეჟაში "ფერნანდო მამედზე" თბილისის დროით 15 საათზე დაიწყება.

დავით ცაბაძე

პეტარ სეგრტი

U21. ამხანაგური მატჩი

სალუქსემბურგო შემადგენლობა ცნობილია

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები 12 დეკემბერს ლუქსემბურგის ახალგაზრდულ ნაკრებთან გასვლით ამხანაგურ მატჩს გამართავს. ამ თამაშისთვის, ჩვენი ახალგაზრდულის თავკაცმა **პეტარ სეგრტმა** ნაკრებში 19 ფეხბურთელს უხმო:

მეკარეები: **რევაზ თევდორაძე (მერანი), გიორგი ლორია (დინამო).**

მცველები: **ამირან სანაია (ლე მანი, საფრანგეთი), უჩა ლობჟანიძე (ზესტაფონი), გიორგი ნავალოვსკი, გიორგი ჩიხრაძე (ორივე ოლიმპი), გულვერდ თომაშვილი (დინამო), გიორგი ელბაქიძე, ზურაბ გვაძაბია (ორივე ამერი).**

ნახევარმცველები: **მირზა ბჟალავა (ლუშტენაუ, ავსტრია), გიორგი ხიდეშელი, ალექსი ბენაშვილი, მურთაზ დაუშვილი (ყველა ზესტაფონი), შოთა გრიგალაშვილი (ბორჯომი), ირაკლი კლიმიაშვილი (მესხეთი), ირაკლი შეყილაძე (ბაია).**

თავდამსხმელები: **ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), სანდრო კობახიძე (დინამო), ზაქარია ბეგლარიშვილი (ოლიმპი).**

როგორც ხედავთ ახალგაზრდულის შემადგენლობაში მცირედი ცვლილებაა. ამჯერად სეგრტის სიაში აღარაა იენის "კარლ ცაისის" ფორვარდი **რევაზ ბარაბაძე**, რომელმაც 20 ნოემბერს რუსეთთან საშინაო მატჩში დაგვამახსოვრა თავი. სანაცვლოდ მწვრთნელმა რუსთავის "ოლიმპის" თავდამსხმელი ზაქარია ბეგლარიშვილი გამოიძახა, რომელიც მანამდე 19-წლამდელთა ნაკრებში ასპარეზობდა.

ჩვენი გუნდი 9 დეკემბერს თბილისში, ტექნიკურ ცენტრ "ბასაში" შეიკრიბება და ერთ ვარჯიშს გამართავს. მეორე დღეს კი ლუქსემბურგში გაემგზავრება. ახალგაზრდულს თბილისში **გელა შეყილაძე, ოთარ გაბელია** და **სერგო კოტრიკაძე** ავარჯიშებენ. პეტარ სეგრტი და ლეგიონერები, "ლე მანის" მცველი ამირან სანაია და "ლუშტენაუს" ნახევარმცველი მირზა ბჟალავა, გუნდს ლუქსემბურგში შეუერთდებიან. თბილისში, 9 დეკემბრის ვარჯიშში მონაწილეობას არ მიიღებენ "ამერის" მცველი გიორგი ელბაქიძე და "ოლიმპის" მცველი გიორგი ნავალოვსკი. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ფეხბურთელთა გუნდები 9 დეკემბერს ერთმანეთს სუპერთასზე ხვდებიან. შესაბამისად ფედერაციამ კლუბების თხოვნა გაითვალისწინა და ფეხბურთელები ვარჯიშიდან გაათავისუფლა.

დაბოლოს, ლუქსემბურგ-საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებებს შორის მატჩი 12 დეკემბერს, სტადიონ "გრენგელ-ვალდზე", თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება.

დავით ცაბაძე

ლევან კობიაშვილი

ლეგიონერი

კობის პირველი და ორჯერადი

კუნთი ძვალს დასცილდა - ასეთი იყო ლევან კობიაშვილის ტრავმა, რომლის გამოც გელზენკირხენის „შალკესა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების შუახაზელ ლევან კობიაშვილს თითქმის სამი თვე გაუცდა. გუშინ კი მან პირველად ივარჯიშა გუნდთან ერთად სრული დატვირთვით.

- ტრავმის შემდეგ პირველად ვივარჯიშე გუნდთან. ყველაფერი კარგად წამივიდა და რადგან „შალკეს" ორჯერადი ვარჯიში ჰქონდა, მეორედაც ვივარჯიშე. ერთი სიტყვით, სრული დატვირთვებისთვის, როგორც იქნა, მზად ვარ, - გვითხრა კობიაშვილმა, ვისაც გუშინ შევეხმიანეთ გერმანიაში.

- თამაშს როდის შეძლებ?

- სეზონის პირველ ეტაპზე „შალკეს" სამი თამაში დარჩა - ორი ბუნდესლიგაში და ერთი ჩემპიონთა ლიგაში. შესაძლოა, ბოლო ორ თამაშში სამატჩო განაცხადში შემიყვანონ და შეცვლაზე მათამაშონ. სიმართლე გითხრათ, მირჩევნია, არ გავრისკო, ჩემთვის მთავარია, სეზონის მეორე ეტაპის წინ შეკრებაზე რომ წავალთ, ჯანმრთელად ვიყო და სრულყოფილად მოვემზადო.

დავით თავართქილაძე

ყენია ისევ შეაფერხეს

თითქმის ერთი თვეა, რაც 17 წლის **ლევან ყენია** თბილისის „ლოკომოტივიდან" გელზენკირხენის „შალკეში" გადავიდა „ხუმარათა" 19-წლამდელთა გუნდში სათამაშოდ, რომელიც 19-წლამდელთა ბუნდესლიგაში ასპარეზობს. თუმცა ყენიას გერმანული დებიუტი გაჭიანურდა.

შევიტყვეთ, რომ ყენიას ჯერ არ აქვს უფლება 19-წლამდელთა ბუნდესლიგაში სათამაშოდ - ფორმალობები ბოლომდე მოგვარებული არ არის. ალბათ გახსოვთ, რამდენიმე თვე გაიწელა ყენიას „შალკეში" გადასვლა სათანადო სახის ვიზის მიუღებლობის გამო. ყენიას „შალკეში" ჩარიცხვა და 19-წლამდელთა ბუნდესიგაში თამაში იურიდიულ დაბრკოლებების გამო შეფერხდა, რომელსაც წერტილი მალე დაესმევა - 19-წლამდელთა ბუნდესლიგის მორიგი ტური „შალკეს" 8 დეკემბერს აქვს და შესაძლოა ყენიას ბუნდესდებიუტიც მაშინ შედგეს.

დავით თავართქილაძე

ლევან ყენია

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL — ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;

CDN 955 — ტელეფონის დადგმა;

CDN 8-66 — კავშირი ყველგან და ყოველთვის;

GIGA — ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;

CDN — ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა სხვისგან გაუჭვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალენსია

აგრესია ფეხბურთელთა წინააღმდეგ

ვალენსიის ქომაგებმა მოთმინება დაკარგეს და მოთამაშეებს ბრძოლა გამოუცხადეს

გასულ კვირას „ვალენსიამ“ ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე ცუდი შეხვედრა ჩაატარა. „ღამურებმა“ საკუთარ სტადიონზე „ბილბაოსთან“ 0:3 წააგეს. აღსანიშნავია, რომ ბასკებს მესტალიაზე ზუსტად 20 წელი არ ჰქონდათ მოგებული. ამ ყველაფრის გათვალისწინებით გასაკვირი სულაც არ არის, რომ გულშემატკივრები გულსაკლავი სანახაობით უკიდურესად აღშფოთებულები დარჩნენ. თამაშის მსვლელობისას ფეხბურთელებს მათ ნამდვილი ჯოჯოხეთი მოუწყვეს. არ დარჩენილა ერთი მოთამაშეც კი, რომელსაც დედა არ აგინეს. „მესტალიის“ ტრიბუნები ფაქტობრივად, იქვე იწყება, სადაც მოედანი სრულდება. ამიტომ, „ღამურებს“ გარკვევით ესმოდათ, თუ როგორ ლანძღავდნენ მათ დედებსა და ცოლებს. გულშემატკივართა აგრესია არც საფინალო სასტვენმა და რამდენიმე დღის გასვლამ დააცხრო. დღე ისე არ ჩაივლის, რომელიმე ფეხბურთელის სახლთან გამწარებულმა ფანებმა არ მოიყარონ თავი და მათ ფანჯრებს ქვები არ დაუშინონ. როგორც ჩანს, ამ ფანებს ზუსტად აქვთ გათვლილი რამდენი წუთი სჭირდება პოლიციას გამოძახების შემდეგ შემთხვევის ადგილზე მისასვლელად. ყოველ შემთხვევაში, სამართალდამცველებმა აქამდე ერთი კაცის დაკავებაც კი ვერ შეძლეს.

ვალენსიური საფეხბურთო საზოგადოება შოკირებული დარჩა, როცა შეიტყო, რომ ვანდალებმა **დავიდ ვილიასაც** მიაკითხეს. ღამის 3 საათზე ფანებმა ღრიალი მორთეს. ისინი ფეხბურთელს ბოლო ხმაზე აგინებდნენ და ცდილობდნენ, ფანჯრები ჩაემსხვრიათ. ბანალური ისტორია ისევ განმეორდა. შეწუხებულმა მეზობელმა, თუ თავად ვილიამ პოლიციის ნომერი აკრიფეს, მაგრამ ხულიგნებმა მიმალვა მოასწრეს. როგორც მოგახსენეთ, ვალენსიური საფეხბურთო საზოგადოება დავიდის ისტორიით შოკირებული დარჩა. ისინი ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ამ ბედს გულშემატკივართა ერთ-ერთი უსაყვარლესი მოთამაშეც გაიზიარებდა. მაგრამ ცხოვრება მეტისმეტად ულმობელი აღმოჩნდა. კლუბის ხელმძღვანელობა საკუთარი მოთამაშეების უსაფრთხოებაზე ძალიან სერიოზულად ფიქრობს. **ხუან ბაუტისტა სოლერი** იმ დასკვნამდე მიდის, რომ სიტუაციის დაწყნარებამდე მათ პირადი მცველები დაუქირავოს.

აი, **რონალდ კუმანი** კი მიიჩნევს, რომ გუნდის მთელი ძალისხმევა შედეგების გამოსწორებისკენ უნდა მიიმართოს. ჰოლანდიელის თქმით, გაბრაზებულ ქომაგებს გამარჯვებებზე უკეთ პირადი მცველები ვერასოდეს დააშოშმინებენ. გამოსავლის პოვნის მოტივით, კუმანმა ფეხბურთელები შეკრიბა და დაახლოებით ორსაათიანი შეხვედრა გამართა. საუბრის დასრულების შემდეგ ბატონმა რონალდმა პრესისთვისაც მოიცალა. აი, რა განაცხადა მან: *„შევეცადეთ, მაქსიმალურად გულწრფელები ვყოფილიყავით. ვგონებ, ეს შევძელით კიდეც. ყოველ შემთხვევაში, მოსაზრებებს ერთმანეთს ღიად ვუზიარებდით. შევთანხმდით, რომ მეტი მუშაობა გვმართებს. აშკარაა, გუნდს პრობლემები აქვს. დავინტერესდი და გავაკრვიე, რომ ბიჭებს ჩემი მუშაობის სტილი ძალიან მოსწონთ და მიაჩნიათ, რომ ის წარმატებამდე აუცილებლად მიგვიყვანს... თუმცა ამ ეტაპზე ვიმეორებ, რომ სერიოზული პრობლემები გვაქვს. ჩემი აზრით, ამ ხარვეზების აღმოფხვრის ერთადერთი გზა უფრო მტი შემართებით მუშაობაზე გადის. თუ დღეს რაღაც არ გამოგვდის, ხვალ აუცილებლად უნდა გავაკეთოთ. ვიდეოჩანაწერები საგულდაგულოდ განვიხილეთ და აღმოვაჩინეთ, რომ ორთაბრძოლაში შესვლას წამით ვაგვიანებთ ხოლმე. ეს კი საკმარისი ხდება იმისთვის, რომ მეტოქემ ბურთი ჩაიგდოს და შემოგვიტიოს, ან საკუთარ კართან შექმნილი სახიფათო მომენტი განმუხტოს. თუ მეტს ვივარჯიშებთ და სისწრაფეს გავაუმჯობესებთ, პრობლემებს ბევრად უფრო იოლად გავუმკლავდებით. რა თქმა უნდა, ჩვენი შეხვედრა მხოლოდ ამ ერთი თემით არ ამონწურულა. ბევრ ისეთ საკითხზე ვისაუბრეთ, რომელთა შინაარს საჯაროდ ვერ გავახმაურებ. ეს ჩვენი გუნდის შიდა საქმეა. ბიჭებთან საუბარმა ოპტიმიზმი შემმატა. დავრწმუნდი, რომ მათ ბრძოლის სურვილი არ დაუკარგავთ. პირიქით, გულშემატკივრების აგრესიულმა გამოხდომებმა ისინი ძალიან გააღიზიანა და გადაანყვეტინა, რომ შესაძლებლობების დემონსტრირებით ყველა აგრესორი გააჩუმონ. აქვე შესაძლებლობით ვისარგებლებ და აგრესიულად განწყობილ ინჩასებს სიმშვიდისკენ მოვუწოდებ. მერწმუნეთ, თქვენი მეთოდები სიკეთეს არავის მოუტანს. თუ „ვალენსიის“ კეთილდღეობა გსურთ, ჯობს, გვერდში დაგვიდგეთ და გაგვამხნეოთ.“*



ჯერჯერობით, კუმანს არაფერი გამოსდის

გუშინ დღის ბოლოს ხუან ბაუტისტა სოლერის განცხადებას გამოქვეყნდა. პრეზიდენტი უკიდურესად შეშფოთებულია და ძალიან ეშინია, ფანების გამოხდომებმა პერმანენტული ხასიათი არ მიიღოს. კლუბის უმაღლესი ხელისუფალი უმორჩილესად ითხოვს, მოთამაშეებს თავს აღარ დაესხან და საშუალება მისცენ, მშვიდად იმუშაონ: *„გევედრებით, დამშვიდდით და ფეხბურთელებს თავი დაანებეთ. მესმის, რომ ძალიან გაბრაზებულები ხართ, მაგრამ ბედნიერებას არც ჩვენ ვგრძნობთ. უდავოა, „ვალენსიას“ პრობლემები აქვს, მაგრამ მათი გამოსწორება ერთმანეთის მტრობით არ მოხერხდება. დღეს ერთიანობა თუ დაგვაძლევინებს კრიზისს. რა თქმა უნდა, აგრესიული ქომაგების დაშოშმინების იმედად ვერ ვიქნებით. პოლიციის ხელმძღვანელ პირებს ვთხოვ, ფეხბურთელთა სახლებთან საპატრულო მანქანები მიავლინოს. ჩემი აზრით, აუცილებელია, რომ პოლიციელებმა ეს საქმე კონტროლზე აიყვანონ. თუ სამართალდამცველები შორიახლოს იმოძრავებენ, საიმისო ალბათობა გაიზრდება, რომ დამნაშავეები დააკავონ.“*

ილია ნიკოლაიშვილი

კატალონია სამუელ ეტოოს დაბრუნებას ელოდება

ბარსელონა

ეტოო ბრუნდება

დეკუც გამოჯანმრთელების გზაზეა. ამასობაში, კატალონიელთა ბაზაზე მორიგი ინციდენტი მოხდა...

„ბარსელონის“ გულშემატკივრებმა სასიხარულო ინფორმაცია შეიტყვეს. სამედიცინო შტაბის ცნობით, **სამუელ ეტოომ** ტრავმა საბოლოოდ მოიშუშა. კამერუნელმა ფორვარდმა ყველა ტესტი ბრწყინვალედ ჩააბარა. მან დიდ დატვირთვასაც უპრობლემოდ გაუძლო და ყველა დაარწმუნა, რომ მზადაა დასაბრუნებლად. შეგახსენებთ, ეტოომ მუხლის ჯვარედინი მყესების უმძიმესი ტრავმა აგვისტოს მიწურულს გამპერის თასის შეხვედრაში მიიღო. მას შემდეგ სამ თვეზე მეტი გავიდა. ბუნებრივია, სამუელს ფეხბურთი ძალიან მოენატრა. აი, რა განაცხადა მან: *„მოახლოვდა ნანატრი დღე. მე ვბრუნდები. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ „ბარსას“ დახმარება გავუწიო. ვიცი, რა უნდა გავაკეთო. ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. მჯერა, ჩემი დახმარებით კატალონიური გრანდი გაცილებით უკეთ ათამაშდება.“* შესაძლოა, ეტოო „დეპორტივოსთან“ მატჩში ვიხილოთ. ალბათ, უფრო სავარაუდოა, რომ აფრიკელი შეცვლაზე შევა. რატომაც არა, ის ნელ-ნელა უნდა შევიდეს ფორმაში...

გამოჯანმრთელების გზას **დეკუც** დაადგა. გულშემატკივრებმა კარგად იციან, რომ პორტუგალიელ ვარსკვლავს კუნთი ჰქონდა გაწყვეტილი და ექვსი კვირის განმავლობაში მსუბუქად ვარჯიშსაც ვერ ახერხებდა. გუშინ მან რატომღაც გადაწყვიტა, რომ ტრავმა მოიშუშა და თვითნებურად თანაგუნდელებთან ერთად სანვრთნელ მოედანზე გავიდა. ამის შემხედვარე „ბარსელონის“ ექიმებს ელდა ეცათ და მინდორზე შევარდნენ. მათ დეკუს კატეგორიულად მოსთხოვეს, ვარჯიში შეეწყვიტა, შხაპი გადაევლო და სამედიცინო კაბინეტში გამოცხადებულიყო. პორტუგალიელი ნახევარმცველი მითითებით ძალიან აღშფოთდა და ნამდვილი სკანდალი მოაწყო. მას ისტერიკა დაემართა და ექიმებს უკმეხი სიტყვებით დაუწყო ჩხუბი. კატალონიური გრანდის ფეხბურთელები დაპირისპირებას გაოგნებულები უყურებდნენ. დეკუ იმდენად გაშმაგებული გახლდათ, რომ სიტყვის დაძვრასაც ვერავინ ბედავდა. მათ შორის, **ფრანკ რაიკაარდიც**.

საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით „ბარსელონის“ მთავარი ექიმის **რიკარდ პრუნას** განცხადებას შემოგთავაზებთ: *„არ ვიცი, დეკუ ასე რატომ გაბრაზდა. დაახლოებით ერთი თვისა და ათი დღის წინ, „ვილიარეალთან“ მატჩში მან საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო. მთელი ამ დროის განმავლობაში პორტუგალიელს ვმკურნალობდით და საგულდაგულოდ ვაკვირდებოდით. ბოლო ტესტის შემდეგ ყველა გაბარებული ვიყავით, რადგან დავრწმუნდით, რომ რეაბილიტაციის პროცესი დასასრულს მიუახლოვდა. დეკუ ფაქტობრივად, გამოჯანმრთელდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას დღეს ვარჯიშის განახლება შეეძლო. კლუბის არც ერთ ექიმს არ მიუცია უფლება, რომ სავარჯიშოდ გასულიყო. პირადად მე შემთხვევით მოვკარი თვალი, რომ დეკუ ძალიან მაღალ ტემში დარბოდა და ინტენსიურად მუშაობდა. ვერ ვიჯერებდი იმას, რასაც თვალნათლივ ვხედავდი. როგორც პროფესიონალი ვალდებული ვიყავი, საქმეში ჩავრეულიყავი და მომეთხოვა, რომ დეკუ სასწრაფოდ გასახდელში გასულიყო. სამწუხაროდ, ჩემს სრულიად სამართლიან მითითებას ძალიან მწვავე რეაქცია მოჰყვა. ყველას უნდა ესმოდეს, რომ ჯანმრთელობასთან თამაში არ შეიძლება. მესმის, დეკუს თამაში ძალიან მოენატრა. არ შეუძლია, დიდ ხანს უსაქმოდ იყოს, მაგრამ მოვლენების დაჩქარებამ, შესაძლოა, გამოუსწორებელ შედეგამდე მიგვიყვანოს. იმედია, კლუბის ხელმძღვანელობა პორტუგალიელს დაელაპარაკება და ინციდენტი ამით ამოიწურება.“*

საკუთარი მოსაზრება დეკუმაც გამოთქვა: *„თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ექიმების ყველა მითითებას უსიტყვოდ ვასრულებდი. ერთი შემთხვევაც არ ყოფილა, როცა თვითნებურად მოვიქეცი. ახლა კი ვგრძნობ, რომ ტრავმა საერთოდ აღარ მანუხებს. ჩემზე უკეთ, ჩემი ფიზიკური მდგომარეობის შესახებ არავინ იცის. არანაირი საფრთხე არ არსებობდა. ვარჯიშის მსვლელობისას ოდნავი ტკივილიც კი არ მიგრძვნია. მიმაჩნია, რომ ექიმები მოვლენებს აჭიანურებენ. საჭირო არ არის, კიდევ უმოქმედოდ ვიჯდე და იმ ბედნიერ დღეს ველოდე, როცა სენიორ პრუნა მინდორზე გასვლის ნებას დამრთავს.“*

გუშინ, „ბარსას“ ბაზაზე მომხდარი ინციდენტი კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, რომ კატალონიურ გრანდში დისციპლინა ძალიან მოიკოჭლებს. აშკარაა, ვარსკვლავებს ვარსკვლავური ავადმყოფობა თავზე გაუვიდათ.

ილია ნიკოლაიშვილი

ინგლისი: შვეიცარიის წინააღმდეგ ახალი მწვრთნელით

6 თებერვალს ინგლისის ნაკრები შვეიცარიასთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. თამაშს უემბლი უმასპინძლებს. ამ შეხვედრაში ინგლისელთა ახალი მწვრთნელის დებიუტი შედგება. საფეხბურთო ასოციაცია ჯერჯერობით მხოლოდ იმას ამბობს, სტივ მაკლარენის შემცვლელს 6 თებერვლამდე დანიშნავს. თუ ვინ იქნება ეს მწვრთნელი და კონკრეტულად როდის გააფორმებს კონტრაქტს, საზოგადებისათვის უცნობია. უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი ვინაობა და ხელშეკრულების დეტალები ასოციაციის მაღალჩინოსნებისთვისაც ბუნდოვანია. მიმდინარეობს ინტენსიური სამუშაოები. მიმომხილველებს კი დიდი ხანია, თავიანთი ფავორიტი ჰყავთ. **ჟოზე მურინიომ** თვითონაც გამოთქვა ალბიონზე დაბრუნების სურვილი, მაგრამ მისთვის პოსტი ოფიციალურად ჯერ არ შეუთავაზებიათ.

აქვე გეტყვით, რომ შვეიცარიასთან მატჩის შემდეგ ინგლისი საფრანგეთს ესტუმრება. ფრანგები ინგლისელებს 26 მარტს პარიზში მიიღებენ. განხილვის სტადიაშია ამხანაგური მატჩი შოტლანდიასთან. ძველი მეტოქეები ერთმანეთს 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ არ შეხვედრიან. ის თამაში ინგლისმა 3:0 მოიგო. უეინ რუნიმ დუბლი მიითვალა. მისი გოლები იმიტომაც იყო საგულისხმო, რომ რუნი ეროვნულ გუნდში სადებიუტო თამაშს მართავდა. რაც შეეხება შვეიცარიასთან თამაშს, ინგლისი ამ ნაკრებს უკანასკნელად 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე შეხვდა. ის ტურნირი ნისლიან ალბიონზე გაიმართა. ჯგუფურ ტურნირის მატჩში ინგლისი ალან შირერის გოლით დაწინაურდა, მაგრამ კუბილაი თურქილმაზმა პენალტით გაათანაბრა, 1:1.

ვან ბასტენი გაისად წავა

მარკო ვან ბასტენი ჰოლანდიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე გამოეთხოვება. ეროვნულ გუნდს დატოვებს მისი მარჯვენა ხელიც - ჯონ ვანტ სხიპიც. როგორც ჩანს, მწვრთნელები ახალი სამსახურშიც ერთად აპრებენ მუშაობას. არავინ იცის, რა იქნება ეს ახალი სამსახური. ზაფხულამდე დარჩენილ დროში არა ერთი სარფიანი ვაკანსია გამოჩნდება. მომავალი ზაფხულისათვის ვან ბასტენს ნაკრების სათავეში ყოფნის ოთხი ნელი შეუსრულდება. დღევანდელი მდგომარეობით, მისმა გუნდმა 28 თამაში მოიგო, 10 ფრედ დაასრულა და 5 მარცხი იწვნია. მარკომ ნაკრები 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დიკ ადვოკაატისაგან გადაიბარა. 2006 წლის მუნდიალზე მისი შეგირდები მერვეფინალში გავარდნენ.

ლივერპული: უმთავრესი სამიზნე აფონსო ალვეში

იანვრის ტრანსფერებისას „ლივერპული“ შემადგენლობას აუცილებლად გააძლიერებს. ამ ინფორმაციას ინგლისური სააგენტოები ავრცელებენ. ერთი კვირის წინ მთავარმა მწვრთნელმა **რაფა ბენიტესმა** კლუბის ამერიკელი ბოსები **ჯორჯ ჯილეტი** და **ტომ ჰიკსი** გააკრიტიკა. მათ არ ესმით სატრანსფერო ფანჯრის მნიშვნელობა, ამიტომ ფულის გამოყოფას არ ჩქარობენ, ხოლო როცა ისინი გეგმებს მოხაზავენ, ყველა სასურველი ფეხბურთელი გაყიდული იქნებაო - დაახლოებით, ასეთი შინაარსისა იყო ესპანელი მწვრთნელის გაცხადება. ამ კომენტარი დიდი ვნებათაღელვა გამოინვია. ამერიკელმა დირექტორებმა ბენიტესს მოახლოებულ მატჩებზე კონცენტრირება ურჩიეს. ზოგიერთმა მიმომხილველმა ბენიტესის დათხოვნას კი იწინასწარმეტყველა.

მაგრამ ქარიშხალმა გადაიარა. ამას დიდად შეუწყო ხელი ლივერპულელთა საუცხოო ასპარეზობამ. გუნდმა, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში გოლების პრობლემა ჰქონდა, ბოლო ხუთ შეხვედრაში 21-ჯერ დაამწუხრა მეტოქე. ამ ფონზე შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ სენიორ რაფას ამოცანა თავდასხმის გაძლიერებაა. მას „ჟერენვეენის“ ბრაზილიელი ფორვარდის **აფონსო ალვეშის** შეძენა სურს. 26 წლის გოლეადორმა გასული სეზონის 31 მატჩში 34 გოლი შეაგდო. მიმდინარე სეზონში, როცა „ჰერენვეენმა“ „ჰერაკლესს“ 9:0 სძლია, ალვეშმა შვიდი გოლი მიითვალა. მას ბრაზილიის ნაკრებში ექვსი მატჩი აქვს ჩატარებული. მოსალოდნელი გარიგების ფინანსური დეტალები უცნობია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდის თუ არა ანდრეი შევჩენკო ლონდონიდან?

ჩელსი

შევჩენკო ამერიკაში?...

...მაგრამ გრანტმა უკრაინელი ვარსკვლავის აბარგება გამორიცხა

ერთ-ერთი ყველაზე დიდი სახელის მქონე ფორვარდია. ჯერჯერობით ის არ თამაშობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის არასოდეს ითამაშებს. როდესაც მის ვარჯიშს ვაკვირდები, თვალნათლივ ვხედავ თამაშის დაუოკებელ სურვილს. იცით, მალე აფრიკის ეროვნებათა თასის გათამაშება იწყება. ჩვენი კლუბის რამდენიმე წევრი იქ გაემგზავრება ნაკრებებში სათამაშოდ. მე არ ვთვლი, რომ ამის გამო ახალი ფეხბურთელების შეძენაა აუცილებელი. არ გვეყოლება დროგბა და კალუ? მერე რა, ჩვენ გვყავს შევჩენკო, გვყავს პისარო. ამ დროს ისინი დიდ დროს მიიღებენ სათამაშოდ. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ანდრეი და კლაუდიო იქამდე უქმად ისხდებიან. მათ იქამდეც აქტიურად გამოვიყენებთ," - გვაუწყებს ბრიტანული საინფორმაციო სააგენტო „ჩელსის" მთავარი მწვრთნელის სიტყვებს. გრანტის კომენტარი გუშინ პრესაში გაჟღერებულ სპეკულაციებს მოჰყვა, რის თანახმადაც თითქოს „ჩელსი" შევას 17 მილიონად გაყიდვას აპირებს და ამ თანხას კონკრეტულად „ინტერი" და „იუვენტუსი" სთავაზობენ.

ეს ინფორმაციის ზღვის ერთი წვეთია. ამ ზღვას აქვს სხვა შენაკადებიც. ეს წყაროები საკუთარ ვარიანტს გვთავაზობენ: ადასტურებენ, რომ ლონდონელებს ყელში ამოუვიდათ ძვირაღირებული (130 ათასი გირვანქა კვირაში) და უსარგებლო ვარსკვლავის შენახვა და მისი გასხვისება გადაწყვიტეს, მაგრამ იქვე ამატებენ, რომ უკრაინელი აპირებს არა იტალიაში დაბრუნებას, არამედ კარიერის გაგრძელებას მეუღლის სამშობლოში, შეერთებულ შტატებში. აქვე ეს წყარო გვაუწყებს, რომ თუკი დავაჯამებთ შევჩენკოს სატრანსფერო თანხას, იმ ხელფასს, რაც მან „ჩელსიში" გამოიმუშავა და ამ ყველაფერს გავყოფთ იმ 17 გოლზე, რაც დღემდე მის ანგარიშზეა, გამოვა, რომ თითო გოლი **რომან აბრამოვიჩსა** და მის კლუბს 2 მილიონ 360 ათასი გირვანქა დაუჯდათ, რაც, ალბათ, მულტიმილიარდერისთვისაც კი ზედმეტი ფუფუნება უნდა იყოს. ამბობენ, შევას ამერიკაში გადაბარგება მოსალოდნელია, რადგან ცნობილია, რომ ლონდონში გადასვლა სწორედ მისი იდეა იყო, რათა მათ შვილებს ინგლისურ გარემოში ეცხოვრათო.

მოგეხსენებათ, რომ „ჩელსი" მხოლოდ შევჩენკოთი არ ცხოვრობს. კლუბს ამბიციური გეგმები აქვს და მიზნების მისაღწევად კლუბის მენეჯერები დღესა და ღამეს ასწორებენ. იმ მიზნით, რომ ლონდონელებმა ისედაც ვარსკვლავური შემადგენლობა კიდევ უფრო გააძლიერონ, მათ მადრიდის „რეალიდან" 20 წლის **როისტონ დრენტეს** გადმობირება გადაწყვიტეს. მადრიდში დიდი იმედებით გადაბარგებულ ჰოლანდიელს კარიერა არ აეწყო, პრემერაში დღემდე მან მხოლოდ 8 თამაში ჩაატარა. მისი ყიდვის სურვილი ლონდონელებს უკვე იანვარში აქვთ, ისინი მზად არიან 12 მილიონი ევრო გაიღონ, გვაუწყებს ესპანური „მარკა". ამ საკითხთან დაკავშირებით „რეალის" პოზიცია ჯერჯერობით უცნობია.

ამასობაში „არისტოკრატების" ფრანგმა ლეგიონერმა ფლორან მალუდამ სასტიკად გააკრიტიკა კლუბის ხელმძღვანელობა. მისი უკმაყოფილება რამდენიმე ფაქტორმა გამოიწვია. პირველ რიგში ის გაკვირვებული და შეშფოთებულია იმით, რომ კლუბის ექიმები არ აქცევენ ყურადღებას იმას, თუ რა ოდენობისა და რა ენერგეტიკული ღირებულების საკვებს იღებენ ფეხბურთელები სადილზე. „არავის აინტერესებს ფეხბურთელები რას, რამდენს და რა ოდენობით ჭამენ. ჩვენთვის არანაირი ინდივიდუალური რაციონი შედგენილი არაა. ეს იმ დროს, როცა სანვრთნელი პროცესი აქ საოცრად მძიმეა, პრაქტიკულად ისეთივე ისეთივე დამღლელია, როგორც უშუალოდ მატჩები. ხშირად მრჩება შთაბეჭდილება, რომ გადაღლილი ფეხბურთელები მოედანზე ინსტინქტებით ხელმძღვანელობენ, გონება კი გათიშული აქვთ. პროცესები თვითდინებაზე ისეა მიშვებული, როგორც ეს ფეხბურთში საუკუნის წინათ ხდებოდა," - გვაუწყებს „სქაი სპორტი".

ინტერვიუ ალექსანდრ გლებთან

ანრის წასვლამ შეუცნობელი გაგვხადა

კაკას ოქროს ბურთი ულაპარაკოდ ეკუთვნოდა

ლონდონის „არსენალისა" და ბელორუსის ნაკრების შემტევმა ნახევარმცველმა ალექსანდ გლებმა ინტერვიუ მისცა რუსულ ინტერნეტგამოცემას. ის აფასებს 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრის შედეგებს, ასევე აღფრთოვანებით ისაუბრა ინგლისური პრემიერლიგის ვარსკვლავებზე.

- 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრამ ბელორუსის ნაკრები საკმაოდ რთულ ჯგუფში მოახვედრა. თქვენი მოწინააღმდეგეები იქნებიან ინგლისის, ხორვატიისა და უკრაინის ეროვნული გუნდები. როგორ შეაფასებდით კენჭისყრას და ვის თვლით ფავორიტად?

- ჩვენს ნაკრებს რთული დღეები ელის. ხორვატია და ინგლისი ულაპარაკო ფავორიტები არიან, მათთან თამაში საკმაოდ ძნელი იქნება. თუმცა მხოლოდ ძლიერ ნაკრებებთან დაძაბულ პაექრობებში შეიძლება საფეხბურთო ზრდა განაგრძოს ჩვენმა გუნდმა და მპოიპოვოს სათანადო გამოცდილება. ბოლო მატჩებში დავამტკიცეთ, რომ ჩვენ სწორ გზას ვადგავართ.

- მე-6 ჯგუფს უკვე შეარქვეს „სიკვდილის ჯგუფი". ეთანხმებით თუ არა მსგავს შეფასებას?

- სიტყვა სიკვდილი ფეხბურთში ნაკლებად უნდა გამოვიყენოთ ხოლმე. მეორე მხრივ თქვენ მართალი ხართ, ძალიან ძლიერ გუნდებთან მოვხვდით, სადაც არცერთი შედეგი გამორიცხული არ იქნება.

- რას ელით უკრაინისა და ბელორუსის ნაკრებების თამაშისგან?

- უკრაინამ აჩვენა მთელ სამყაროს, რომ შეიძლება იყო აუტსაიდერი, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე მაინც ღირსეულად ითამაშო. თუკი ამ მაგალითს მივბაძავთ, მაშინ მათთან გამარჯვებაც შეიძლება. ამასთან, ჩვენი ნაკრების ბევრი ფეხბურთელი თამაშობს უკრაინის ჩემპიონატში და ისინი ჩვენს მეტოქეებს შესანიშნავად იცნობენ. მთავარი მწვრთნელიც უდიდესი გამოცდილების მქონეა. ჩვენ ეს ძალიან შეგვიწყობს ხელს.

- რა აკლია ბელორუსის ნაკრებს ისეთი, რაც საშუალებას მოგცემთ, რომ დიდ ტურნირებზე ითამაშოთ?

- ფეხბურთელებმა უნდა ვისწავლოთ ჩვენი პოტენციალის სრულად გამოვლენა. პატარა ფეხბურთელებს სწორედ გამოცდილება აკლიათ, ხოლო გამოცდილებს მცირე იღბალი.

- ანდრეი შევჩენკი „ჩელსიში" და ანდრეი ვორონინი „ლივერპულში". ისინი გრანდებში თამაშობენ, ისევე როგორც თქვენ. მოასწარით დამეგობრება?

- რა თქმა უნდა, მე ორივეს ვიცნობ. ვორონინთან უფრო მაქვს კონტაქტი, ვიდრე შევჩენკოსთან. პირველი ინგლისურ ფეხბურთს ძალიან მალე გაუშინაურდა. უთამაშებლობის ნიუხედავად, შევა მსოფლიოს კლასის მოთამაშეა და მალე ნახავთ როგორც ათამაშდება.

- არ გეჩვენებათ, რომ ტიერი ანრის გუნდიდან წასვლის შემდეგ „არსენალი"უფრო ლაღად ათამაშდა?

- მთელი ჩემი პატივიცემის მიუხედავად ტიერისადმი, ვაცხადებ, რომ მისმა წასვლამ ერთი უპირატეობა მოგვცა. ჩვენი გუნდი სრულიად სხვა სტილში ათამაშდა. ახლა ჩვენი მატჩების შედეგების გამოცნობა არაა ადვილი საქმე. ამ სეზონში დიდი ხანი ნაუგებლად ვთამაშობდით, ხოლო პრემიერლიგაში ახლაც ასეა.

- როგორ თვლით, რუსეთი დამსახურებულად გავიდა ევროპის ჩემპიონატზე.

- რუსეთის ნაკრებმა მრისხანე მეტოქეებზე უკეთ გამოვიდა შესარჩევში. ახლაც მე მას ვუგულშემატკივრებ. ისევე როგორც ვგულშემატკივრობდი უკრაინას მსოფლიოზე.

- წლეულს „ფრანს ფუტბოლის" ოქროს ბურთი „მილანისა" და ბრაზილიის ნაკრების ლიდერმა კაკამ აიღო. თქვენ რას ფიქრობთ, ის ამას იმსახურებდა?

- რა თქმა უნდა იმსახურებდა. მან დიდი ხანია მოგვაჯადოვა თავისი ფეხბურთით. ერთადერთი რამე მიკვირს, რომ ინგლისში მოთამაშე ვარსკვლავებს ამ ჯილდოს უფრო იშვიათად ანიჭებენ, ვიდრე იტალიასა და ესპანეთში მოთამაშეებს. მიკვირს იმიტომ, რომ პრემიერლიგა უძლიერესი ჩემპიონატია მსოფლიოში.

ალექსანდრ გლები

იბრაჰიმ აფელეი, მორიგი გაჩერება არსენალი?

არსენალი

აფელეი, ვენგერის მორიგი სამიზნე

ლემანმა ვოლფსბურგი დაადასტურა...

„არსენალი" „ეინდჰოვენის" ნახევარმცველ **იბრაჰიმ აფელეით** დაინტერესდა. 21 წლის ფეხბურთელი ჰოლანდიური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავია. მის ყოფილ დამრიგებელ **რონალდ კუმანს** სურს, აფელეი ესპანეთში წაიყვანოს. მოგეხსენებათ, კუმანი „ვალენსიის" მთავარი მწვრთნელია. „ღამურებს" კი მძიმე დროება უდგათ და შემადგენლობის გაძლიერება ჰაერივით სჭირდებათ. ვალენსიელები პსვ-სთან მოლაპარაკებებს იანვარში გამართავენ. მოსალოდნელი ტრანსფერის დეტალები უცნობია. აფელეის „ეინდჰოვენთან" ხელშეკრულება 2010 წელს ეწურება. ჰოლანდიის ჩეპიონებმა მას უკვე შესთავაზეს თანამშრომლობის გაგრძელება გაუმჯობესებული ხელფასის სანაცვლოდ. კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში, იბრაჰიმი პსვ-ს განკარგულებაში 2013 წლამდე დარჩება.

აქვე კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც „არსენალს" უკავშირდება. **იენს ლემანმა** დაადასტურა, რომ „ვოლფსბურგიდან" სარფიანი შეთავაზება მიიღო. ვეტერანი გოლკიპერი ლონდონიდან აბარგებას აპირებს. ის სამსახურს სავარაუდოდ, იანვარში შეიცვლის. იენსს „არსენალთან" ხელშეკრულება ივნისში უმთავრდება. **არსენ ვენგერი** მას ძირითად შემადგენლობაში აღარ აყენებს. უთამაშებლობის შემთხვევაში, ლემანს ევროპის ჩემპიონატს მიღმა დარჩება ემუქრება. იენსს არაერთხელ უთქვამს, რომ მისთვის მნიშვნელობა არა აქვს, სად გააგრძელებს კარიერას. მეკარისათვის მთავარია, სტაბილურად იასპარეზოს, რათა მის სანაკრებო პოზიციებს საფრთხე არ შეექმნას.

„ვოლფსბურგი" ურიგო ვარიანტი არ არის, მოსალოდნელი გარიგების დეტალები უცნობია. „ბილდთან" სატელეფონო ინტერვიუში ლემანმა განაცხადა, რომ არცერთ ვარიანტს არ გამორიცხავს. „მგლებს" არასტაბილურად მოასპარეზე **საიმონ იეტცშის** შემცვლელი სჭირდებათ. იენტცშის პრობლემების თაობაზე გუშინდელ ნომერში მოზრდილი მასალა შემოგთავაზეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

დე როსი მიუნხენელთა ობიექტივში

მიზანი: წლის ბოლომდე მხოლოდ გამარჯვებები...

სეზონის პირველი ნახევრის მიწურულს მიუნხენურ კლუბს ცოტა არ იყოს, გაუჭირდა და თუ თავიდან ეს ყველამ ჩვეულებრივ ამბად მიიღო (ყველა თამაშს ხომ ვერ მოიგებდნენო), მერე და მერე FCB-ს ქომაგები ძალიან ანერვიულდნენ. თუმცა გასულ უქმეებზე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა: „ბაიერნმა" ისევ მოიგო და „ვერდერს" გადასწრების საშუალება არ მისცა. ამასობაში, ზამთრის სატრანსფერო ფანრჯის გახსნაც ახლოვდება და ცხადია, სატრანსფერო ჭორმართალიც უხვადაა. თუმცა დანიელე დე როსით დაინტერესების ამბავს ჭორს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ...

აქცენტი იტალიელებზე

გასულ კვირაში „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** მეტად საინტერესო წინადადება თქვა – იტალიელი ფეხბურთელები მსოფლიოში საუკეთესოები არიან, მაგრამ ძალიან ძვირად ფასობენო. თქვა და მაშინვე საუკეთესო მაგალითი მოიყვანა: **ლუკა ტონი**. მიუნხენური კლუბის შეფებს სამომავლოდ მხოლოდ მაღალი კლასის ფეხბურთელების შეძენა სურთ და არცაა გასაკვირი, ტონის ტრანსფერის შემდეგ, ასეთებს იტალიაში რომ ეძებენ.

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ჩვენი გერმანელი კოლეგები „ბაიერნთან" მიმართებაში **ჯანლუკა ძაბროტასა** და **ანდრეა პირლოს** ახსენებდნენ. **ოტმარ ჰიტცფელდმა** თქვა, ძამბროტა და პირლო გრანდიოზული ფეხბურთელები არიან, მაგრამ სხვას ვერაფერს ვიტყვი, „ბაიერნში" მათ შესაძლო ტრანსფერებზე კომენტარს ვერ გავაკეთებო. „კიკერის" ინფორმაციით (ეს წყარო კი არასდროს ცრუობს), ბავარიელებმა „რომას" და იტალიის ნაკრების საყრდენ ნახევარმცველ **დანიელე დე როსის** დაადგეს თვალი. 24 წლისა და 1.84 მეტრი სიმაღლის ნახევარმცველი ზუსტად ის ფეხბურთელია, რომელიც რეკორდმაისტერს სჭირდება – ტექნიკური და ამავე დროს მებრძოლი, ერთი სიტყვით, ისეთი საყრდენი, როგორებიც დღეს „მოდაშია". მაგრამ გერმანელებმა ისიც იციან, რომ „რომა" დე როსის იოლად არ დათმობს – მას „რომაში" ახალი **ფრანჩესკო ტოტის** სახელი აქვს. დე როსი „ჯალოროსიში" 2000 წლიდან თამაშობს და მის კონტრაქტს ვადა 2009 წელს გასდის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ დე როსი ახალ ხელშეკრულებას არ გააფორმებს, „რომას" მის სანაცვლოდ ფულის აღების ბოლო შანსი მომავალ ზაფხულში ექნება. დანიელეს ფასი დღესდღეობით 20 მილიონი ევროა.

ისმაელი ჰანოვერს მიუახლოვდა

ამასობაში, სულ უფრო და უფრო რეალური ხდება ის, რომ რეკორდმაისტერის ფრანგი მცველი **ვალერიან ისმაელი** კარიერას „ბაიერნის" კონკურენტ „ჰანოვერში" გააგრძელებს. როგორც იცით, 32 წლის მცველმა მიუნხენის დატოვება თვითონვე მოისურვა, განაცხადა, „ბაიერნის" დატოვებაზე სერიოზულად ვფიქრობო. ისმაელი ამ კვირაში „ჰანოვერში" ჩავა და იქ სპორტულ-სამედიცინო შემოწმებას გაივლის, რის შემდეგაც მხარეები მაგიდას შემოუსხდებიან და სატრანსფერო თანხაზე დაილაპარაკებენ. ცნობილია, რომ „ბაიერნი" ისმაელს არ დააბრკოლებს. აკი მენეჯერმა **ული ჰიონესმაც** თქვა, ჩვენ ისედაც ბევრი კარგი ფეხბურთელი გვყავს და ნამდვილად არ გვაწყენს, თუ ზამთარში ერთი-ორს გავყიდითო.

ისმაელი „ბაიერნში" 2005 წლის ზაფხულში გადავიდა და მაშინ ბავარიელებმა „ვერდერს" მის სანაცვლოდ 8 მილიონი ევრო გადაუხადეს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ჰანოვერს" ისმაელის ხელში ჩაგდება უფასოდ უნდა, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ „ბაიერნი" ამაზე წავიდეს. ფაქტია ისიც, რომ ისმაელი ჰიტცფელდის სამომავლო გეგმებში არანაირ როლს არ თამაშობს.

კლოზემ რიბერი გააკრიტიკა

როგორც იცით, „ბაიერნმა" კვირას „არმინიას" **ფრანკ რიბერის** გოლით მოუგო. ფრანგ ნახევარმცველს გოლის ზეიმი არც თუ სახარბიელო გამოუვიდა: მარჯვენა ხელი ტუჩებთან მიიტანა და ბილეფელდის სტადიონზე შეკრებილ ქომაგებს გაჩუმებისკენ მოუნოდა. ჟესტი „მოკეტეთ", ცხადია, არავის ესიამოვნა – ამის შემდეგ „არმინიას" ქომაგებმა ფრანგ ნახევარმცველზე ზეწოლა გააძლიერეს, თუმცა არც გოლამდე იყვნენ მიამიტები – როგორც კი რიბერი ბურთს შეეხებოდა, ყვიროდნენ: Scheiss auf Ribery (სიტყვა Scheiss განავალს ნიშნავს და დანარჩენს თვითონ მიხვდებით)!

მიროსლავ კლოზე: *„თამაშის შემდეგ ფრანკთან მივედი და ვუთხარი, რომ არასწორად მოიქცა. ასეთი რამ საჭირო არ არის და უმჯობესი იქნება, თუ მომავალში მეტოქე გუნდის ქომაგებს შეურაცხყოფას აღარ მიაყენებს!"*

ეს კლოზეს მოსაზრებაა, რომელიც მიიჩნევს, რომ ფრანგი ცუდად მოიქცა. სამაგიეროდ, ჰიტცფელდი რიბერის არ საყვედურობს. *„რაც უნდა, ის გააკეთოს, მოიქცეს ისე, როგორც ესიამოვნება. სანამ კარგად თამაშობს და გოლები გააქვს, მისთვის სასაყვედურო არაფერი მექნება. ჩემთვის მთავარია, რომ ჩვეულ სტილში ითამაშოს და გოლებით შეგვეწიოს. სხვა დანარჩენი ჩემი საქმე არაა!"* – ამბობს ოტმარი.

მწვრთნელს 100 პროცენტით ეთანხმება რიბერის ახლო მეგობარი **დანიელ ვან ბუიტენიც**: *„ფანებს მისი ძალიან ეშინიათ. ამიტომაცაა, რომ იერიში პირდაპირ რიბერზე მიაქვთ ხოლმე და ყველანაირად ცდილობენ, რომ აანერვიულონ და წყობიდან გამოიყვანონ. შესაბამისად, მე არ ვფიქრობ, რომ არასწორად მოიქცა. მის ადგილზე მეც ასე მოვიქცეოდი."*

დანიელე დე როსი ბაიერნთან მიმართებაში ახსენეს

და რას ამბობს თვითონ ფრანგი ნახევარმცველი? *„მართალია, გერმანული ჯერ ძალიან კარგად არ ვიცი, მაგრამ მივხვდი და გავიგე, რასაც ყვიროდნენ ფანები. გერმანიაში პირველად სწორედ ეს სიტყვა (Scheiss) ვისწავლე და ასე რომ, მაშინვე მივხვდი, რასაც ყვიროდნენ. მაგრამ მე ამასთან დაკავშირებით პრობლემა არ მაქვს, ასეთი რამ ყველგან ხდება. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ძალიან მესიამოვნა, გოლი რომ გავიტანე და ამით ფანებს სამაგიერო გადავუხადე,"* – ასეთია რიბერის პოზიცია.

ერთი რამ ფაქტია: არც რიბერის ჟესტია ლამაზი და არც ფანების სიტყვები, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ეს ყველაფერი ფეხბურთის ნაწილია.

კანის ლექცია

ბილეფელდში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ „ბაიერნში" ძველებურმა სიმშვიდემ დაისადგურა. ფაქტია, რომ გუნდს მცირე კრიზისი ჰქონდა და რომ ბრაგაში მიღწეული 1:1-ის შემდეგ FCB-ს ბუნდესლიგაში აუცილებლად უნდა მოეგო, წინააღმდეგ შემთხვევაში, პირველი წრის მიწურულს ლიდერობას კარგავდა. ასეც მოხდა: „ბაიერნი" დაბრუნდა და ერთი დღით დაკარგული ლიდერობა დაიბრუნა. „ბილდის" ცნობით, ეს გამარჯვება პირველ რიგში **ოლივერ კანის** დამსახურებაა, რომელმაც თამაშის წინ თანაგუნდელებს ხანგრძლივი ლექცია წაუკითხა. იოლი წარმოსადგენია, როგორი სახეც ექნებოდა კანის ლექციას. გაირკვა ისიც, რომ ფეხბურთელები კაპიტანს დაპირდნენ, წლის ბოლომდე ყველა თამაშს მოვიგებთო და მიზნის მისაღწევად პირველი ნაბიჯი ბილეფელდშივე გადადგეს.

შაბათს რეკორდმაისტერი „დუისბურგს" მასპინძლობს, მერე ბერლინში ჩადის, ბოლოს კი, უეფას თასზე ჰაოკ-ს ხვდება. თუკი ბავარიელები სამივე შეხვედრას მოიგებენ, „ბაიერნი" სეზონის პირველ ნახევარს ისე დაამთავრებს, როგორც დაიწყო – დიდებულად.

„ჩვენ ერთმანეთს ვუთხარი, რომ გამარჯვებული გუნდის მენტალიტეტი უნდა დავიბრუნოთ, რომ პირველი წრის დასრულებამდე ქულათა მაქსიმუმს უნდა მოვუყაროთ თავი. ბოლო დროს ძალიან ბევრი ფრე ვითამაშეთ და ეს არ არის მისაღები. თანაც, ეს ყველაფერი ძალიან მშვიდად და ჩუმად ავიტანეთ, რაც „ბაიერნისთვის" დამახასიათებელი არ არის და ვერც იქნება. ვფიქრობ, ახლა ისევ სწორ გზას ვადგავართ," – აცხადებს ვან ბუიტენი.

ჰიტცფელდი ამბობს, „არმინიასთან" აშკარად გამოჩნდა, რომ გუნდმა მინიმუმ 20 პროცენტით მოუმატაო...

გოტფრიდ ლენცი

შალკე. დაპირისპირება

ბაირამოვიჩს სლომკა აღარ უნდა

ბოსნიელს გული შტუტგარტისკენ მიუწევს. მაღაროელთა მენეჯერმა მიულერმა კი კონტრაქტი 2011 წლამდე გააგრძელა...

„შალკეს" 28 წლის ნახევარმცველი ზლატან ბაირამოვიჩი თავისი ყოფით უკმაყოფილოა და „ბილდის" ინფორმაციით, გელზენკირხენული კლუბის დატოვება გადაწყვიტა. 28 წლის ბოსნიელს მეტის მოთმენა აღარ შეუძლია და ზამთარშივე უნდა „შალკედან" წასვლა. ბაირამოვიჩი არ მალავს, რომ მისი უკმაყოფილების მიზეზი გუნდის მთავარი მწვრთნელი მირკო სლომკაა.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ფეხბურთელის მრჩეველი **შტეფენ შნეეკლოთი** „შტუტგარტთან" აწარმოებს მოლაპარაკებებს. ზლატანს გელზენკირხენულ კლუბთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და თუ მანამდე მოითმენს, გერმანიის მოქმედ ჩემპიონში უფასოდ გადავა. თუ არა და ზამთარში წავა, ოღონდ შვაბურ კლუბს ამ შემთხვევაში თანხის გადახდა მოუწევს. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ სანამ „შალკეს" **სლომკა** წვრთნის, **ბაირამოვიჩს** ამ გუნდში დარჩენის სურვილი არ ექნება. მიზეზი, რა თქმა უნდა, ისაა, რომ მწვრთნელი ზლატანს იშვიათად ენდობა.

ბაირამოვიჩს მოთმინების ფიალა ახლახან აევსო. სამი კვირის წინათ, „ჰანოვერში" მოგებულ მატჩში (3:2) მან მოედანზე 90 წუთი დაჰყო, მაგრამ მერე სლომკამ აღარც ჩემპიონთა ლიგაში ათამაშა და აღარც ბუნდესლიგაში. *„არა მგონია, ვინმემ თქვას, რომ ჰანოვერში ცუდად ვითამაშე. შესაბამისად, ჩემთვის გაუგებარია, რატომ დამსვა მწვრთნელმა ისევ სკამზე. იმ თამაშში მთელი სული და გული ჩავაქსოვე, ძალიან მოვინდომე, რადგან დარწმუნებული გახლდით, რომ თუ კარგად ვითამაშებდი, ჩემპიონთა ლიგის მატჩშიც მომინევდა ასპარეზობა. არ ვიცი, რატომ არ მათამაშებს მწვრთნელი. ეს თვითონ მას უნდა ჰკითხოთ,"* – ამბობს ფეხბურთელი.

ამასობაში, „შალკე" ბრაზილიელი თავდამსხმელით დაინტერესდა: საუბარია „პარანას" ფორვარდ **ჟოსიელ და როჩაზე**. ეს უკანასკნელი 27 წლის გახლავთ. მართალია, მისი გუნდი უმაღლესი ლიგიდან გავარდა, მაგრამ და როჩა 21 გიოლით ბრაზილიის პირველობის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მისი ფასი 3 მილიონი ევროა. თუმცა „შალკეს" გარდა, და როჩას გადაბირება ფრანკფურტის „აინტრახტს" და „ნიურნბერგსაც" სურთ.

გელზენკირხენული კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **ანდრეას მიულერმა**, ვინც იმ გენერაციდანაა, რომელმაც 1997 წელს უეფას თასიო მოიგო, „შალკესთან" კონტრაქტი სამი წლით გააგრძელა. სამეთვალუირეო საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა, რომ მიულერთან თანამშომლობის შეწყვეტა დაუშვებელი იყო. *„ჩვენ არა მხოლოდ მისი მუშაობით ვართ კმაყოფილები, არამედ მისიკომპეტენტური გამოსვლებითაც. მიულერი ამ პოსტზე იდეალურია და ეს მან უკვე არაერთხელ დაამტკიცა. „შალკეს" გაძლიერება და ბოლოდროინდელი სტაბილურობა სწორედ მისი დამსახურებაა და ჩვენ ვხედავთ, რომ მის ხელში გუნდს დიდი პერსპექტივა აქვს,"* – ნათქვამია „შალკეს" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **კლემენს ტიონისის** განცხადებაში. მიულერი გელზენკირხენულ კლუბს (ფეხბურთელის და ფუნქციონერის რანგში) 1988 წლიდან ემსახურება.



ზლატან ბაირამოვიჩს შალკედან აბარგება უნდა

გოტფრიდ ლენცი

ევრო 2008: შემოსავლების დათვლა დაიწყო

სოფიისო ევროპის ჩემპიონატის ბებერი კონტინენტის ეკონომიკას 1.4 მილიარდ დოლარს მოუტანს. ეს ინფორმაცია შვეიცარიულმა სააგენტოებმა გამოაქვეყნეს. ევრო 2008-ს ცენტრალური ევროპის ორი სახელმშიფო, ავსტრია და შვეიცარია უმასპინძლებს. ორგანიზატორები თითოეული თამაშიდან საშუალოდ 42 მილიონ ევროს მოგებას ელიან. ამ თანხაში შედის ბილეთების რეალიზაცია, სარეკლამო აქციები, ტრანსლაციები და უთვალი წვრილ-წვრილი ხარჯი, რომელსაც მატჩზე დამსწრე გულშემატკივარი გაიღებს. მაგრამ არის შეხვედრები, სადაც შემოსავალმა შეიძლება 60 მილიონ ევროს მიაღწიოს. ასეთად პირველ რიგში სასიკვდილო ჯგუფის მატჩებს მიიჩნევენ. მოგეხსენებათ, C ჯგუფში სამი გრანდი - იტალია, საფრანგეთი და ჰოლანდია მოხვდნენ. ჯგუფური ტურნირის მატჩებთან შედარებით საგრძნობლად მოიმატებს შემოსავალი ფლეი ოფების დროს.

რადგან C ჯგუფი ვახსენეთ, აქვე ევროპული საბუქმეიქერო კანტორების მონაცემებსაც შემოგთავაზებთ. „უილიამ ჰილი" ჯგუფის ფავორიტად მსოფლიოს ჩემპიონ იტალიას ასახელებს. მისი კოეფიციენტი 2.5-ია. მეორე ადგილზე გასვლას უწინასწარმეტყველებენ საფრანგეთს - 2.8. ხოლო ჰოლანდია, „უილიამ ჰილის" ვარაუდით, ჯგუფში უნდა დარჩეს - 3.4. რუმინეთს სათვალავშიც კი არავინ აგდებს. მისი კოეფიციენტი 12.0-ს შეადგენს.

არტურ ჟორჟე და ფოგთსი აზერბაიჯანელთა სიაში

ცნობილი პორტუგალიელი სპეციალისტი **არტურ ჟორჟე**, შეიძლება, აზერბაიჯანის ნაკრებში დაინიშნოს. ამ ინფორმაციას აზერბაიჯანული საინფორმაციო სააგენტოები ავრცელებენ. ჩვენს აღმოსავლელ მეზობლებს მწვრთნელთან დაკავშირებით ამბიციური გეგმები აქვთ. ფეხბურთის ფედერაცია თანხას არ დაზოგავს, რათა სახელგანთქმული სპეციალისტი დაიქირაოს. ჟორჟეს გარდა, ფავორიტთა სიაში არიან **ბერტი ფოგთსი, ანდრეას ბრემე** და **მარკო ტარდელი**. ჩამოთვლილ მწვრთნელებს მოსალოდნელი შეთავაზებასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებიათ. უცნობია, რა თანხას შესთავაზებენ აზეირბაიჯანელები ფავორიტ სპეციალისტს.



ბერტი ფოგთსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი

დრენჭე და სოლდადო იანვარში ნავლენ?

როგორც ჩანს, დიარიო მარკას წინასწარმეტყველება რეალურ ინფორმაციაზე იყო დაყრდნობილი

მადრიდელები ჟურნალისტებს შემოსწყრნენ

რამდენიმე დღის წინ „დიარიო მარკამ" სკანდალური სტატია გამოაქვეყნა სათაურით - „გათავისუფლების" დიდი ოპერაცია." პუბლიკაციაში სამეფო კლუბში მოსალოდნელ წმენდაზე იყო საუბარი. კერძოდ, ითქვა, რომ მადრიდული გიგანტის ხელმძღვანელობა იანვრის სატრანსფერო ბაზრის გახსნისთანავე ერთბაშად ექვს ფეხბურთელს მოიცილებს თავიდან. ამ სტატიას პრედრაგ მიატოვიჩის მხრიდან ძალიან მწვავე რეაქცია მოჰყვა. გენერალურმა დირექტორმა განაცხადა, რომ მსგავსი პროვოკაციული პუბლიკაციები გუნდის დაქსაქსვასა და დემობილიზებას უწყობს ხელს.

მართლაც უმწვავესი რეაქციის მიუხედავად, მადრიდულმა გაზეთმა ბოდიში არ მოიხადა. პირიქით, მათ მიატოვიჩის ბრალდება, ცრუ ინფორმაციის გავრცელების შესახებ არ მიიღეს და განმარტეს, რომ ცნობა „გათავისუფლების" დიდი ოპერაციის შესახებ სანდო წყაროებისგან შეიტყვეს. მოკლედ, ისინი დღესაც ამტკიცებენ, რომ **კალდერონი** და **მიატოვიჩი** არასასურველი ფეხბურთელების გასაყიდად ან გასანათხოვრებლად დღე და ღამ მუშაობენ. ამის დასტურად „დიარიო მარკამ" გუშინ ლონდონიდან მიღებული ინფორმაციაც გაავრცელა. გაირკვა, რომ „ჩელსის" მესვეურები **როისტონ დრენტესთან** თანამშრომლობით დაინტერესდნენ. ბრიტანელები მზად იყვნენ კოლოსალური თანხა გადაეხადათ და ახალგაზრდა ჰოლანდიელთან მრავალწლიანი კონტრაქტი გაეფორმებინათ, თუმცა გაირკვა, რომ მადრიდელებს მისი დაკარგვა არ სურთ. უბრალოდ, აუცილებლად მიაჩნიათ, რომ სათამაშო პრაქტიკის შეძენისა და გამოცდილების გაღრმავების მიზნით, რომელიმე ძლიერ გუნდში გაანათხოვრონ. „ჩელსიზე" კარგი ვარიანტის, პოვნა ალბათ, ძალიან ძნელია. სავარაუდოდ, მხარეებს შეთანხმება არ გაუჭირდებათ, რადგან „არისტოკრატები" საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებასაც თანხმდებიან... თუმცა ერთი პირობით, სამეფო კლუბმა საჭიროების შემთხვევაში დრენტეს მომავალ სეზონშიც უნდა დართოს „სტემფორდ ბრიჯზე" თამაშის უფლება. დაუდასტურებელი ინფორმაციით მიატოვიჩი ამ პირობას სავსებით მისაღებად მიიჩნევს. „დიარიო მარკას" ცნობით, უახლოეს დღეებში „სანტიაგო ბერნაბეუზე" ბატონი პრედრაგისა და **რომან აბრამოვიჩის** ტანდემის შეხვედრა შედგება. საკითხს ნათელი, რა თქმა უნდა, მათი საუბრის შემდეგ მოეფინება.

ამასობაში, მადრიდულ გრანდს კიდევ ერთი გამოუსადეგარი ფეხბურთელისგან გათავისუფლების წინადადებით მიმართეს. ამჯერად ინიციატივა „ბეტისმა" გამოიჩინა. ანდალუსიელები **რობერტო სოლდადოს** განათხოვრებას ითხოვენ. დრენტესგან განსხვავებით, მიატოვიჩი სოლდადოს სატრანსფერო უფლებებით გაყიდვას ემხრობა. გენერალურმა დირექტორმა სევილიელი კოლეგები საქმის კურსში უკვე ჩააყენა. ახლა „ბეტისის" მეპატრონე, **მანუელ რუის დე ლოპერა** ფინანსურ დირექტორთან ერთად ტრანსფერის განხორციელების შესაძლებლობას სწავლობს. ცნობილია, რომ ესპანეთის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი საკლუბო ინტერესებისთვის ბევრ ფულს არ ხარჯავს. პირიქით, გულშემატკივართა უდიდესი ნაწილი მიიჩნევს, რომ სენიორ ლოპერა კლუბს ფულის გასათვრებლად იყენებს. ასეა თუ ისე, ჯერ-ჯერობით უცნობია, რამდენის გადახდას შეძლებენ ანდალუსიელები. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ მადრიდელები სოლდადოს გასხვისების სანაცვლოდ 12 მილიონ ევროს ითხოვენ. გამორიცხული არ არის, გაცხოველებული ვაჭრობის პირობებში თანხა შეამცირონ, თუმცა ექსპერტთა მტკიცებით „ბეტისის" მესვეურებს მნიშვნელოვანი ფასდაკლების იმედი არ უნდა ჰქონდეთ.

D ჯგუფის ოთხეული: არაგონესი, რეპაგელი, ჰიდინკი, ლაგერბაკი

რუსეთის ნაკრები

ჰიდინკი ამხანაგურ მატჩებს გეგმავს

რუსეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატისათვის მზადებას იწყებს. გადაწყდა, რომ 26 მარტს **გუუს ჰიდინკის** შეგირდები თურქეთთან ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ. თამაშს სტამბოლი უმასპინძლებს. თურქები, რუსების მსგავსად, კონტინენტის პირველობისათვის ემზადებიან. ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ეძებს მეტოქეს 6 თებერვლის ამხანაგური თამაშისათვის. ამ დღეს საკონტროლო მატჩის ჩატარება დაახლოებით 20 გუნდს სურს, მათ შორის ყველაზე ძლიერები არიან შოტლანდია, პოლონეთი, პორტუგალია, ბულგარეთი და სლოვაკეთი. ჰიდინკი კიდევ ორ შეხვედრას უშუალოდ ევროპის პირველობაზე გამგზავრების წინ გამართავს. ამასობაში, რუსეთის საფეხბურთო კავშირმა ავსტრიაში ორი სპორტული ბაზა და სასტუმრო დაჯავშნა. ერთი მათგანი ინსბრუკიდან 23 კილომეტრში მდებარეობს. მეორე ინსბრუკსა და ზალცბურგს შორის. გუნდი ჯგუფური ტურნირის მატჩებს ამ ქალაქებში გამართავს, მათ შორის მანძილი 170 კილომეტრია.

ევროპელი ბუქმეიქერები რუსეთის ნაკრების შანსებს ეჭვით უყურებენ. „უილიამ ჰილის" აზრით, შანსი იმისა, რომ ჰიდინკის შეგირდები ჯგუფში პირველ ადგილს დაიკავებენ, 6.5-ის ტოლია. ამავე ტოტალიზატორს რომ ჰკითხოთ, ევროპის ჩემპიონ ბერძნებსაც მოკრძალებული შანსები აქვთ, 5.5. შვედეთის ჯგუფში გამარჯვების კოეფიციენტია 5, ხოლო ესპანეთის - 1.7. აქვე გეტყვით, რომ ევროპის ჩემპიონატის D ჯგუფის ფავორიტად შერაცხული ესპანეთი 6 თებერვალს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ საფრანგეთთან ამხანაგურ მატჩს გამართავს, 26 მარტს კი - მსოფლიოს ჩემპიონ იტალიას შეხვდება. ორივე თამაში ესპანეთში ჩატარდება.

ატლეტიკო. მოსალოდნელი ტრანსფერი

ვან დერ ვაარტი მადრიდში?

გოლოდრონელი წარმატებების მიუხედავად, „ატლეტიკოს" ხელმძღვანელობა შემადგენლობის გაძლიერებაზე ფიქრს არ წყვეტს. **ენრიკე სერესომ** ამჯერად **რაფაელ ვან დერ ვაარტის** გადაბირების აუცილებლობაზე ჩამოაგდო სიტყვა. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით „როხიბლანკოს" პრეზიდენტის განცხადებას შემოგთავაზებთ: *„ვან დერ ვაარტს ჯერ კიდევ გასულ სეზონში დავუკავშირდით, მაგრამ მაშინ ტრანსფერის გაჩარხვა ვერ შევძელით. მიუხედავად ამისა, ხელი არ ჩაგვიქნევია. იანვრის სატრანსფერო ბაზრის გახსნას მოუთმენლად ველით. იმედია, „ჰამბურგის" მესვეურებთან შევთანხმდებით. ოპტიმიზმს ჰოლანდიელი ვარსკვლავის განწყობა მიღრმავებს. დაზუსტებით ვიცი, რომ მას „ვისენტე კალდერონზე" თამაში სურს. მომავალი ორი კვირის განმავლობაში ინტენსიურ მოლაპარაკებებს გავმართავთ. იმედია, გულშემატკივრებს მალე ძალიან სასიხარულო ინფორმაციას მივაწვდით."*

მანამდე კი „ატლეტიკოს" ქომაგებმა არცთუ სასიამოვნო ცნობა შეიტყვეს. **ლეო ფრანკომ** „ ტრავმა მიიღო და ლაზარეთში ამოყო თავი. ექიმებმა მას რა თქმა უნდა საგულდაგულო გამოკვლევა ჩაუტარეს და დაადგინეს, რომ გაწყვეტილი კუნთის მოშუშებას ერთი თვე დასჭირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არგენტინელი მეკარე 2007 წელს მოედანზე ვეღარ გავა.

რაფაელ ვან დერ ვაარტის

ბრაზილია. ზღაპარი დასრულდა

ეჰ, კორინთიანსი გავარდა...

ორი წლის წინ ბრაზილიური „კორინთიანსის" სახელი ყველას პირზე ეკერა. კლუბი ლონდონურმა საინვესტიციო კომპანიამ „მედია სპორტს ინვესტმენტმა" შეიძინა. გარიგებიდან რამდენიმე დღეში „კორინთიანსში" არგენტინელი ფეხბურთის ორი ვარსკვლავი, **კარლოს ტევესი** და **ხავიერ მასკერანო** ჩაირიცხნენ. კლუბის ამბავი ძალიან ჰგავდა ზღაპარს. ის ერთ დღეში, თვალსა და ხელშუა გამდიდრდა. „კორინთიანსი" სამხრეთი ამერიკის უმდიდრეს და მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს კლუბად გადაიქცა. მაგრამ ქარის მიერ მოტანილი მილიონები ისევ ქარმა წაიღო. შემოდგომაზე უცხოელი ინვესტორები, რომელთაც ირანული წარმომავლობის ბიზნესმენი კია ჯურაბჩიანი ხელმძღვანელობდა, ფინანსურ სკანდალში გაეხვნენ. ბრაზილიის სასამართლომ კლუბი გადასახადების დამალვაში დაადანაშაულა. „კორინთიანსი" თვით ფინანსური კეთილდღეობის პერიოდშიც კი გასაოცარი ინტენსივობით იცვლიდა მწვრთნელებს. საბოლოოდ ეს ქაოტური ვითარება ტრაგიკულად დასრულდა. გასულ უქმეებზე „კორინთიანსი" ბრაზილიის უმაღლეს დივიზიონს გამოეთხოვა. კლუბი შარშანაც გავარდნის კანდიდატი იყო, მაგრამ სასნაულებრივად გადარჩა. წელს მას იღბალმა ზურგი შეაქცია. „კორინთიანსმა" 38 მატჩში 44 ქულას მოუყარა თავი. მან გათამაშების ცხრილში მე-17 ადგილი დაიკავა და „ფუვენტუდესთან", „პარანასა" და „ამერიკასთან" ერთად ქვედა ლიგაში დაეშვა. ბრაზილიის ჩემპიონის ტიტული „სან პაულუმ" გაიანაღდა, ვერცხლის მედლები „სანტოსს" ერგო, ხოლო ბრინჯაოს მედლები - „ფლამენგოს".

ესპანეთის ნაკრები

რა სურს არაგონესს?

სელექსიონის მთავრმა მწვრთნელმა რაულს ნაკრებში მოხვედრის კრიტერიუმი დაუდგინა...

ორი დღის წინ **ლუის არაგონესმა** „დიარიო მარკას" ინტერვიუ მისცა და განაცხადა, თუ **რაული** კარგ ფორმაში იქნება, ევროპის ჩემპიონატზე წავიყვანო. სულ რაღაც 48 საათის შემდეგ ესპანეთის ნაკრების მთავრი მწვრთნელი „რეალის" კაპიტნისა და „სელექსიონის" თემას კიდევ ერთხელ შეეხო. ალბათ, გენიშნებათ, რომ ასაკოვანმა სპეციალისტმა ფირფიტა გადაატრიალა და ესპანური ფეხბურთის სიმბოლოზე სხვა ტონით ისაუბრა: *„ჩემი ერთადერთი ამოცანა და საზრუნავი ეროვნული გუნდის კეთილდღეობაა. მჯერა, ევროპის ჩემპიონატზე ღირსეულად გამოვალთ. უფრო მეტიც, დარწმუნებული გახლავართ, „სელექსიონს" კონტინენტის პირველობაზე გამარჯვების უნარი შესწევს. ამისათვის, საუკეთესო შემადგენლობის თავმოყრაა საჭირო. მოდით, ღია ტექსტით ვისაუბროთ. მე ვთქვი, რომ თუ რაული კარგ ფორმაში იქნება, აუცილებლად გამოვიძახებ. საზოგადოებამ ამ განცხადებით ნაჩქარევი დასკვნები გამოიტანა. მომეჩვენა, რომ ხალხს რაული უკვე ევროპის ჩემპიონატზე წასული ჰგონია. არა, ბატონებო საქმე ასე არ არის. დღეს ასეთი კითხვა მიჩნდება, გონსალეს ბლანკო რომ წავიყვანო, მის ნაცვლად სახლში ვინ უნდა დავტოვო?! ამ წუთისთვის აღნიშნულ კითხვაზე პასუხი არ გამაჩნია. ორი დღის წინ ნათქვამი სიტყვები უკან არ მიმაქვს. დიახ, თუ „რეალის" კაპიტანი კარგ ფორმაში იქნება, არ დავივიწყებ, მაგრამ ეს ფორმულა აბსოლუტურად ყველას ეხება. ანუ, გონსალეს ბლანკომ უნდა დაამტკიცოს, რომ კონკურენტებს სჯობს და ნაკრებისთვის მათზე მეტი სარგებელის მოტანა შეუძლია. სხვა შემთხვევაში, შანსი არ ექნება. აქვე მსურს, საზოგადოებას თქოვნით მივმართო, ევროპის პირველობა ძალიან რთული და მნიშვნელოვანი ტურნირია. ღირსეული ასპარეზობისთვის ძალიან დიდი შრომაა საჭირო. მშვიდ ატმოსფეროში მუშაობას კი გაცილებით კარგი შედეგი მოაქვს. ამიტომ, ყველას ძალიან ვთხოვ, სპეკულაციებს ნუ წამოიწყებს და ალიაქოთს ნუ შექმნის. ესპანეთის ნაკრებისთვის ამას უდიდესი, მე ვიტყოდი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს."*

არაგონესის პრესკონფერენციიდან დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ჟურნალისტების წინაშე თავად რაულიც წარსდგა: *„ფეხბურთს ერთი რამ ახასიათებს, დროის გასვლის შემდეგ ყველაფერს თავის ადგილზე ალაგებს. უფრო სწორად რომ ვთქვა, ყველას საკუთარ ადგილს მიუჩენს ხოლმე. ასე იყო ყოველთვის. მე ყველაფერს ვაკეთებ, რაც ჩემზეა დამოკიდებული. ყოველ დღე ბეჯითად ვშრომობ. მიმაჩნია, რომ კლუბში სერიოზულ წარმატებებს ვაღწევ. ჩემი ერთ-ერთი უპირველესი მიზანი ესპანეთის ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე თამაშია. დასახული მიზნის მისაღწევად მომავალშიც თავდაუზოგავად ვივარჯიშებ. დანარჩენი კი ლუის არაგონესის გადასაწყვეტი იქნება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ლუისს ერთში ვეთანხმები, „სელექსიონს" დაძაბულობა და დაპირისპირება არაფერში არგებს. მნიშვნელობა არ აქვს, ითამაშებს თუ არა რაული, ეროვნულმა გუნდმა აბსოლუტურად მშვიდ ატმოსფეროში უნდა ივარჯიშოს."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორვატია 1998

ბალკანელი გმირები

გუნდი, რომელმაც უდიდესი სენსაცია მოახდინა

ლილიან ტიურამი ერთობ ელეგანტური მცველია და თავის დროზე ის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო უკანახაზელი იყო. მაგრამ ტიურამზე ვერავინ იტყვის, უტყუარი საგოლე ალღო აქვსო, რადგან სხვა მცველებისგან განსხვავებით, ლილიანი არ არის ისეთი უკანახაზელი, რომელსაც გოლები ხშირად გააქვს. მაგრამ მიდით და დააჯერეთ ეს ყველაფერი ნებისმიერ ხორვატს – ამ საქმიდან მაინც არაფერი გამოვა, რადგან ტიურამმა კარიერის მანძილზე ერთადერთი დუბლი შეასრულა და ისიც ხორვატიასთან, მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალში და იმ დუბლით მან პატარა ქვეყნის დიდი იმედი დაასამარა...

1998 წლის ხორვატია – ეს გუნდი ისტორიაში შევიდა, როგორც უდიდესი სენსაციის ავტორი, ერთ მუშტად შეკრული გუნდი, რომელშიც უდიდესი პატრიოტები თამაშობდნენ. არადა, თავიდან ხორვატიის მუნდიალზე მოხვედრა უდიდესი კითხვის ნიშნის ქვეშ იყო. მათ ფლეი ოფში უკრაინის დამარცხება დასჭირდათ იმისათვის, რომ მუნდიალის საგზური მოეპოვებინათ და ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ამ პატარა ქვეყნის გუნდი მსოფლოს ჩემპიონატზე გავიდა.

ნებისმიერი ხორვატი ძილშიც კი უპრობლემოდ ჩამოთვლის იმ გუნდის წევრებს, დიდ გმირებს, რომლებმაც მთელი ქვეყანა გააბედნიერეს. კარს **დრაჟენ ლადიჩი** იცავდა – საიმედო მეკარე. დაცვას **დარიო შიმიჩი, იგორ ტუდორი, იგორ სტიმაჩი** და დღევანდელი ნაკრების მწვრთნელი **სლავენ ბილიჩი** ამაგრებდნენ. ნახევარდაცვაში **ზვონიმირ ბობანი** ბატონობდა – ელეგანტური ფლეიმეიქერი, რომელზეც ხორვატებს დღესაც აბოდებთ. ბობანი გუნდის თავი იყო და მის გარშემო კი, სწრაფი **რობერტ იარნი**, მშვიდი **ალიოშა ასანოვიჩი** და მებრძოლი **მარიო სტანიჩი** იდგნენ. გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო გამოცდილი **რობერტ პროსინეჩკიც**, ასევე საყრდენი **ზვონიმირ სოლდო**. თავდასხმის ლიდერი **დავორ შუკერი** გახლდათ, მის მხარდამხარ კი, უშუალოდ მუნდიალზე **გორან ვლაოვიჩმა** ითამაშა. ხორვატიის ნაკრების კიდევ ერთი ვარსკვლავი **ალენ ბოკშიჩი** მუნდიალზე არ ყოფილა – საფრანგეთში გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე მან ტრავმა მიიღო, არადა სწორედ ბოკშიჩი იყო ის კაცი, ვინც შესარჩევის ფლეი ოფში უკრაინას გადამწყვეტი გოლი გაუტანა.

გუნდის მთავარი მწვრთნელი **მიროსლავ ბლაჟევიჩი** გახლდათ – სოლდოს თქმით, დიდი პიროვნება და უდიდესი მოტივატორი. სხვათა შორის, ბლაჟევიჩი იმ დროს გარდაცვლილი **ფრანიო ტუდმანის** (ავტორიტეტული პრეზიდენტი) გახლდათ – მწვრთნელი 1990 წლიდან ტუდმანის ნაციონალ-კონსერვატიულ პარტიაში იყო. ბლაჟევიჩს უყვარს პოლემიკა, დისკუსია და უყვარს პოლიტიკაცო, ამბობენ ფეხბურთელები და ბარემ აქვე გეტყვით, რომ 2005 წელს საკუთარი პარტიაც კი დაარსა და მერე საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭიც იყარა. მას არ უნდოდა, რომ ხორვატია ევროკავშირის წევრი გამხდარიყო და შესაბამისად, არცაა გასაკვირი, რომ ხმების 1 პროცენტი მიიღო.

ჯგუფური ეტაპის პირველ ორ მატჩში ხორვატებმა იამაიკა (3:1) და იაპონია (1:0) დაამარცხეს, რითაც მერვედფინალის საგზური მოიპოვეს. მესამე შეხვედრაში არგენტინასთან 0:1 დამარცხდნენ და ფლეი ოფში მეორე ადგილით გააღწიეს. *„ჩვენი მიზანი მერვედფინალში გასვლა იყო,“* – იხსენებს სოლდო, - *„მაგრამ ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ ყველანი მივხვდით, რომ უფრო მეტის მიღწევა შეგვეძლო და ამბიციებიც გაგვეზარდა.“*

„მივხვდით, რომ ნებისმიერის დამარცხება შეგვეძლო,“ – ეს პროსინეჩკის სიტყვებია. მერვედფინალში ხორვატიამ 1:0 სძლია რუმინეთს და მეოთხედფინალში გააღწია, სადაც ბალკანელებს **ბერტი ფოგთსის** გერმანია ელოდათ. ერთი სიტყვით, ისევ გერმანია! 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე ბუნდესგუნდმა ხორვატიას 2:1 მოუგო და ბლაჟევიჩის გუნდს ამჯერად შურისძიება სურდა. *„სანამ კრისტიან ვიორნსს მოედნიდან გააგდებდნენ, გერმანელებმა საუკეთესო თამაში აჩვენეს, მაგრამ ჩვენ ძალიან გვინდოდა იმ თამაშის მოგება, გერმანელებზე მეტად გვწყუროდა გამარჯვება და ამიტომაც მოვიგეთ!“* – ამბობს სოლდო.

მოგებაცაა და მოგებაც: ვიორნსი მე-40 წუთზე გააძევეს, რასაც მალევე მოჰყვა ხორვატების პირველი გოლი, საბოლოოდ კი 3:0 დაფიქსირდა – ხორვატიამ გერმანია დაიფრინა და ნახევარფინალში გავიდა. იმ გამარჯვების ლეგენდარული ფოტოები თითქმის ყველა ხორვატულ ოჯახში ინახება: მოზეიმე შუკერი ხორვატიის დროშით, გადარეული ბობანი პროსინეჩკის ზურგზე, ასანოვიჩის ცრემლიანი თვალები და ა.შ.

ნახევარფინალში კი 11 ხორვატი 11 ფრანგს მოედანზე და 80 000-ს „სტად დე ფრანსის“ ტრიბუნებზე დაუდგა. სოლდო: *„თამაში ძალიან მშვიდად დავიწყეთ, რადგან ჩვენ ფრანგებისგან განსხვავებით, დასაკარგი არაფერი გვქონდა.“* მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა შუკერმა, რომელიც მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, ხორვატია დააწინაურა, მაგრამ მერე ტიურამმა „რატომღაც“ კარიერის პირველი და ღღემდე უკანასკნელი დუბლი შეასრულა: ჯერ შუკერის გოლიდან 60 წამში საჯარიმოს მარჯვენა კუთხიდან გაიტანა, 69-ე წუთზე კი მორიგი მომაკვდინებელი დარტყმით საფრანგეთი წინ გაიყვანა. დუბლი კი არა, სხვათა შორის, ტიურამს მას მერე საფრანგეთის ნაკრების მაისურით გოლი საერთოდ აღარ გაუტანია.

1998 წელი: დავორ შუკერი, რობერტ პროსინეჩკი და ალიოშა ასანოვიჩი მუნდიალის მესამე ადგილის დაკავებას ზეიმობენ

მესამე ადგილისთვის მატჩში ხორვატებმა ჰოლანდიელები დაამარცხეს (2:1) – ისინი ვერ გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები, მაგრამ სამშობლოს გმირების სახელი კი ნამდვილად დაიმკვიდრეს. თუკი მუნდიალამდე ფეხბურთელთა უმრავლესობა ხორვატიის ჩემპიონატში თამაშობდა, მუნდიალის შემდეგ შიმიჩი ინტერმა გადაიბირა, ტუდორი „იუვენტუსმა“, სტანიჩი „პარმამ“, იარნი „რეალმა“, ბილიჩი „ევერტონმა“, ხოლო სოლდო კი „შტუტგარტმა“. თუმცა 1998 წლის მუნდიალი ყოველი მათგანის კარიერის უდიდეს მიღწევად დარჩა, ქვეყნისთვის კი, სადაც 4.5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, უპირველეს და უტკბეს მოგონებად.

„ჩვენ არ გვეგონა, რომ ასე შორტს წავიდოდით,“ – ამბობს სოლდო, - *„რაც არ უნდა იყოს, ეს ჩვენი პირველი მუნდიალი იყო და ცხადია, არ გვქონდა იმის ილუზია, რომ თუნდაც მესამე ადგილზე გავიდოდით. მაგრამ მწვრთნელი სულ გვიმეორებდა, ბიჭებო, თქვენ ფინალში გასვლა შეგიძლიათო. ბლაჟევიჩი მართალი იყო – ახლა რომ მახსენდება, ის გუნდი ისე იყო შეკრული და მოტივირებული, რომ ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონობაც შეგვეძლო. რომ არა ლილიან ტიურამი, გავხდებოდით კიდეც ჩემპიონები! თუმცა მესამე ადგილმაც უდიდესი ეიფორია გამოიწვია. სამოქალაქო ომითა და ეთნიკური კონფლიქტებით გატანჯულ ხორვატიას ის გამარჯვება მალამოსავით მოედო!“*

არცაა გასაკვირი, რომ 1998 წლის გუნდი ხორვატიის ფეხბურთის ისტორიაში ოქროს გენერაციად მოინათლა. მაშინ ხორვატიის ნაკრებს ბალკანეთის ბრაზილიასაც უწოდებდნენ, მაგრამ ეს არ იყო საჭირო – იმ ხორვატიის სხვა გუნდთან შედარება ცოდვაა, რადგან ის გუნდი არცერთ სხვა გუნდს არ ჰგავდა. 1998 წლის ხორვატიის ნაკრები მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში შევიდა...

გოტფრიდ ლენცი

ნიუკასლი

ელერდაისის სკამი შეირყა

ფეხბურთელები მწვრთნელის წინააღმდეგ. უსიამოვნო საუბარი სენტ ჯეიმს პარკზე...

„ნიუკასლში“ დაძაბულობა პიკს აღწევს. პრობლემებს მინდორზე (ზედიზედ სამი წაგებული მატჩი) მწვრთნელისა და წამყვანი ფეხბურთელების დაპირისპირებაც დაერთო. „სანის“ ცნობით, რამდენიმე დღის წინ ჯორდების ლიდერებმა **სემ ელერდაისს** მოახსენეს, რომ მისი ტაქტიკა არ მოსწონთ. არ ეთანხმებიან მის საკადრო პოლიტიკას და არც იმას, რომ გუნდის კაპიტნად „ჩელსიდან“ ზაფხულის ტრანსფერებისას გადაიყვანილი **ჯერმი** დანიშნეს. დღეს „ნიუკასლი“ „არსენალს“ უნდა შეხვდეს. თუ ელერდაისის შეგირდები ისევ დამარცხდებიან, მწვრთნელს შეიძლება დათხოვნის საფრთხე დაემუქროს. ელერდაისმა და „ნიუკასლის“ ფეხბურთელებმა დაპირისპირების შესახებ კომენტარის გაკეთება არ ისურვეს. „სანი“ გვაუწყებს, რამდენიმე მოთამაშის გვარს, რომელთაც დიდ სემს პრეტენზიები წაუყენეს. ესენი არიან **შეი გივენი** და **სტივ ჰარპერი**. ელერდაისს არ უარუყვია, რომ უსიამოვნო საუბარი ქონდა. დეტალების გამხელისაგან თავი შეიკავა, თუმცა დასძინა, ფეხბურთელებს ბევრი რამ არ მოსწონთ, მაგრამ მე მწვრთნელი ვარ და მათზე უკეთ მომეხსენება, გუნდისთვის რა აჯობებსო.

სემმა კიდევ ერთი საკამათო გადაწყვეტილება მიიღო, რომელმაც მოთამაშეების უკმაყოფილება გამოიწვია. შობასა და ახალ წელს შორის „ნიუკასლის“ ფეხბურთელები ახლობლებს ვერ ნახავენ. „ბოქსინგ დეიზე“, 26 დეკემბერს ჯორდები ვიგანში ითამაშებენ. 29 დეკემბერს კი „ჩელსის“ ესტუმრებიან. ამ თამაშებს შორის მწვრთნელი წინ დაბრუნებას არ აპირებს. ის 26-შივე აპირებს ლონდონში ჩასვლას და „არისტოკრატებთან“ მატჩისათვის მომზადებას. მის შეგირდებს კი ერთი ღამის სახლში გატარების იმედი ჰქონდათ. ელარდაისის გეგმა უსაფუძვლო არ უნდა იყოს. როცა გუნდს ზედიზედ ორი გასვლისი მატჩი აქვს, შინ ერთი ღამით დაბრუნებას მართლაც არა აქვს აზრი, მაგრამ მოთამაშეებს, რომლებიც ჩასაფრებულები არიან და მიზეზს ეძებენ, ამ ერთი შეხედვით ლოგიკურ გადაწყვეტილებასაც სკანდალის ასაგორებლად იყენებენ.



სემ ელერდაისს შეიძლება კარისკენ მიუთითონ...

სარაგბო წესი კალჩოში: დერეფანი ნამატჩევს

იტალიის ფეხბურთის ფედერაცია მინდორსა და მის მიღმა ძალადობის აღმოფხვრას ცდილობს. დიდი მცდელობის მიუხედავად, იდეალური წესრიგის დამყარება არ ხერხდება. ფედერაციის მაღალჩინოსნებმა იფიქრეს და გადაწყვიტეს, რომ გულშემატკივრებს პირველ რიგში მოთამაშეებმა უნდა უჩვენონ მაგალითი. ამიტომ სერიოზულად განიხილება გათამაშების რეგლამენტში ერთი პუნქტის დამატება. მასში ჩაინერება, რომ მეტოქე ფეხბურთელები ეალდებულნი იქნებიან, მატჩის დასტურულებისთანავე ერთმანეთს ხელი ჩამოართვან. იდეის ავტორთა აზრით, ეს ნესი „ფეარ ფლეის“ პრინციპს კიდევ უფრო განამტკიცებს. საფინალი სასტვენის შემდეგ ხელის ჩამორთმევა და მაისურების გაცვლა დღესაც ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა, მაგრამ იტალიაში ის ოფიციალურად დაკანონდება. ამ წესის დამრღვევს კი სანქციას დააკისრებენ. ახალი წესი „ფიორენტინისა“ და „ინტერის“ ბოლო ტურის მატჩში (0:2) მოსინჯეს და ის მშვენიერი სანახავი იყო. თამაშის შემდეგ მეგობრულად ხელის ჩამორთმევის დაკანონება ძალიან სარაგბო დერეფნის წესს. მოგეხსენებათ, სარაგბო შეხვედრის შემდეგ გუნდები ერთმანეთს დერეფანს უკეთებენ და მინდვრიდან ტაშით აცილებენ.

ვიქტორ ფერნანდესის ბოლო შანსი

„სარაგოსას“ ზუსტად ხუთი ტურია არ მოუგია. გუნდის ხელმძღვანელები და გულშემატკივრები აღშფოთებას ვერ მალავენ. მსგავს სიტუაციაში პასუხისმგებლობა რა თქმა უნდა, ყოველთვის მთავარ მწვრთნელს ეკისრება. ასეა ამ შემთხვევაშიც. ესპანურ პრესაში ინფორმაცია გავრცელდა, რომ არაგონული კლუბის შეფებმა **ვიქტორ ფერნანდესს** ულტიმატუმი წაუყენეს. თუ „სარაგოსა“ მომამავალ კვირას „ესპანიოლს“ არ მოუგებს, მას თანამდებობას დაატოვებინებენ. აღსანიშნავია, რომ სენიორ ფერნანდესის შესაძლო წასვლის შესახებ **დიეგო მილიტომაც** ისაუბრა. არგენტინელმა ფორვარდმა განაცხადა, არ გამიკვირდება, თუ ჩვენ დამრიგებელს დირექტორთა საბჭო სახლში გაუშვებსო. მილიტოს არგუმენტად, რა თქმა უნდა, უარყოფითი შედეგები მოჰყავს.

კასანო და ულივიერი დააჯარიმეს

სერია A-ს ბოლო ტურში „სამპდორიამ“ „რეჯინას“ უმასპინძლა. გენუელებმა მეტოქეს სამი უპასუხო გოლი გაუტანეს. თამაშის მსვლელობისას ერთი უსიამოვნო ინციდენტი მოხდა. „სამპის“ თავდამსხმელი **ანტონიო კასანო** მეტოქე გუნდის მთავარ მწვრთნელ **რეცნო ულივიერის** ნაკიდა. კასანო მადრიდის „რეალის“ საკუთრებაა. ის გენუურ კლუბში იჯარით თამაშობს. ინტერნიო მძიმე ხასიათითაა ცნობილი. კალაბრიელებთან შეხვედრისას მას საკუთარი თავის მოთოკვა გაუჭირდა და ყვითელი ბარათი მიიღო. „სამპდორიის“ ხელმძღვანელობამ ფეხბურთელი დაუყოვნებლივ შეცვალა. როგორც ჩანს, შეეშინდათ, რომ მას ნითელს ბარათსაც აუფრიალებდნენ. კასანო არა, მაგრამ მისი მეტოქე ულივიერი კი ნამდვილად გაუყენეს ტრიბუნის გზას. სინნიორ რენცომ მეტოქის თავდამსხმელთან უნმანური საუბრისათვის სიტყვიერი გაფრთხილება მიიღო, ტექნიკური ზონის დატოვებისათვის კი უმალ გააძევეს. გუშინ იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ კასანოსა და ულივიერის 10-10 ათასი ევროს გადახდა დააკისრა.

მარადონამ ფრანს ფუტბოლი მასხარად აიგდო

დიეგო მარადონა „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვას გამოეხმაურა და მისი შედეგი ეჭვქვეშ დააყენა. ლეგენდარული არგენტინელის აზრით „ოქროს ბურთს“ კაკაზე მეტად **მესი** და **რონალდინიო** იმსახურებდნენ: *„კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ჟურნალისტებს ფეხბურთში ბევრი არაფერი გაეგებათ. ისინი ძალიან ზედაპირულები არიან და სილრმეებს ვერ წვდებიან. ბარშან ეს ჯილდო ფაბიო კანავაროს მიანიჭეს წლის კი კაკას. რა თქმა უნდა, პროგრესი აშკარაა, მაგრამ შედეგი ჩემთვის მაინც მიუღებელია. „ოქროს ბურთი“ მესის ან რონალდინიოს უნდა მიეღო, მაგრამ ევროპელმა ჟურნალისტებმა კაკას მიანიჭეს უპირატესობა. ალბათ, იმიტომ, რომ კაკას „მილანმა“ ჩემ[illegible] საუკეთესო ფეხბურთელის გამოელენაა. ასეთებად კი სწორედ მესისა და რონალდინიოს მივიჩნევ. განა არ შეიძლება, მოთამაშე ფანტასტიკურად ასპარეზობდეს, მაგრამ გუნდმა ჩემპიონთა ლიგაში ვერ გაიმარჯვოს?“*

ბოკა ხუნიორსი

პალერმოს პაჭიმრობა ემუქრება

„ბოკა ხუნიორსის“ ცენტრ ფორვარდს, **მარტინ პალერმოს** პოლიციასთან ეჭვმიტანილის სტატუსით მოუწევს ურთიერთობა. არგენტინელი თავდამსხმელი ერთ-ერთი სასტუმროს თანამშრომლის ფიზიკურ შეურაცხყოფაშია ეჭვმიტანილი. „ბოკა“ შეკრებებისას მუდმივად ამ სასტუმროში ჩერდება ხოლმე. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი თანამშრომელი „რივერ პლეიტის“ თავგადაკლული ფანია. მან პალერმოს ცინიკურად პირში მიახალა, შენ რა ფეხბურთელი ხარ, ნიჭიერი რომ ყოფილიყავი, „მილიონარიოსი“ აგიყვანდაო. მარტინმა ვერ მოითმინა და „რივერის“ ინჩასს სახეში მუშტი უთავაზა. ამ ინციდენტს, მრავალი ადამიანი შეესწრო. დაკითხვაზე უკლებლივ ყველამ დაადასტურა, რომ პალერმომ სასტუმროს თანამშრომელს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. იურისტების თქმით, ფეხბურთელს სერიოზული უსიამოვნება ელის. უარეს შემთხვევაში მას ერთი წლით ციხეში ყურყუტი მიუწევს. საუკეთესო გამოსავალი კი მისთვის ორკვირიანი პატიმრობა და სოლიდური ფულადი ჯარიმა იქნება. ყველაფერი პროკურატურის განწყობასა და მოსამართლის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. „ბოკა ხუნიორსის“ შეფებმა ფეხბურთელს საუკეთესო ადვოკატები უკვე დაუქირავეს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაღათბურთი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ქართველი NBA-ში

ფაჩულიას მორიგი ტრავმა

„ატლანტა ჰოქსმა“ „ფილადელფიასთან“ გასვლითი მატჩი მოიგო (88:79) და სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში მეოთხედან მესამე პოზიციაზე აინაცვლა. მიმდინარე სეზონში ჯორჯიელთათვის სტუმრად გამარჯვებები ჩვეულებრივი ამბავია, ისევე, როგორც **ზაზა ფაჩულიას** ტრავმიანობა. სამწუხაროდ ქართველმა ცენტრმა მუხლის, იდაყვისა და კოჭის მოშუშების შემდეგ, ფილადელფიაში სახე დაიზიანა:

„ზაზა მატჩში 6.56 წუთზე ჩაერთო, **ჯო ჯონსონისთვის** ერთი შედეგიანი გადაცემის გაკეთება მოასწრო და მოედანი 28 წამში დატოვა. მწვრთნელმა, **მაიკ ვუდსონმა** შეცვლა იძულებით გააკეთა, რადგან, ფაჩულიას ფარქვეშ ბურთისთვის ბრძოლაში **სამუელ დალამბერის** ხელი სახეში მოხვდა და სერიოზული დაზიანება მიიღო. იმ მატჩში ქართველი მოედანზე აღარ გამოჩენილა, თუმცა, ექიმების მტკიცებით, ტრავმა არც ისე სერიოზულია და „ატლანტას“ მომდევნო შეხვედრაში ზაზა მონაწილეობას მიიღებს.“ - ვკითხულობთ გაზეთ „ატლანტა კონსტიტუშენში“.

მორიგი თამაში „ჰოქსს“ „დეტროიტის“ წინააღმდეგ დღეს გამთენიისას უნდა ჩაეტარებინა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ზაზას სახეზე ტრავმა შარშანაც ჰქონდა, მას ვარჯიშისას **ლორენცენ რაითმა** იდაყვი ჩაარტყა და წარბზე 12 ნაკერის დადება დასჭირდა.

რადგან ფაჩულიას სრული მონაგარი უკვე გაგაცანით, მატჩის ქრონოლოგიას დღეს აღარ შემოგთავაზებთ. მხოლოდ შეხვედრის ოქმს ვაქვეყნებთ.

ფილადელფია-ატლანტა 79:88

17:24, 29:21, 16:21, 17:22

ატლანტა: ე. ჯონსონი (2ქ, 3პ), ჯ. ჯონსონი (15ქ, 7ბ), ჯ. სმიტი (22ქ, 7მ, 6ბ, 4დ), მ. უილიამსი (16ქ), ჰორფორდი (12ქ, 13მ), ზაზა ფაჩულია (28 წამი, 1პასი), ჩილდრესი (16ქ), ლიუ (8ქ), შ. უილიამსი (5ქ), უესტი, ლოუ, სტაუდმაიერი

ფილადელფია: მილერი (18ქ), გრინი (23ქ), ევანსი (3ქ, 10მ), იგუოდალა (11ქ, 8მ), დალემბერი (5ქ, 10მ), კორვერი (11ქ), ლ. უილიამსი (3ქ), სმიტი (5ქ)

16-წლამდელთა ნაკრები

ელიტაში გავერევით

„6-9 დეკემბერს საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები ესპანეთის საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ქალაქ ისკარში ქართველთა გარდა მასპინძელთა, იტალიის, თურქეთის, სლოვენიის, პოლონეთისა და უნგრეთის ნაკრებები მიიღებენ მონაწილეობას. 1992 წელს დაბადებული ქართველები ჯგუფურ ეტაპზე 6 დეკემბერს სლოვენიელებს შეხვდებიან, 7 დეკემბერს - ესპანელებს, ხოლო 8 დეკემბერს - პოლონეთს. ეს მატჩები განიხილება როგორც ევროპის 2008 წლის ჩემპიონატისთვის მზადების პირველი ეტაპი. ევრო-2008-ს იტალიის ქალაქი კიეტი 15-24 აგვისტოს უმასპინძლებს.“ - ვკითხულობთ კალათბურთის ფედერაციის პრეს-რელიზში.

რელიზი გუშინ კლუბ „12 მაგიდაში“ დაგვირიგეს, სადაც ჯურნალისტები ესპანეთში მიმავალ გუნდს, ფედერაციის და მერიის სპორტის სამსახურის წარმომადგენლებს შეეხვედით.

პრესკონფერენცია კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **მერაბ რატიშვილმა** გახსნა: - *საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით 1992 წელს დაბადებულთაგან დაიწყო ახალი პროექტის განხორციელება, რომლის მიხედვით წინასწარ მიმდინარეობს კადეტთა ასაკის გუნდის ჩამოყალიბება და ევროპის ჩემპიონატისთვის მომზადება. 16-წლამდელთა ნაკრებს აქამდეც თბილისის მერია ეხმარებოდა და ეს თანამშრომლობა ახლა კიდევ უფრო გაღრმავდა. ბოლოს ერთს დავამატებ - ასეთი მაღალი დონის ტურნირში საქართველოს კადეტთა ნაკრებს აქამდე მონაწილეობა არ მიუღია. ფიბას წესდებით ქვეყნის სახელწოდების ქვემოთ მაისურზე გენერალური სპონსორის სახელი უნდა ეწეროს. საქართველოს ნაკრებს GEORGIA-ს ქვემოთ თბილისის მერია დავაწერეთ.*

ზაზა დოლიძე, გელა წულაძე და მერაბ რატიშვილი

16-წლამდელთა ნაკრები

მოთამაშე	სმ	გუნდი
4. ნიკოლოზ მაღლაკელი	194	მართვე-1
5. დავით გურაბანიძე	174	მართვე-1
6. გოგა ჯავახიშვილი	198	აკადემია
7. გიორგი ტატელაშვილი	187	მართვე-2
8. მერაბ გოძოლიშვილი	194	აკადემია
9. ლევან ელაიძე	195	გათუმი
10. ირაკლი ჩერქეზიშვილი	174	მართვე-1
11. ნოდარ თენეიშვილი	194	გათუმი
12. შალვა კაკაურიძე	190	
13. ირაკლი ალხანიძე	198	დინამო
14. გიორგი მირიანაშვილი	194	მართვე-2
15. ნოდარ შარაბიძე	198	თსუ
16. სერგი მელაძე	194	მართვე-2

მთავარი მწვრთნელი: გელა წულაძე
მწვრთნელები: გია კაზანჯიანი, გია ტატელაშვილი
ექიმი: ზურაბ იოსელიანი
დელეგაციის ხელმძღვანელი: მერაბ რატიშვილი

მერიის სპორტის სამსახურის უფროსის თანაშემწემ **ზაზა დოლიძემ** ქართველ 16-წლამდელებს წარმატება უსურვა და დაჰპირდა: - *თუ კარგ შედეგებს მიაღწევთ, თბილისის მერია კიდევ უფრო დაგეხმარებათ. ჩვენ გვაღელვებს ქართული კალათბურთის მომავალი და ყველანაირად გვერდში დაგიდგებით. ესპანეთის ტურნირზე კადეტთა ნაკრებს მერია ეკიპირებით, მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯებით უზრუნველჰყოფს.*

საუბარი 16-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გელა წულაძემ** განაგრძო: - 1992 წელს დაბადებულთა გუნდი 3 წლის წინ შევკრიბეთ და მას შემდეგ ერთად ვვარჯიშობთ. შარშან სტამბოლში საერთაშორისო ტურნირზე ვიყავით, სადაც 4-დან 2 მატჩი მოვიგეთ. წელს საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში ჩავერთეთ, სადაც 2-3 წლით უფროსებს ვეთამაშებით და გამოცდილებაც საკმარისად შევიძინეთ. კონკრეტულად ესპანეთის ტურნირისთვის არ მოვმზადებულვართ, თუმცა გვქონდა ორჯერადი ვარჯიშები და პირენეებზე მომზადებულები მივდივართ. ეს ტურნირი ამ ზაფხულს გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია და ჩვენთვის მთავარი გუნდის სათანადო კონდიციებში შეყვანაა. ბოლოს დავძენ, რომ ნაკრების დაკომპლექტება ჯერ არ დასრულებულა, თუკი ვინმე თავს გამოიჩენს, ჩვენს გუნდში მოხვედრის კარგი შანსი ექნება. ვცდილობთ, რომ ნაკრებში დიდი კონკურენცია გვქონდეს.

16-წლამდელთა მეორე მწვრთნელმა **გია ტატელაშვილმა** განგვიმარტა, რომ ესპანელებმა მოწვევა გამოგზავნეს და მსგავს შეთავაზებაზე უარის თქმა ნამდვილად არ შეიძლებოდა. კალათბურთის ფედერაციას მხარში თბილისის მერია ამოუდგა და ჩვენი ესპანეთში გამგზავრების საქმეც დადებითად გადაწყდაო.

ბოლოს პირენეებზე მიმავალი ნაკრების სრულ შემადგენლობას გაგაცნობთ.

ვაჟა სიმონიშვილი

ჭრიკი

ევრონული ნაკრები

თენგიზ მესხაძე თანამდებობაზე რჩება

აიბა-ში ჩვენი კაცი გვეყოლება

საქართველოს კრივის ფედერაციამ სეზონი პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატით დაამთავრა, თუმცა, ჩვენი ეროვნული ნაკრები ხელმოცარული დარჩა. ასე რომ, თუკი პეკინში მოხვედრა გვინდა, გაისად რომისა და ათენის სალიცენზიო ტურნირებზე უნდა მივაღწიოთ წარმატებებს, სადაც არანაკლებ რთული გზა იქნება გასავლელი, ვიდრე მსოფლიო ჩემპიონატზე. ნაკრები უკვე შეუდგა სამზადისს ახალი სეზონისთვის.

გუშინ ვესაუბრეთ საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალურ მდივანს ვლადიმერ ახალკაცს, რომელმაც სანაკრებო საკითხების გარდა, ერთი ფრიად მნიშვნელოვანი სიახლეც გვამცნო:

- დამიკავშირდა კრივის საერთაშორისო ფედერაციის (აიბა) პრეზიდენტი ვუ, რომელმაც მითხრა, რომ საერთაშორისო ფედერაციაში ტექნიკური კომისიის ვიცე-პრეზიდენტად მნიშნავს. აღნიშნული კომისია საკმაოდ გავლენიანია - სწორედ იგი ნიშნავს ოფიციალურ შეჯიბრებებზე მსაჯებს.

- ანუ ტექნიკურ კომისიაში თქვენი დამტკიცებით, მსაჯობის პრობლემა აღარ შეგვაწუხებს?

- სამწუხაროდ, ჩვენი მოკრივეები აქამდე მართლაც არაერთხელ გამხდარან არაობიექტური მსაჯობის მსხვერპლნი. რა თქმა უნდა, ჩემი აიბა-ს ტექნიკურ კომისიაში დანიშვნა ამ პრობლემას აუცილებლად მოაგვარებს.

- ეროვნულმა ნაკრებმა უკვე დაიწყო სამზადისი ახალი სეზონისთვის?

- რა თქმა უნდა. გაისად ორი უმნიშვნელოვანესი შეჯიბრება გველის - ათენისა და რომის სალიცენზიო ტურნირები, სადაც ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ პეკინს მილმა არ დავრჩეთ. ამჟამად, ნაკრები ქუთაისში გადის შეკრებას. იანვარში გვექნება კიდევ ერთი შეკრება და ეროვნული ჩემპიონატი. 24 თებერვალს კი ათენის ტურნირი გვეწყება. გვინდა, ათენამდე კიდევ ერთ ტურნირზე გამოვიდეთ.

- რა სისტემით გათამაშდება ლიცენზიები ათენსა და რომში?

- ზოგ წონით კატეგორიაში ნახევარფინალისტობა იქნება საკმარისი, ზოგში კი ფინალში გასვლა დაგვჭირდება.

- ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი თენგიზ მესხაძე დარჩება თანამდებობაზე?

- აუცილებლად! მიუხედავად იმისა, რომ მესხაძეს მსოფლიო ჩემპიონატისთვის გუნდის მოსამზადებლად საკმაოდ ცოტა დრო ჰქონდა, მაინც მოასწრო ნაკრებისთვის ხელის დატყობა. იშვიათად მინახავს ისეთი მწვრთნელი, რომელიც მესხაძესავით გადაყოლილი იყოს საკუთარ საქმეზე. ამიტომაც, იგი აუცილებლად დარჩება თანამდებობაზე.

კობა ხატისაშვილი

ჩოგბურთი

შაფათავა ოლბლიანი ნაგებულია

ჩეხეთის ქალაქ პრეროვში ჰარდის საფარის კორტებზე ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია. ტურნირში ორი ქართველი ჩოგბურთელი ჩაება, ორივე საკვალიფიკაციო ბადეში. **სოფიო შაფათავა** იქ მეორე ნომრად განთესეს, **თინათინ ყავლაშვილი** კი მე-13 ნომრად. პირველ საკვალიფიკაციო წრეში სოფიო შაფათავა ჩეხ **სიმონა დობრას** შეხვდა და 6:2, 4:6, 6:2 მოუგო. თინათინ ყავლაშვილმა 15 წლის ჩეხ **კრისტინა ჰანჩაროვას**, რომელიც „უაილდ ქარდით „ მოხვდა საკვალიფიკაციო ტურნირში, ოლად მოუგო - 6:2, 6:4. საკვალიფიკაციო წრეში სოფიო შაფათავამ მე-14 ნომრად განთესილ რუმინელ **ლაურა-იონა ანდრეისთან** წააგო - 6:4, 6:7, 3:6. ასევე რუმინელ ჩოგბურთელთან დამარცხდა თინათინ ყავლაშვილი, მან **ალექსანდრა კადანტუსთან** (423) წააგო - 4:6, 2:6. ძირითად ბადეში შაფათავა მაინც მოხვდა, როგორც ოლბლიანი დამარცხებული. ტურნირის პირველ წრეში შაფათავა მე-7 ნომრად განთესილი ჩეხი **ლუსი ჰრადეცკა** (243) იქნება.

სოფიო შაფათავა

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჭადრაკი

ნაზი პაიკიძე

ინტერვიუ ნაზი პაიკიძესთან

მინდა, ბოლომდე ქართველად დავრჩე

ანთალიაში ქართველთა მიერ მოპოვებული გამარჯვებებისგან მიღებული სიამოვნება ჯერაც არ გაგვნელებია. გვინდა, ნაზი პაიკიძისა და ქეთი წაწალაშვილის მსოფლიო ჩემპიონობა კიდევ ერთხელ შევახსენოთ მკითხველს და, დაპირებისამებრ, ნაზი პაიკიძესთან ინტერვიუ შემოგთავაზოთ. ნაზი ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს და სასაუბროდ იქ დაკავშირება გახდა საჭირო. დარეკვა უჩვეულოდ გაგვიჭირდა, - ხშირად კავშირიც წყდებოდა, მაგრამ საჭირო კითხვების დასმა მაინც შევძელით და პასუხების მიღებაც მოხერხდა...

- ნაზი, პირველ რიგში გილოცავ მსოფლიო ჩემპიონობას. წლევანდელი წელი შენთვის განსაკუთრებული იყო - ევროპის ჩემპიონიც გახდი ამავე ასაკში. ქართველ მკითხველს ძალიან დაინტერესებს შენი მოსკოვური ცხოვრებაც: როგორ მოეწყვე, ვისთან და სად მეცადინეობ და ხარ თუ არა მანდაური ყოფით კმაყოფილი?

- დიდი მადლობა მოლოცვისთვის. მოსკოვური ცხოვრება მართლა საინტერესოდ მიდის: ვმეცადინეობ საჭადრაკო სკოლაში, რომელიც ცნობილ „ვორობიოვა გორაზეა". მწვრთნელად რუსეთის დამსახურებული მწვრთნელი ვლადიმერ ლიპიოშკინი მყავს. ის საკმაოდ მაღალი დონის მწვრთნელია - თავის დროზე მაია ჩიბურდანიძეს და ქეთევან არახამიასაც ამეცადინებდა. მთავარია, რომ სათამაშო პრაქტიკის პრობლემა აღარ მაქვს, რაც სათანადოდ აისახება ჩემს შედეგებზე.

- რა წარმატებებს მიაღწიე იმ ერთი წლის განმავლობაში, რაც მოსკოვში გადახვედი?

- რამდენიმე ტურნირში ვიმარჯვე, ბევრში საპრიზოზე გავედი. აქ უამრავი ტურნირი იმართება და მოწყენის საშუალება არ მაქვს. რეიტინგში 150 პუნქტით მოვიმატე, გავხდი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი 14-წლამდელ გოგონათა შორის, შევასრულე საერთაშორისო ოსტატის ნორმატივი. ასე რომ, შედეგები თავისთავად მეტყველებს ყველაფერზე.

- თუ ამჩნევ ქართულ და რუსულ სკოლებს შორის განსხვავებას? რომელი სჯობს?

- აქ ბევრად მეტი ყურადღება ექცევა ამ სახეობას, მაღალი დონის მწვრთნელთა სიმრავლეც არის და რაც უკვე გითხარით და ყველაზე მთავარია, სათამაშო პრაქტიკის დეფიციტს არავინ განიცდის.

- ჩემპიონობა არასდროს არის იოლი, მაგრამ შენი თამაში ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ დიდი ძალისხმევის გარეშე იგებდი...

- ძალიან მართლაც არ გამჭირვებია, თუმცა იოლად არაფერი მოსულა - ყოველი ქულისთვის მთელი ძალით ვიბრძოდი. როგორც ევროპაზე, ისე მსოფლიოზე უპირველესი ფავორიტი ვიყავი - საუკეთესო რეიტინგი მქონდა და ეს ორმაგად მობილიზებას მაიძულებდა. მიხარია, რომ შევძელი რენომეს დაცვა და ორი მნიშვნელოვანი ტიტული მოვიპოვე.

- ასეთი გამარჯვებების შემდეგ, ხშირად მოჭადრაკეები თანატოლებში თამაშს თავს ანებებენ და უფროსებში გადადიან. შენ რეიტინგიც საკმაოდ მაღალი გაქვს და ალბათ - ამბიციაც, უფროსებს შეებრძოლო. ასეთ გზას ხომ არ აირჩევ?

- არაფერია გამორიცხული, მაგრამ ალბათ მაინც ვითამაშებ ასაკობრივ ჩემპიონატებში - გაისად 16-წლამდელებში მიწევს გამოსვლა, რაც საკმაოდ დიდი გამოწვევაა და ძალიან მაინტერესებს, რას შეკძლებ. ამის შემდეგ კი კონკრეტული გზები გამოჩნდება - ან გავაგრძელებ ამგვარ ტურნირებში თამაშს, ან შევწყვეტ.

- შენ დღემდე საქართველოს სახელით თამაშობ. არადა, მოსკოვში ემზადები და მწვრთნელიც რუსი გყავს. გამორიცხულია, რომ რუსებმა მოქალაქეობის შეცვლა არ შემოგთავაზონ. არის თუ არა მათი მხრიდან ასეთი მცდელობა და შენ რა აზრის ხარ?

- მსგავსი წინადადებით მართლაც მომმართეს ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, მაგრამ მე უარი ვუთხარი. ანთალიიდან დაბრუნების შემდეგ კვლავ ჩამოაგდეს ამ საკითხზე საუბარი, მაგრამ ამჯერადაც უარით გავისტუმრე. სიმართლე გითხრათ, გარუსების არანაირი სურვილი არ მაქვს.

- შენი შემართება მისასალმებელია, მაგრამ თუკი წლების განმავლობაში მოსკოვში უნდა იცხოვრო და ივარჯიშო, ვალდებულიც გახდები მათ ანგარიში გაუწიო. მეორეც: შესაძლოა ისეთი პირობები შემოგთავაზონ, რომელზე უარის თქმაც ძალიან გაგიჭირდეს. მით უფრო, რომ საქართველოდან ალტერნატივას არავინ გთავაზობს...

- გეთანხმებით, რომ რუსებმა შეიძლება ყველა ღონეს მიმართონ და საკმაოდ კარგი პირობებიც შემომთავაზონ, მაგრამ ჯერჯერობით კონკრეტული წინადადებით არავინ მოსულა. სამწუხაროდ, არც საქართველოდან მეხმიანება ვინმე. ერთ წელზე მეტია, რაც მოსკოვში ვარ და დღემდე არავის მოვუკითხივარ, არც კი მოულოცავთ ჩემპიონობა. ცხადია, არ ვგულისხმობ იმ ხალხს, ვინც ანთალიაში იყო, - მათ ადგილზე მომილოცეს, მაგრამ სხვებს ყურიც არ შეუბერტყავთ...

- ნაწყენი ჩანხარ და ეს ბუნებრივიც არის. მეჩვენება, რომ ცდუნებას დიდხანს ვერ გაუძლებ და რუსთა წინადადებას მიიღებ.

- როგორც გითხარით, გარუსების არანაირი სურვილი არ მაქვს, მაგრამ თუ ხელშეწყობა არ მექნება, სხვათა წინადადებაზე სერიოზულად დავფიქრდები. მოსკოვში მთელი ოჯახით ვართ წამოსული. აქ წლების მანძილზე უნდა ვიცხოვროთ და იმ ხალხს, ვინც ჩემთვის ძალებს არ ზოგავს, უმადურობით ვერ ვუპასუხებ. ახლაც, ანთალიაში, ჩემი პირადი მწვრთნელი არ მახლდა, მაგრამ რუსთა დელეგაციაში რამდენიმე მწვრთნელი იყო და ყველა მათგანი უანგაროდ მეხმარებოდა.

- როგორც ვიცი, თბილისის მეორე ექსპერიმენტული სკოლის მოსწავლედ ითვლები. ამ პრობლემას როგორ აგვარებ?

- სკოლის დირექცია ყოველმხრივ მიწყობს ხელს - მათთან სისტემატური კავშირი მაქვს და პრობლემას არ მიქმნიან.

- გამოდის, რომ სასკოლო განათლებას ვერ იღებ. თუ სემესტრის ბოლოსთვის ჩამოდიხარ და გამოცდებს აბარებ?

- ჩამოსვლას ნამდვილად ვერ ვახერხებ და შესაბამისად ვერც საგნებს ვაბარებ, მაგრამ აქ, მოსკოვში, კერძო მასწავლებლები მყავს დაქირავებული და აუცილებელ ცოდნას მათგან ვიღებ.

- ეს საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. და ალბათ მშობლებს დიდ ტვირთად აწევს. როგორ უმკლავდებიან ამ პრობლემას - სამუშაო იშოვეს?

- დედ-მამაც კარგად მოეწყო მოსკოვში. ორივეს სამსახური აქვს, რაც საშუალებას გვაძლევს, ჩემი სწავლისა და ვარჯიშის ხარჯები დავფაროთ...

- ძალიან კარგი, თუმცა ქართველებს დასაკარგად მაინც არ გვემეტები და ეგებ ჩვენთან ისეთი პირობები შეიქმნას, შენი დაბრუნება რომ შესაძლებელი გახდეს. სამშობლო ალბათ გენატრება. სტუმრად მაინც თუ აპირებ ჩამოსვლას?

- სამშობლო მართლაც ძალიან მენატრება, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ვახერხებ ჩამოსვლას. თუ საქართველოში ჭადრაკის განვითარებისთვის კარგი პირობები შეიქმნება, დაბრუნებაზე უარს არ ვიტყვი, - ჩემი სურვილია, ტიტულები სამშობლოს სახელით მოვიპოვო. იმედია, ამის საშუალება მომეცემა.

ზვიად შათირიშვილი

თენგიზ გაზდელიანი



შარშან, 12 იანვარს, 60 წლისა გახდა. დიდ სამეგობროსთან, ახლობლებთან და თაყვანისმცემლებთან მაშინდელი ეს საიუბილეო შეხვედრა უკანასკნელი გამოდგა - დაბადებიდან კიდევ ერთი წლის სრულად მითვლა აღარ დასცალდა.

დაიბადა ლენტეხში, მაგრამ 9 წლიდან თბილისში იზრდებოდა, დაამთავრა 62-ე სკოლა, შემდეგ სამედიცინო ინსტიტუტი. ეს ის პერიოდია, როცა საფუძველს იმტკიცებს ქართული ხელბურთის ოქროს ხანა და თენგიზ გაზდელიანს ჭაბუკობაში მიღწეულმა წარმატებებმა, მთელ საბჭოთა კავშირში მაშინ უძლიერეს გუნდში - „ბურევესტნიკში" გაუხსნა მწვანე გზა. ორჯერ დაეუფლა სსრკ ჩემპიონატის ვერცხლის მედალს, გახდა სპორტის ოსტატი. ძალიან განიცდიდა, რომ მისთვის მეორე გატაცების - ფეხბურთის თამაშის დროს მიღებული ტრავმის გამო, ხელბურთს ნაადრევად ჩამოშორდა.

ბრწყინვალე პიროვნებამ, ცხოვრების სარბიელზეც წარუშლელი კვალი დატოვა. იყო პარლამენტარი და ხელმძღვანელობდა ჯანმრთელობის დაცვის კომისიას, 1994-99 წლებში მუშაობდა სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების მინისტრად, თავმჯდომარეობდა პოლიტიკურ ორგანიზაცია „ლემს", 1996-2004 წლებში საქართველოს ხელბურთის ფედერაციას ედგა სათავეში, გარდაცვალებამდე კი რჩებოდა მის საპატიო პრეზიდენტად.

თ. გაზდელიანი ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი ზნეობით, რომლისთვისაც მთავარი იყო ადამიანი და ზრუნვა ადამიანისთვის. სწორედ ამიტომ მოიპოვა საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული, მისი თაოსნობით არაერთი სიახლე დაინერგა სოციალურ სფეროში. უმცროსი ვაჟიშვილის დაღუპვის შემდეგ, მეგობრების თანადგომით, ეკლესიები ააშენა თბილისში და მშობლიურ სვანეთში.

ხვალ, 6 დეკემბერს, სწორედ მის მიერვე აშენებულ საბურთალოს სასაფლაოს ეკლესიიდან გააცილებს უკანასკნელ გზაზე ჩვენი საზოგადოებრიობა თენგიზ გაზდელიანს.

საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია

გამოთხოვება

დიდია ის ტკივილი, რომელიც თავის ახლობლებს და მეგობრებს, საერთოდ, ყველას, ვინც იცნობდა, განგვაცდევინა თენგიზ გაზდელიანის ნაადრევად ამქვეყნიდან წასვლამ.

ჩვენ, ვისაც მასთან ათეული წლების მეგობრობა გვაკავშირებდა, ბედნიერები ვიყავით, რომ ასეთ ზნეკეთილ, მაღალი ინტელექტის, რაინდული თვისებებით დაჯილდოებულ პიროვნებასთან გვქონდა ურთიერთობა. გული წყდებოდა, რომ სპორტში ბოლომდე არ მიეცა შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება, მაგრამ თავისი სიტყვა გვიან მაინც თქვა, როგორც ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა. სწორედ მის ხელმძღვანელობას უკავშირდება საქართველოს ვაჟ ხელბურთელთა ნაკრების ყველაზე ხმაურიანი წარმატება 1999 წელს. ხანგრძლივი ჩავარდნის შემდეგ მონაწილეობა ევროპის ჩემპიონატის ფლეი ოფში. მანვე შექმნა ეროვნული ნაკრების ბაზა. სამწუხაროდ, როგორც ფედერაციის საპატიო პრეზიდენტს ახალი ჩანაფიქრების რეალიზება აღარ დასცალდა.

სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში უნაკლო პიროვნების და სამშობლოს დიდი პატრიოტის, თენგიზ გაზდელიანის ხსოვნა, რომელმაც ძალიან ბევრი გააკეთა თავისი ქვეყნისა და ხალხის, ქართული სპორტის სასიკეთოდ.

საქართველოს ვეტერან ხელბურთელთა პირველი თაობის სახელით:
ჯემალ ცერცვაძე, ჯანო ბაგრატიონი, იმედო ფხაკაძე, გარი მაჭავარიანი;
ფედერაციის საპატიო პრეზიდენტები: *ნიკა ცხაკაია, მამუკა სხიერელი.*

წიგნის თარო

ქველმოქმედთა დახმარებით



ყოველი ახალი სპორტული გამოცემა, დაინტერესებული მკითხველისთვის, მათი რიცხვი კი ძალზე დიდია, ყოველთვის ძვირფას საჩუქრად აღიქმება, მით უმეტეს, თუ წიგნი გამორჩეულად პოპულარულ სპორტის სახეობას ეძღვნება. მაგრამ ორმაგად სასიხარულოა, როცა გამოცემა, გარდა შემეცნებითი მნიშვნელობისა, სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელოცაა. სწორედ ასეთი წიგნი მოამზადეს და ქველმოქმედი მეგობრების, ვეტერანი კალათბურთელების **ვაჟა ქუთათელაძის, თამაზ ჩიხლაძის** და **დავით მაღალთაძის** დახმარებით დღის სინათლეზე გამოიტანეს ნარსულში ცნობილმა კალათბურთელებმა, **ვალერი ალთაბაევმა, ანტონ კაზანჯიანმა** და ვეტერანმა მძლეოსანმა, ფიზიკურ მომზადებაში ზ. საკანდელიძის, ნ. დერიუგინის, ნ. ცქიტიშვილის და სხვათა მნვრთნელმა **მამია ტუღუშმა.**

საკმაო მოცულობის ეს გამოცემა თითქმის ყველაფერს იტევს - ისტორიიდან დაწყებული, კალათბურთელთა მომზადებაში მიღნეული და დანერგილი თანამედროვე სიახლეების განზოგადებით დამთავრებული. თვით ის ფაქტი, რომ წიგნი განკუთვნილია, როგორც კალათბურთის მოყვარულებისთვის, ისე სტუდენტებისთვის, მწვრთნელებისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებისთვის, ბევრის მეტყველია თუნდაც შინაარსობრივი სპექტრის გამო.

რედაქტორია საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ბესიკ ლიპარტელიანი**, რეცენზენტები: სპორტის დამსახურებული ოსტატი, ვეტერანი კალათბურთელი **გურამ მინაშვილი** და პროფესორი **ჯემალ ძაგანია.**

თეატრი

მიხეილ სალაძე. დაიბადა 05.XII. 1953, არგვეთა, ზესტაფონი. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობა (100კგ). მსოფლიოს ჩემპიონი (1981), მსოფლიოს თასის მფლობელი (1981), მსოფლიო უნივერსიადის სამგზის ჩემპიონი (1973, 77, 82), სსრკ ოთხგზის ჩემპიონი (1976, 79, 81, 82) და სამგზის მერე პრიზიორი (1973, 77, 80), სსრკ თასის ორგზის მფლობელი (1973, 76), სსრკ ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონი (1979) და VIII სპარტაკიადის მეორე პრიზიორი (1983), იტალიის დიდი პრიზის (1973) და „ადრიატიკის თასის" ორგზის (1976, 77) მფლობელი, 1981 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოჭიდავე. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსების ორდენის ორგზის და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალერი.

LOYALCAPITAL group

ᲙᲕᲐᲠᲪᲘᲢᲘ QUARTZITE

BTA Silk Road Bank

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲛᲔᲠᲐᲑ ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ

ᲐᲠ ᲕᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑ, ᲨᲐᲜᲡᲡ ᲕᲔᲚᲝᲓᲔᲑᲘ...

მერაბ კვირიკაშვილი საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ნაკრების 10 ნომერი მერაბ კვირიკაშვილი საფრანგეთის მე-2 დივიზიონის „პოში“ გასულ სეზონში გადავიდა, როცა იმ გუნდს უჭირდა და დივიზიონიდან გავარდნას ძლივს გადაურჩა. მაშინ კვირიკაშვილს ძირითად შემადგენლობაში თამაშის პრობლემა არ ჰქონდა. დღესდღეობით მდგომარეობა რადიკალურად განსხვავებულია.

- რატომ არ მათამაშებენ ვერ ვხვდები. - გვითხრა **მერაბ კვირიკაშვილმა**. - ყოველ შემთხვევაში, დამაჯერებლად მიზეზს ვერავინ მეუბნება. მსოფლიო თასის გათამაშებიდან რომ დავბრუნდი, მითხრეს, დიდი ხანია გუნდთან არ გივარჯიშია, შეთამაშება გაკლია და ცოტა ხანი მოითმინეო. ეს ცოტა დროც რომ გავიდა, მითხრეს, დავიდ ოკანი ბოლო სეზონს ატარებს და გვიჭირს მისი შემადგენლობიდან ამოგდებაო. ოკანი ერთი პერიოდი საფრანგეთის ნაკრებში თამაშობდა, 33 წლისაა და მართლაც ბოლო სეზონს ატარებს. წარმოშობით აქაურია და გულშემატკივრების კერპია.

- გამოდის, უთამაშებელი ხარ. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?

- უთამაშებელი არ ვარ. სათადარიგო გუნდში ორჯერ ვითამაშე. პირველი თამაშის მერე უკმაყოფილონი იყვნენ, მეორე თამაშით კი აღფრთოვანებულნი დარჩნენ, თუმცა ძირითადი შემადგენლობაში მაინც ვერ მოვხვდი.

- ხომ შეიძლება, სათადარიგოთა შორის მაინც შეგიყვანონ?

- ჩვენი გუნდის უკანა ხაზის მწვრთნელს იანიკ გვინიეტის არ უნდა, რომ სათადარიგოთა შორის ვიყო. უკანა ხაზის შემადგენლობას ის წყვეტს და უნდა, პირდაპირ ძირითადში დავიწყო თამაში. ისე, როგორც ეს გასულ სეზონში ხდებოდა და საჭიროების შემთხვევაში 9 ნომერზეც უნდა ვითამაშო. ასე რომ, ჩემს შანსს ველოდები, იმედი მაქვს, მალე მომეცემა.

- „პომ“ წლევანდელი სეზონი შარშანდელთან შედარებით გაცილებით უკეთ დაიწყო და საფლეიოფო ოთხეულში მოხვედრის შანსიც აქვს.

- დიახ, ასეა. ექვს თამაშში სამი მოვიგეთ, სამივეში პრემიალური ქულებიც ავიღეთ. თუმცა, ფლეი ოფში მოხვედრა მაინც ძალიან რთული იქნება. მართალი გითხრათ, ასეთი ამოცანა გუნდის ხელმძღვანელებს ჩვენს წინაშე არც დაუსახავთ. მთავარია, მე-2 დივიზიონში შევინარჩუნოთ ადგილი.

- თქვენ გუნდში ბევრი რუმინელია, როგორი ურთიერთობა გაქვთ მათთან?

- „პოში“ ოთხი რუმინელი - სორინ სოკოლი, რაზვან მავროდინი, იულიან დუმიტრაში და დრაგოშ დიმა თამაშობენ. ნორმალური ურთიერთობა გვაქვს. გუნდში ძალიან მეგობრული ატმოსფეროა. სამი-ოთხი კაცის გამოკლებით, ყველას მშვენიერი ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან. ჩვენ გუნდშია ასევე რუსი ვიაჩესლავ გრაჩოვი, რომელიც ძალიან კარგი ადამიანი აღმოჩნდა. ქართველებს დიდ პატივს გვცემს.

- როგორ აფასებენ თქვენს კლუბში ჩვენი ნაკრების მსოფლიო თასზე თამაშს?

- ძალიან გაკვირვებულნი იყვნენ. სინამდვილეში ახლა გაგიცანითო, მითხრეს კლუბის ხელმძღვანელებმა. მოთამაშეებმაც და გულშემატკივრებმაც, ვისთანაც შეხვედრა მომინია, ყველამ აღფრთოვანება გამოთქვა. ქომაგებმა მითხრეს - რა მაგრები ყოფილხართ, თქვენით გავიცანით საქართველო და ქართველი ხალხიო, ვაჟკაცი ხალხი ყოფილხართო. სხვათაშორის, გულშემატკივრებთან ჩვენი კლუბის ერთ-ერთ შეხვედრაზე საკმაოდ დადებითად შეგვაფასა რუმინეთის ნაკრების კაპიტანმა სორინ სოკოლმა. ჩვენც ვეცადეთ, მთელი მსოფლიოსთვის გვეჩვენებინა ჩვენი ძალა მაგრამ ქართველებს ეს ბევრად უკეთ გამოუვიდათო - თქვა მან.

ᲑᲔᲡᲘᲙ ᲯᲘᲐᲜᲒᲐᲕᲐᲫᲔ

ᲫᲘᲣᲓᲝ

ᲡᲔᲖᲝᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲗ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ

8-9 დეკემბერს ვერის ბაღში გაიმართება ძიუდოისტთა საქართველოს ჩემპიონატი, რომლითაც ფალავნები მომავალი სეზონისთვის მზადებას იწყებენ - 26-27 იანვარს თბილისის მსოფლიო თასზე მონანილე ოთხეულები სწორედ აქ უნდა გამოვლინდეს. ამ კვარტეტიდანვე აირჩევა ის ორ-ორი ფალავანიც რომლებიც სეზონის სხვა მსოფლიო თასებზე იჭიდავებენ. მოგეხსენებათ, მსოფლიო თასებზე მასპინძელს ოთხი მონანილის გამოყვანა შეუძლია, სტუმრად - მხოლოდ ორის. ამდენად, ქვეყნის ჩემპიონატმა ის ბირთვი უნდა გამოავლინოს, რომელიც მომავალი სეზონის სხვა უმნიშვნელოვანეს ტურნირებში იჭიდავებს.

2008 წელი რამდენად მნიშვნელოვანია, მოგეხსენებათ - ჯერ სალიცენზიო ტურნირები, მერე - ევროპის ჩემპიონატი, ბოლოს კი ოლიმპიადა. მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, **შოთა ხაბარელმა** ნაკრების მოსამზადებელი ეტაპი გარკვეული თავისებურებებით დაგეგმა. მით უფრო, გუნდის უმრავლესობამ ლიცენზიები უკვე მოიპოვა და მწვრთნელს თავისუფლად მოქმედების საშუალება ეძლევა - ლიცენზიამოპოვებულებს ოლიმპიადისთვის შედარებით ნაკლებად დატვირთავს, რათა თამაშებს დასვენებულნი, ღონემოკრებილნი და ფორმის პიკში შეხვდნენ. ახლა ლიდერებს სწორედ საგაისო სეზონის სპეციფიკიდან გამომდინარე ასვენებს. მათ უმეტესობას ხომ სერიოზული კონკურენტი არც ჰყავს და ამჯერად წონის დაკლებაზე არ აწვალებს, რათა მისი თანამდევი რთული პროცესები - გამოფიტვა, გადაღლა და ამგვარები აარიდოს. მით უფრო, სულ რაღაც თვენახევარში თბილისის ტურნირზე უნდა იჭიდაონ, სადაც აუცილებლად უნდა დაიკლონ - საქართველოს ჩემპიონატზე ზედმეტ კილოგრამებზე თუ კიდევ დახუჭავენ თვალს, მსოფლიო თასებზე, მაქსიმუმ, ორი კილოგრამი გაპატიონ.

ბუნებრივია, ნაკრებში ზოგიერთ წონაში მძაფრი კონკურენცია ისევ რჩება - სულაც არაა გამორიცხული, ზოგიერთმა ლიდერმა წლეულს დაკარგოს ადგილი, ან შესანარჩუნებლად მძაფრი ბრძოლა მოუნიოს. მწვრთნელთა გადაწყვეტილებით, ასეთ წონებში კონკურენტებს სიძლიერის დასამტკიცებლად თბილისის ტურნირი დაუტოვეს, საქართველოზე ჭიდაობა კი მარტივი მიზეზით არ დააძალეს - ლიდერებმა მსოფლიო თასზე ისედაც უნდა იჭიდაონ, რადგან უამისოდ მათთვის გაისად საერთაშორისო ტურნირების კარი მჭიდროდ დაიხურება. თუმცა აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ვისაც საქართველოზე ასვენებენ, მათ მსოფლიო თასზე უკვე დაუჯავშნეს ადგილები. ამდენად, ქვეყნის პირველობაზე ოთხეულში მოხვედრა ეგებ თასზე გამოსვლის წინაპირობად ვერ იქცეს. მაგალითად, 81-ში მწვრთნელები ლიცენზიის მოპოვების ორივე პრეტენდენტს - **გიორგი ბაინდურაშვილს** და **გრიგოლ შინჯიკაშვილს** ასვენებენ, მაგრამ ესენი თასზე აუცილებლად იჭიდავებენ. ამდენად, აქ ვაკანტური მხოლოდ ორი ადგილია და მას ფინალისტები შეავსებენ.

მოკლედ, უკვე გარკვეულია, რომ ვერის ბაღში ქომაგი ბოლო წლებში ქართული ძიუდოსთვის ტრადიციულ ბევრ დაპირისპირებას ვერ იხილავს. ჯერ გაურკვეველია, იჭიდავებს თუ არა საქართველოს ჩემპიონატზე ოლიმპიური ჩემპიონი **ზურაბ ზვიადაური** (90) - ეს ამბავი უახლოეს დღეებში გაირკვევა. სამაგიეროდ, დიდი შანსია, ფავორიტთა დაპირისპირება თბილისის ტურნირზე ვიხილოთ. ყოველ შემთხვევაში, იქ **ირაკლი ცირეკიძე** ნამდვილად იჭიდავებს. წესით - ზვიადაურმაც, თუ ოლიმპიურ ნაკრებში მოხვედრა ისევ უნდა. არადა, თუ მას დავუჯერებთ, იგი სპორტში ამისთვის რჩება და გაისად იბრძოლებს ნაკრებში დასაბრუნებლად.

აქედანვეა ცნობილი, რომ ჩვენი ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით არც თბილისის ტურნირზე გამოვა - **ნესტორ ხერგიანს** (60) და **დავით ქევხიშვილს** (73) ასვენებენ. სამწუხაროდ, ქევხიშვილს ღვიძლის პრობლემები ისევ აწუხებს, რის გამოც წონის დაკლება ათმაგად უჭირს. მის მდგომარეობას მწვრთნელებიც ითვალისწინებენ და შეღავათს აძლევენ. ხერგიანის შემთხვევაში მთავარი მიზეზი ასაკია და წონის დასაკლებად არც მას აწვალებენ.

თასზე აუცილებლად იჭიდავებს **ზაზა კედელაშვილი** (66). იგი სადღეისოდ სალიცენზიო რეიტინგში მესამეა და იმდენად უსწრებს მდევრებს, ლიცენზიას თავად თუ დაკარგავს უგერგილო გამოსვლებით, თორემ სხვა ვერ წაართმევს. ამის მიუხედავად, მწვრთნელები ჩქარობენ, მას ადრევე გაანაღდებინონ საგზური, რომ მერე საპეკინედ ისიც საგანგებო განრიგით ანუ შეღავათებით მოამზადონ და დასვენების საშუალება მისცენ. ერთი ნებისმიერი ტურნირის მოგებით იგი იმდენ ქულას შეიმატებს, მერე რომც არ იჭიდაოს, მეტოქეებისთვის მაინც მიუნვდომელი გახდება. დაგვეთანხმებით, მშობლიური შეჯიბრების მოგება ბევრად იოლია და ამიტომ ამყარებენ განსაკუთრებულ იმედებს თბილისის ტურნირზე.

ზაზა კედელაშვილი და სხვა ლიდერები ჩემპიონატში არ იჭიდავებენ

როგორც ზევით გითხარით, 81-ში მსოფლიო თასზე ლიცენზიის მოპოვების ორივე პრეტენდენტი იჭიდავებს - ბაინდურაშვილი და შინჯიკაშვილი. სავარაუდოდ, ამ უფლებას **საბა გავაშელიშვილიც** მოიპოვებს, რომელიც რეიტინგში არც ისე ბევრით ჩამორჩება მათ - შინჯიკაშვილთან მხოლოდ 14 ქულა აშორებს, და უეჭველია, პეკინისთვის ისიც იბრძოლებს. სავარაუდოდ, საქართველოს ჩემპიონატიდან ლიცენზიისთვის ბრძოლაში **გრიგოლ მამრიკიშვილიც** ჩაებმება, რომელმაც პარიზის ტურნირზე მიღებული ტრავმა მოირჩინა. წონის ლიდერებზე საუბრისას ნურც **ლევან წიკლაურს** დავიწყებთ, რომელმაც წლეულს, ყველასათვის მოულოდნელად, გერმანულ ბრაუნშვაიგში გაიმარჯვა, არადა, იქ ჩვენგან ბაინდურაშვილი და გავაშელიშვილიც გამოდიოდნენ. იმედია, ასეთი კონკურენცია შედეგზეც აისახება და ულიცენზიოდ არც აქ დავრჩებით. სადღეისოდ აქ ჩვენგან საუკეთესო ბაინდურაშვილია - მერვე ადგილი 48 ქულით. 34-იანი შინჯიკაშვილი მე-12-ეა, გავაშელიშვილი - 20 ქულით - მე-17. რეიტინგშია წიკლაურიც - მხოლოდ 6 ქულა და 30-ე ადგილი, რადგან ბრაუნშვაიგის ტურნირი სალიცენზიო არ გახლდათ და მის მონაგარს ვერაფერი შეჰმატა. ჯერჯერობით ქულები არა აქვს და არც სარეიტინგო ჩამონათვალშია მამრიკიშვილი, რადგან მას სალიცენზიო შეჯიბრებებში არც უჭიდავია. ამის მიუხედავად, პეკინის ოლიმპიადაზე მოხვედრის შანსს ჯერ ისიც ინარჩუნებს - შეიძლება, ლიცენზია ერთმა მოიპოვოს, მწვრთნელებმა კი თამაშებზე სხვა წაიყვანონ, თუ იმას უკეთესად მიიჩნევენ.

დაბოლოს, იმაზეც ვთქვათ, რომ წლეულს 5 სალიცენზიო ტურნირი ჩატარდება - თბილისის, პარიზის, ჰამბურგის, ლეონდინგის და პრაღისა. ამ ჩამონათვალში ქართული ტურნირის მოხვედრა ორმაგად საამაყოა - სალიცენზიო ქულების ხათრით, ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბება, მაგრამ ჩვენთვის ეს ტურნირი ევროპის 2009 წლის პირველობისთვის მოსამზადებელი ეტაპია. მოგეხსენებათ, იმ პრესტიჟულ შეჯიბრებას საქართველო მასპინძლობს და ჩვენები რეპეტიციას აქედანვე გადიან. არაა გამორიცხული, სწორედ სარეპეტიციო მიზნით, მსოფლიო თასი სპორტის სასახლეში 3 ტატამზე ჩატარდეს, რაკილა საევროპოდ სწორედ ამდენი ხალიჩა უნდა გაიშალოს.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

სლოუნი იუტაში რჩება

გუშინ, „იუტა ჯაზის“ მთავარმა მწვრთნელმა **ჯერი სლოუნმა** კლუბთან კიდევ ერთი წლით გააგრძელა კონტრაქტი. ახალი ხელშეკრულების ფინანსური დეტალები პრესისთვის უცნობი დარჩა, თუმცა ჟურნალისტები იტყობინებიან, რომ სლოუნი NBA-ის ხუთ ყველაზე მაღალანაზღაურებად მწვრთნელს შორის მოხვდება.

მომავალი სეზონი სლოუნისთვის 21-ე იქნება „იუტას“ მთავარი მწვრთნელის რანგში. ამერიკული პროფესიული სპორტის ისტორიაში არც ერთ მწვრთნელს არ უხელმძღვანელია გუნდისთვის ასეთი ხანგრძლივი დროით.

ნეში პეკინში არ იქნება

იმ შემთხვევაში, თუ კანადის ნაკრები ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირს გაივლის, ამ გუნდის რიგებში მაინც არ ითამაშებს „ფინიქს სანზის“ გამთამაშებელი **სტივ ნეში**.

„სავარაუდოდ, პეკინში არ წავალ. ნაკრებს ჩემი სამსახურის იმედი არ უნდა ჰქონდეს. ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე ასეთი გადაწყვეტილება მაქვს მიღებული“, - აცხადებს „ფინიქსის“ ერთ-ერთი ლიდერი.

ნეში 2000 წელს, სიდნეის ოლიმპიადაზე კანადის ნაკრების კაპიტანი იყო, აგრეთვე ის ამ გუნდში 2004 წლის ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირშიც მონაწილეობდა.

მაციაუსკასი ნოემბრის ლაურეატია

საბერძნეთის „ოლიმპიაკოსის“ ლიტველი მცველი **არვიდას მაციაუსკასი** ევროლიგაში ნოემბრის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა.

27 წლის კალათბურთელი ერთბაშად რამდენიმე კატეგორიაში იმყოფება ლიდერთა შორის. არვიდასი საუკეთესოა ორქულიანების გამოყენების პროცენტული მაჩვენებლით - 80%, ლიდერობს ბომბარდირთა დავას - 23.8 ქულა მატჩში, მეორეა ჩაჭრების რაოდენობით - 2.4 და მერვე ადგილზეა ჯარიმების გამოყენების მიხედვით - 86.7 პროცენტი.

ექვს ტურში „ოლიმპიაკოსმა“ ოთხი მატჩი მოიგო და A ჯგუფში მესამე ადგილზე იმყოფება.

ჩოგბურთი

სელეში ბრუნდება

კვირას მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **მონიკა სელეშმა** თავისი 34-ე დაბადების დღეს აღნიშნა და საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ 2008 წელს ჩოგბურთში დაბრუნებას აპირებს.

როგორც სააგენტო „როიტერი“ იტყობინება, საუბარი ეხება საგამოფენო ტურნირს, რომელიც მარტში ლოს ანჯელესში ჩატარდება. გარდა სელეშისა, აქ ითამაშებს ასევე დიდი ჩოგბურთიდან წასული ამერიკელი **ჯენიფერ კაპრიატი**.

„ჩოგბურთი ძველებურად მიყვარს და კორტზე გასვლის სურვილი არასოდეს გამნელებია“, - ამბობს სელეში, რომელმაც აქტიური კარიერა 2003 წლის შუაში შეწყვიტა.

ავსტრალიაში სიცხეს ებრძვიან

„დიდი სლემის“ პირველ ტურნირზე - ავსტრალიის ღია პირველობაზე იცვლება წესი, რომელიც სიცხეში თამაშების ჩატარებას შეეხება. მოთამაშეებს უფლება ექნებათ შეწყვიტონ მატჩი, სანამ მეტეოროლოგიური პირობები უფრო კომფორტული არ გახდება. ოლონდ, მატჩის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, როცა მოთამაშეები დაწყებულ სეტს ჩაამთავრებენ. ადრე მოქმედი წესების თანახმად, ჩოგბურთელებს ნებისმიერ შემთხვევაში ბოლომდე უნდა მიეყვანათ შეხვედრა.

ტურნირის დირექტორის **კრეიგ ტილის** სიტყვებით, ამ წესების მიღებამდე კონსულტაციები ჩატარდა ავსტრალიის წამყვან ჩოგბურთელებთან და მათ ეს სიახლე მოიწონეს.

ავსტრალიამ ლეგენდა დაკარგა

ავსტრალიის ქალაქ ადელაიდაში გარდაიცვალა წარსულში ცნობილი ავსტრალიელი ჩოგბურთელი **კენ მაკგრეგორი**. ეს სპორტსმენი პირველ რიგში წყვილთა თანრიგში თამაშით იყო ცნობილი. მაკგრეგორის წყვილებში „დიდი სლემიც“ კი აქვს მოგებული, გარდა ამისა, მის აქტივშია სამჯერ დევისის თასზე გამარჯვება.

78 წლის ლეგენდარული ავსტრალიელი კუჭის სიმსივნითა და გულის ავადმყოფობით გარდაიცვალა. სხვათა შორის, ექიმებმა ეს დიაგნოზი სულ რაღაც ორი კვირის წინ დასვეს.

ოლიმპიზმი

მადრიდი პეკინს დახმარებას თხოვს

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტმა **ხუან ანტონიო სამარანჩმა** 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძელ პეკინს სთხოვა მხარი დაუჭიროს 2016 წლის თამაშების მასპინძლობაზე, ესპანეთის დედაქალაქ მადრიდის განაცხადს.

„მადრიდი ოლიმპიური თამაშებზე ოცნებობს. მე დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენი ჩინელი მეგობრები ისევე გაგვინევენ დახმარებას, როგორც თავის დროზე ჩვენ ვეხმარებოდით მათ პეკინის ოლიმპიადის ორგანიზებაში“, - ეს სიტყვები სამარანჩმა მადრიდში გამართულ ყოველწლიურ ფორუმზე („ესპანეთი-ჩინეთი“) განაცხადა.

ფორმულა 1

ბარიკელო პონდაში დარჩება

„ჰონდას“ ახალმა შეფმა **როს ბრაუნმა** გამოაცხადა, რომ ბრაზილიელი ვეტერანი **რუბენს ბარიკელო** მომავალ სეზონშიც იაპონური საჯინიბოს ღირსებას დაიცავს.

„მას კონტრაქტის ბოლომდე კიდევ ერთი წელი დარჩა და ვერ ვხედავ იმის მიზეზს, რომ ბარიკელომ „ჰონდას“ რიგები დატოვოს. ჩვენი პილოტები ფორმულა 1-ის ყველა სტანდარტს აკმაყოფილებენ, უბრალოდ ბარიკელომ და ბატონმა ბოლიდთან დაკავშირებული პრობლემების გამო ვერ შეძლეს თავიანთი საუკეთესო თვისებების გამოვლენა“, - განაცხადა „ფერარის“ ყოფილმა ტექნიკურმა დირექტორმა.

შეგახსენებთ, რომ პრესის ბოლოდროინდელი ინფორმაციით, 35 წლის ბრაზილიელი, რომელმაც გასულ სეზონში ერთი ქულაც ვერ მოიპოვა, სავარაუდოდ „სუპერ აგურიში“ უნდა გადასულიყო, ხოლო მის ადგილს „ჰონდაში“ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ფერნანდო ალონსო** დაიკავებდა.

ალონსო მალე გაერკვევა

ესპანური გაზეთის, AS-ის ცნობით, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ფერნანდო ალონსო** 10 დეკემბრამდე გაარკვევს ახალ გუნდში გადასვლის საკითხს. გამოცემის ვარაუდით, ყველაზე სავარაუდო ვარიანტი „რენოში“ ტრანსფერია. ესპანელი პილოტი ფრანგულ საჯინიბოსთან სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

ბევრი რამ გაირკვევა 6 დეკემბერს, FIA-ს მსოფლიო საბჭოს სხდომაზე, სადაც „რენოსადმი“ „მაკლარენის“ პრეტენზიები უნდა განიხილონ. როგორც იცით, ბრიტანული გუნდი ფრანგებს ჯაჭუშობაში სდებს ბრალს.

NBA რეგულარული ჩემპიონატი

პირველი პორტლენდური

ადრე თუ გვიან, პირველი გასვლით გამარჯვება "პორტლენდსაც" უნდა გაეფორმებინა და ორეგონელებმა მიმდინარე რეგულარულის სადებიუტო ვოიაჟისთვის მემფისი აირჩიეს, სადაც ორმხრივად ლაღი, უდაცვო და შემტევი კალათბურთის დემონსტრირებაში, ბოლოს, მასპინძელზე მეტად სტუმარს, კერძოდ, კი **ტრევის აუთლოს** გაუმართლა.

საფინალო სირენასთან ერთად, აუთლომ ბრუნში, **რუდი გეის** ხელებს ზემოდან ჩაუშვა ბურთი კალათში და "ბლეიზერსმა" მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა, ხოლო "მემფისი" კი ამ სეზონში შინ მეხუთედ დამარცხდა.

ორივე გუნდი ამ სეზონს დიდი იმედებით ხვდებოდა და თუ **გრეგ ოდენის** ტრავმამ "პორტლენდის" ამბიციები ლამის უსაფუძვლო გახადა, "გრიზლისმა" საკმაოდ კარგი შემადგენლობა დააყენა, სადაც 10 და მეტი ქულის საშუალოდ მოხვეჭა ბარე 5-6 მოთამაშეს ძალუძს.

ოდენის გარეშე "პორტლენდი" "მომავლის წყვილის" - უკანახაზელი **ბრენდონ როისა** და პროგრესირებადი ფორვარდის, **ლამარკუს ოლდრიჯის** იმედადაა და პრინციპში, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ეს ორი ვარსკვლავთბიჭუნა თითქმის სრულად ამართლებს გაცემულ ავანსებს.

როიმ და ოლდრიჯმა "მემფისთანაც" ჯიგრიანად, ნაყოფიერად შეირგეს მწვრთნელის მიერ ბოძებული წუთები და აუთლოსთან ერთად, სტუმართა გამარჯვების მთავარი სულისჩამდგმელები გახდნენ. როიმ თამაშიდან 21-ში 11 სროლა შეასრულა უშეცდომოდ და 41 წუთში მხოლოდ 2 შეცდომა დაუშვა, ხოლო ოლდრიჯი კი **პაუ გასოლს** აედევნა და "გრიზლისის" ვარსკვლავი ფორვარდ-ცენტრი ოდენ 14 ქულას დააჯერა. ისიც ვთქვათ, რომ პაუმ 14 ტყორცნიდან მხოლოდ 4 გამოიყენა.

არადა, მასპინძლები ძალიან ახლოს იყვნენ მოგებასთა. ძირითადის ჩამთავრებას სულ რაღაც 2.8 წამი რომ უკლდა, **რუდი გეიმ** თანაგუნდელის აცილებულს წაამატა და მასპინძლენი 1 ქულით დაწინაურდა, თუმცა მერე ზემოთ ნახსენები მოვლენები განვითარდა და გამარჯვებაც "პორტლენდს" დარჩა.

"ბოლო წამებზე ყველაფერია შესაძლებელი. ამჯერად, არ გაგვიმართლა, თუმცა მეტოქეს ძალიან კარგი გუნდი ჰყავს და მათ მოგება ჩვენზე არანაკლებ დაიმსახურეს", - აღნიშნა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე **მაიკ მილერმა**, რომელმაც 30 ქულით მიმდინარე ჩემპიონატის პირადი რეკორდი დაამყარა. საერთოდაც, ეს ნიჭიერი კაცი კარიერაში გამორჩეულ რეგულარულს ატარებს – ერთ მატჩში საშუალოდ მაიკის სტატისტიკა 15.2 ქულას, 7.5 მოხსნასა და 4 შედეგიან გადაცემას უტოლდება. მილერი "მემფისის" კაპიტანი და ამ სეზონში რუდი გეისთან ერთად ყველაზე სტაბილური მოთამაშეცაა.

გუნდებმა ძალიან კარგად შეასრულეს სამქულიანები – "პორტლენდმა" 22 შორეული სროლიდან 12 გამოიყენა, ხოლო "მემფისმა" კი – 25-ჯერ სცადა ბედი შორი დისტანციიდან და ცამეტჯერ ივარგა.

"მემფისს" კი პირველივე მეოთხედში დააკლდა თავისი ერთ-ერთი ახალნველული, სერბი ცენტრი **დარკო მილიჩიჩი**, რომელმაც მარცხენა კოჭი იტკინა, თუმცა ბევრი შეხვედრის გამოტოვება არ მოუწევს.

კვირის მოთამაშეები

წინა კვირის საუკეთესო მოთამაშეებად "ორლანდო მეჯიქის" ცენტრი **დუაიტ ჰოვარდი** და "გოლდენ სტეიტ უორიორზის" მსროლელი **სტივენ ჯექსონი** დასახელდნენ.

23.8 ქულისა და 15.1 მოხსნის მომხვეჭმა დუაიტმა თავის გუნდს ოთხიდან სამი შეხვედრა მოაგებინა და ერთ მატჩში მოედანზე საშუალოდ 38.3 წუთს ატარებდა.

დუაიტმა თავისი საუკეთესო შეხვედრა 30 ნოემბერს "ფინიქსთან" ჩაატარა, სადაც წაგების (106:110) მიუხედავად, უდავოდ, ორივე გუნდში საუკეთესო იყო და რვა ჩატენვით ამ სეზონის რეკორდიც დაამყარა. მან ყველაფერში აჯობა არიზონელთა ვარსკვლავს, **ამარე სტაუდმაიერს** და საბოლოოდ, 30 ქულითა და 23 მოხსნით (კარიერაში მერვე 20/20 ქულა-მოხსნის მატჩი) დაასრულა მატჩი.

რაც შეეხება ჯექსონს, მისი დაბრუნებით "გოლდენ სტეიტმა" მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თამაშის ხარისხი და წინა კვირას გუნდმა ოთხივე მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულა, სტივენი კი საშუალოდ 23.0 ქულას, 5.5 მოხსნას, 3.8 პასსა და 2.85 ჩაჭრას აგროვებდა.

სტივენმა დაცვაში შესანიშნავი თამაშითაც გამოიჩინა თავი. 29 ნოემბერს, "ჰიუსტონთან" მოგებულ შეხვედრაში, მან ტეხაელთა ლიდერი **ტრეისი მაკგრეიდი** ოდენ 11 ქულას დააჯერა, რი შემდეგაც "სოეტლის" ახალბედა **კევინ დიურანს** მატჩი სამარცხვინო 6 ქულით (მის საშალო მონაგარზე 14-ით ნაკლები) დაასრულებინა.

თვის მოთამაშეები

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ ამ სეზონში პირველად გამოავლინა თვის ლაურეატები. ნოემბერში საუკეთესოებად "ორლანო მეჯიქის" ცენტრი დუაიტ ჰოვარდი და „იუტა ჯაზის“ ფორვარდი **კარლოს ბუზერი** დასახელდნენ.

ჰოვარდმა აღმოსავლეთში აჯობა ყველას. ახალგაზრდა კალათბურთელი 23.8 ქულას აგროვებდა, ლიგაში საუკეთესო შედეგი ჰქონდა მოხსნების რაოდენობით - 15.0 და თამაშიდან ტყორცნების 62 პროცენტს ათავსებდა კალათში. ჰოვარდი კიდევ ერთ კატეგორიაშია ლიგის ლიდერი - მის ანგარიშზე 15 ორმაგი დუბლია და გარდა ამისა, მან 6 მატჩში შეძლო 30 და მეტი ქულის დაგროვება. დუაიტის გუნდმა ნოემბერში 18-დან 14 შეხვედრა მოიგო.

დასავლეთის ლაურეატი კარლოს ბუზერი ნოემბერში საშუალოდ მატჩში 25.4 ქულას (ლიგაში მესამე მაჩვენებელი) და 11.2 მოხსნას ითვლიდა. მის მიერ ტყორცნების გამოყენების პროცენტულმა მაჩვენებელმა 57.7 შეადგინა.

ბუზერმა ექვსჯერ დაადგროვა მატჩში 30 ქულაზე მეტი და 12 ორმაგი დუბლი შეასრულა, მათ შორის სეზონის სტარტზე ზედიზედ ექვსჯერ.

თვის ლაურეატობაზე სხვა კანდიდატები იყვნენ **კევინ გარნეტი, პოლ პირსი** („ბოსტონი“), **ლებრონ ჯეიმსი** („კლივლენდი“), **ტაიშონ პრინსი** („დეტროიტი“), **ტრეისი მაკგრეიდი** („ჰიუსტონი“), **სტივ ნეში** („ფინიქსი“) და **ტონი პარკერი** („სან ანტონიო“).



დუაიტ ჰოვარდი

იუტა-მაიამი 110:101

31:32, 21:21, 22:18, 36:30

იუტა: ოქური (25 ქ. 6 მ), დ. უილიამსი (24 ქ. 15 პ), ბუზერი (24 ქ. 15 მ. 5 პ. 4 ჩ), რ. ბრიუერი (17 ქ), კირილენკო (10 ქ. 9 პ. 7 მ).

მაიამი: უეიდი (26 ქ. 10 პ. 5 ჩ. 4 მ.-2 დ), ჯეისონ უილიამსი (15 ქ. 2 ჩ), რ. დევისი (15 ქ), მურნინგი (13 ქ. 5 მ. 2 დ), შ. ონილი (12 ქ. 5 მ. 3 პ. 2 დ), კუკი (11 ქ).

ტორონტო-შარლოტი 98:79

27:16, 27:17, 22:26, 22:20

ტორონტო: ჰამფრიზი (17 ქ. 6 მ), დელფინო (17 ქ), გრემი (13 ქ), კალდერონი (12 ქ. 9 პ. 7 მ. 3 ჩ), ე. პარკერი (11 ქ. 6 მ), კაპონო (10 ქ).

შარლოტი: ჯ. უოლასი (19 ქ. 8 მ. 3 პ), დადლი (16 ქ. 10 მ. 3 ჩ), ჯ. რიჩარდსონი (12 ქ), კეროლი (12 ქ), ოკაფორი (10 ქ. 3 დ).

ფილადელფია-ატლანტა 79:88

17:24, 29:21, 16:21, 17:22

ფილადელფია: უ. გრინი (23 ქ. 2 ჩ), ა. მილერი (18 ქ. 6 პ. 4 მ), იგუოდალა (11 ქ. 8 მ. 5 პ. 2 ჩ), კორვერი (11 ქ), დალემბერი (5 ქ. 10 მ. 2 დ), რ. ევანსი (3 ქ. 10 მ).

ატლანტა: ჯოშ სმიტი (22 ქ. 7 მ. 6 პ. 4 დ. 2 ჩ), მერვინ უილიამსი (16 ქ), ჩილდრესი (16 ქ. 6 მ), ჯო ჯონსონი (15 ქ. 7 პ), ჰორფორდი (12 ქ. 13 მ), **ზაზა ფაჩულია (უქულოდ, 1 პ)**.

მემფისი-პორტლენდი 105:106

24:31, 33:19, 23:28, 25:28

მემფისი: გეი (30 ქ. 8 მ. 3 პ), მ. მილერი (30 ქ. 7 მ), ნავარო (16 ქ), გასოლი (14 ქ. 15 მ. 4 პ. 2 დ).

პორტლენდი: როი (26 ქ. 9 მ. 7 პ), ოლდრიჯი (23 ქ. 5 მ. 2 ჩ), ტ. აუთლო (21 ქ. 7 მ. 2 დ), ჯ. ჯოუნსი (16 ქ. 2 ჩ).

ჩიკაგო-დალასი 98:103

24:29, 20:27, 16:15, 38:32

ჩიკაგო: ნოჩიონი (30 ქ. 5 მ. 3 ჩ), ჰაინრიხი (18 ქ. 5 პ), დიუჰონი (12 ქ. 9 მ. 5 პ. 2 ჩ), გორდონი (10 ქ), დენგი (9 ქ. 8 მ).

დალასი: ჯოშ ჰოვარდი (27 ქ. 10 მ. 6 პ. 2 ჩ), ნოვიცკი (25 ქ. 6 მ), ტერი (18 ქ. 5 პ), ბასი (12 ქ), დემპიე (2 ქ. 10 მ. 6 დ).

გოლდ. სტ-ორლანდო 117:123 (ო)

21:30, 27:27, 31:27, 30:25, 8:14

გოლდენ სტეიტი: ს. ჯექსონი (25 ქ. 4 პ. 2 ჩ), მ. ელისი (22 ქ. 12 მ. 7 პ. 5 ჩ), ბ. დევისი (19 ქ. 9 პ. 3 ჩ), ე. პარინგტონი (13 ქ. 11 მ), ბიედრინსი (11 ქ. 15 მ), აზუბუიკე (11 ქ).

ორლანდო: ჯ. ნელსონი (22 ქ. 11 პ. 8 მ), ბოგანსი (22 ქ. 2 დ), რ. ლიუისი (20 ქ. 5 მ. 2 ჩ), დ. ჰოვარდი (18 ქ. 23 მ. 7 დ. 3 პ), თურქოღლუ (17 ქ. 8 მ. 6 პ. 2 ჩ), მ. ევანსი (1 ქ), დულინგი (10 ქ).

ავსტრიული ტრიუმფი ბივერ კრიკში

აშშ-ის შტატ კოლორადოს სამთო კურორტმა ბივერ კრიკმა სამთო მოთხილამურეთა მსოფლიო თასის გათამაშების მეოთხე ეტაპს უმასპინძლა, რომელიც ავსტრიელი მოთხილამურეების ტრიუმფით დასრულდა. მათ მონაწილე ექვსეულის ხუთი ადგილი, მათ შორის, კვარცხლბეკის სამივე ადგილი დაიკავეს. გამარჯვება კი **ჰანს რაიხელტმა** მოიპოვა, ვინც მხოლოდ 0.02 წამით აჯობა მეორეზე გასულ თანაგუნდელ **მარიო შაიბერს**.

რაიხელტს აქამდე მსოფლიოს თასზე ერთადერთი რბოლა ჰქონდა მოგებული და ისიც ორი წლის წინ, ბივერ კრიკის ფერდობ "ბირდს ოფ პრეიზე". ავსტრიელებმა კი კვარცხლბეკის სამივე საფეხური ბოლოს შარშან, გერმანიის გარმიშში დაიკავეს, სუპერგიგანტში კი ანალოგიური მიღწევა ორი წლის წინ, იტალიის ვალ გარდენაში ჰქონდათ.

აღსანიშნავია, რომ სუპერგიგანტის რბოლა შაბათს უნდა გამართულიყო, მაგრამ დიდთოვლობის გამო, ის ორშაბათს (ჩვენი დროით გუშინ) ჩატარდა. სხვათა შორის, ავსტრიელთაგან ახალ სეზონში პირველმა გამარჯვება **მიხაელ ვალხჰოფერმა** ბივერ კრიკშივე, დაშვების რბოლაში მოიპოვა.

"ეს გამარჯვება მნიშვნელოვანია არამხოლოდ ჩემთვის, არამედ ჩვენი გუნდისთვისაც. ბივერ კრიკიდან შინ ორი მოგებით ვბრუნდებით, რაც იმის ნიშანია, რომ ავსტრიელების ჩამონერა ნაადრევია", - ნარბოლევს განაცხადა რაიხელტმა, ვინც ასპარეზობა გახსნა და რგორც ამბობს, ამით იხეირა კიდეც, რადგან გაუკვალავ გზაზე მისთვის ხელსაყრელი ტრაექტორიით ისრიალა.

ავსტრიელთაგან განსხვავებით, ხელი მოეცარათ ამერიკელებს, რომელთაგან მონინავე ოცეულში შესვლა ვერცერთმა ვერ შეძლო. უფრო მეტიც, მხოლოდ 30-ე შედეგი ჰქონდა **ბოდე მილერს**, თუმცა ისიც აღსანინავია, რომ ის ნაკრების სახელით არ ასპარეზობს.

აბსოლუტურ კლასიფიკაციაში კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ლიდერი შეიცვალა. პირველ ადგილზე შვეიცარიელმა **დანიელ ალბრეხტმა** გადაინაცვლა, ვინც ბივერ კრიკში ორი რბოლა მოიგო (თავის კარიერაში პირველი ორი), სუპერგიგანტზე კი მეოთხე ადგილი დაიკავა. ის 13 ქულას უგებს ყოფილ ლიდერს შვეიცარიიდან **დიდიე კუშეს**.

სვინდალი სეზონს ტოვებს

სამწუხაროდ, ამ სეზონში აღარ იასპარეზებს ბროლის დიდი გლობუსის მფლობელი, ნორვეგიელი **აკსელ ლუნდ სვინდალი,** ვინც ბივერ კრიკში, დაშვებაში ვარჯიშისას მომხდარი ინციდენტის დროს სახის სერიოზული ტრავმები მიიღო. ამის შესახებ განაცხადა ნორვეგიის ნაკრების ექიმმა **ოლა რონსენმა.**

"აკსელი უკვე დადგა ფეხზე, მაგრამ ჰოსპიტალში დარჩენა კიდევ ერთი კვირით მოუწევს. მთავარი პრობლემა სახის ძვლების მოტეხილობა კი არა, ის ღრმა ჭრილობაა, რომელიც მას გატეხილმა თხილამურმა საზარდულში მიაყენა", - განაცხადა რონსენმა.

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში სვინდალმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულები მოიპოვა დაშვებასა და გიგანტურ სლალომში. მსოფლიოს თასზე კი, ბროლის დიდი გლობუსის გარდა, მცირე გლობუსებსაც დაეუფლა გიგანტურ სლალომსა და კომბინაციაში. ამ სეზონში კი, ტრავმირებამდე ორი რბოლა მოიგო გიგანტურ სლალომსა და სუპერგიგანტში და აბსოლუტურ კლასიფიკაციაშიც ლიდერი იყო.

მერაბ ლორთქიფანიძე

ბივერ კრიკი (აშშ, კოლორადო).
კაცები. სუპერგიგანტი

1. ჰანს რაიხელტი (ავსტრია) 1:19.87; 2. მარიო შაიბერი (ავსტრია) 1:19.89; 3. კრისტოფ გრუბერი (ავსტრია) 1:20.08; 4. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) 1:20.18; 5-6. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 1:20.21; 5-6. მიხაელ ვალხჰოფერი (ავსტრია) 1:20.21; 7. პატრიკ შტაუდახერი (იტალია) 1:20.33; 8. ტობიას გრუენნფელდერი (შვეიცარია) 1:20.57; 9-10. იან ჰუდეცი (კანადა) 1:20.59; 9-10. ალეს გორჯა (სლოვენია) 1:20.59; 11. დიდიე კუშე (შვეიცარია) 1:20.63...

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) 272; 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) 259; 3. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 255; 4. აკსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 234; 5. მარიო შაიბერი (ავსტრია) 182; 6. იან ჰუდეცი (კანადა) 175; 7. ტედ ლიგეტი (აშშ) 170; 8. მიხაელ ვალხჰოფერი (ავსტრია) 168; 9-10. კრისტოფ გრუბერი (ავსტრია) 158; 9-10. ბოდე მილერი (აშშ) 158...

TV სპორტი

5 დეკემბერი. ოთხშაბათი

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. მილანი-სელტიკი.
15:20 კომენტატორების კონკურსი. ფინალი.
17:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:40 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:40 ტოქ-შოუ - 90 წუთი.
20:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:40 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:40 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. შახტარი-ბენფიკა.
23:40 უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. ევერტონი-ზენიტი (LIVE).
01:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-სევილია.

SPORT 1 (უკრაინა)

08:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ფულჰემი.
09:54 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:52 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:56 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. მილანი-სელტიკი.
13:45 ფეხბურთი. Barca TV.
13:52 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-ატლეტიკო.
15:39 მძლეოსნობა.
16:04 ფეხბურთი. Barca TV.
16:11 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-ინტერი.
17:58 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:52 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. მონრეალი-დეტროიტი.
20:42 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VII ტური. ცსკა-ვირტუსი (LIVE).
22:01 სპორტის სამყარო.
23:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ლაციო (LIVE).
01:25 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:37 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-არსენალი.
03:24 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:20 სპორტდოსიე. სნოუბორდი.
04:44 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
05:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. მინესოტა-ფილადელფია (LIVE).
07:39 მძლეოსნობა.

EUROSPORT

11:30 ფარიკაობა. მასტერსის ტურნირი. ლეგალუა. საფრანგეთი.
12:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბრიტანეთის რალი.
13:00 ქიორლინგი. ევროპის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი. ქალები. გერმანია-რუსეთი. გერმანია (LIVE).
15:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური.
15:45 ბოულინგი. შოტლანდიის ღია პირველობა. ფინალი. პერტი.
17:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური.
17:45 ქიორლინგი. ევროპის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი. მამაკაცები. გერმანია-საფრანგეთი. გერმანია (LIVE).
20:00 მულტისპორტი.
20:15 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური.
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 მულტისპორტი.
21:20 ცხენოსნობა. მასტერსი. ბრიუსელი. ბელგია.
22:20 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
22:25 მულტისპორტი.
22:30 გოლფ-კლუბი.
22:35 ფეროსნობა. იახტ-კლუბი.
22:40 მულტისპორტი.
23:45 ქიორლინგი. ევროპის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი. მამაკაცები. გერმანია (LIVE).
01:00 ბრძოლა წესების გარეშე.
03:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბრიტანეთის რალი.

EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ევროსპორტის ჩემპიონები. როჯერ ფედერერი.
13:30 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. V ტური. დინამო (რუსეთი)-ნიმბურკი (ჩეხეთი).
14:30 ევროსპორტის ჩემპიონები. როჯერ ფედერერი.
15:00 ახალი ამბები.
17:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. V ტური. დინამო (რუსეთი)-ნიმბურკი (ჩეხეთი).
18:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ბრაგა (პორტუგალია)-ბაიერნი (გერმანია).
18:45 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ელფსბორგი (შვედეთი)-ბოლესლავი (ჩეხეთი).
19:15 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ლოკომოტივი (რუსეთი)-კოპენჰაგენი (დანია).
20:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. V ტური. ტრევიზო (იტალია)-რიგა (ლატვია).
21:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ისთანბული (თურქეთი)-მურსია (ესპანეთი) (LIVE).
23:00 ახალი ამბები.
23:15 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. II ტური. რიეკა (ხორვატია)-პილა (პოლონეთი) (LIVE).
01:15 რესტლინგი.
02:30 მულტისპორტი.
03:00 ექსტრემალური სპორტი.

ცხელი ხაზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა

D ჯგუფი

გადმოტანილი მატჩები

მილანი-სელტიკი	**1:0**

მილანი: კალაჩი, კაფუ, ბონერა, შიმჩი (30. კალაძე), ფავალი, გატუზო, პირლო (74. ბროკი), ამბროზინი, ზეედორფი (69. გურკუფი), კაკა, ინძაგი.

სელტიკი: ბორუკი, კოლდუელი, მაკმანუსი, პრესლი, ო'დეა, ჰარტლი, იაროშიკი (78. ფურავსკი), მაკგიდი, დონატი (71. სნო), ბრაუნი, მაკდონალდი (65. ვენგეგორ ოფ ჰესელინკი).

გოლი: 1:0 ინძაგი (70)

მაყურებელი: 48 546

არბიტრი: ტომ ჰენინგი (ნორვეგია)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: სელტიკი		
პირველი ჯარიმა: სელტიკი		
პირველი კუთხური: მილანი		
პირველი გაფრთხილება: სელტიკი		
23 (5)	დარტყმა	7 (3)
0	გაფრთხილება	1
15	ჯარიმა	12
3	კუთხური	2
58%	ბურთის ფლობა	42%

შახტარი-ბენფიკა	**1:2**

შახტარი: პიატოვი, სრნა, კუჩერი, ჩიგრინსკი, რაცი, ილსინიო (67. უილიამი), ლევანდოვსკი (57. ჰიუბშმანი), ფერნანდინიო, ჟადსონი, ბრანდაუ, ლუკარელი (74. გლადკი).

ბენფიკა: კუიმი, ნელსონი, ლუიზაო, ლუიზი, ლეო, კაცურანისი, პეტიტი, პერეირა (83. ფელიპე), რუი კოშტა, დი მარია (67. ნუნუ ასისი), კარდოსო (90. ნუნუ გომეში).

გოლები: 0:1 კარდოსო (6), 0:2 კარდოსო (22), 1:2 ლუკარელი (30-პენ)

მაყურებელი: 28 000

არბიტრი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ბენფიკა		
პირველი ჯარიმა: ბენფიკა		
პირველი კუთხური: შახტარი		
პირველი გაფრთხილება: ბენფიკა		
13 (4)	დარტყმა	7 (3)
2	გაფრთხილება	2
11	ჯარიმა	13
9	კუთხური	0
56%	ბურთის ფლობა	44%

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მილანი	6	4	1	1	12-5	13
2. სელტიკი	6	3	0	3	5-6	9
3. ბენფიკა	6	2	1	3	5-6	7
4. შახტარი	6	2	0	4	6-11	6

ინგლისი

ჩემპიონატი

ბარნლი-ვულვზი	1:0
ბრისტოლი-იუსტიჩი	2:0
ბარნლი-ლესტერი	1:1
კარდიფი-ჩარლტონი	0:2
კოლჩესტერი-უოტფორდი	2:3
ნორვიჩი-პლიმუთი	2:1
ქუინზ პარკი-კრ. პალასი	1:2
შეფილდი-სტოკი	0:3
საუთჰემპტონი-უესლი	0:0
ვესტ ბრომვიჩი-ქოვენთრი	2:4
პრესტონი-პალი	3:0

I ლიგა

ქარლაილი-სუინდონი	3:0
ქრიუ-ჯილინგემი	2:3
დონკასტერი-ბრაიტონი	0:0
პარტლეული-ბრანტერი	3:1
ლიდსი-ფორტ ვეილი	3:0
ლეიტონი-მილუოლი	0:1
ოლდჰემი-ლუტონი	1:1
სუონსი-ნორთჰემპტონი	3:0
უოლსოლი-ნოტინგემი	1:0
იეოვილი-ბორნმუთი	2:1

II ლიგა

ბრენტფორდი-მორეკამბი	0:1
ბერი-რექსჰემი	0:1
ჩესტერი-ბარნეტი	3:0
დაგენჰემი-მილტონი	0:1
გრიმსბი-დარლინგტონი	0:4
ნოტსი-პიტერბორო	0:1
სტოკპორტი-ლინკოლნი	1:3
უიკომბი-პორტფორდი	2:2

კონფერენსი

რაშდენი-პისტონი	2:3

იტალია

სერია B

ალბინოლეფე-ბრეშიზო	0:0
ბოლონია-ასკოლი	0:0
ჩეზენა-ლეჩე	0:1

შოტლანდიის თასი

ქუინზ პარკი-ეირდრი	2:2 დ.დ. 2:4

ავსტრია

II დივიზიონი

აუსტრია (ლ)-პარნდორფი	3:2
გრაბკირნი-აუსტრია II	6:0
ლეობენი-შვადორფი	0:1
ზალცბურგი II-კერნტენი	2:1
შვანენშადტი-ლუზენაუ	2:1
ბად ოსი-კაუფენბერგი	1:4

პოლონეთი

ლიგის თასი

გრუდზენი-რუხი	2:0
ლეგნა-ლაკ	2:0
ლეხი-ზაგლებე	1:0
პოლონია-ოდრა	3:4
იაგელონია-კორონა	0:0
ვიჭევი-ქრაკოვია	2:2

კალათბურთი

ULEB-ის თასი

აზოვმაში-სასილაინერსი	84:80
ტრიუმფი-ანტვერპენი	88:67
ხიმკი-ვალენსია	81:78
კალევი-ჭლიონსკი	61:79
დინამო (მ)-ნიმბურკი	94:83
ტურუვი-პაპოელი (ი)	78:68
კიევი-ერტლანდი	87:66
გალათასარაი-პემოფარმი	86:71
ზადარი-სტრასბური	94:65
ალბა-ბონნა	141:127 ო.ბ.
მუნდენი-ბუდეჩნოსტი	72:79
ნანსი-ანვილი	92:66
ეიფელ ბაუერსი-უნიქსი	79:108
ბენეტონი-ასკ რიგა	73:63
ვილერბანი-ბრან კანარია	94:86
ბილუორლი-ტურკ ტელეკომი	67:107
კლიმამიო-პანელინიოსი	83:59
ოსტენდე-სრ. ზეეზდა	72:73
შალონი-ბეშიქთაში	64:73
ხეენტეული-შიაულაი	90:65
პაპოელი (ბ-ე)-ფრიბურგი	65:85
მრს-შარლერუა	79:73
ქელეზნიკი-ვენტასილსი	70:76
ხირონა-ასესოფტი	73:65

საბერძნეთი

ოლიმპია-მარუსი	68:50

ხელბურთი

მს. ჩემპიონატი

ქალები

ს. კორეა-გერმანია	26:32
ყაზახეთი-არგენტინა	26:22
ჩინეთი-ბუნისი	27:30
მაკედონია-ავსტრალია	30:13
იაპონია-კონგო	28:32
ნორვეგია-ავსტრია	33:20
უკრაინა-პარაგვაი	43:17
უნგრეთი-ესპანეთი	26:26
რუსეთი-ბრაზილია	31:31
რუმინეთი-პოლონეთი	38:33
საფრანგეთი-ხორვატია	28:26
ანგოლა-დომინიკა	41:20

პოკერი

რუსეთი

აკ ბარსი-ს. იულაევი	5:2
ნეფტეხიმიკი-ლოდა	4:2
სკა-ბორეადო	3:2
ხიმიკი-ცსკა	8:2

გერმანია

ვოლფსბურგი-პანთერი	3:5
პაგბურგი-ფრანკფურტი	0:1
დუისბურგი-იზერლონი	1:1 ო.ბ 2:1
დუსელდორფი-აუგსბურგი	4:4 ო.ბ 5:4
ინგოლშტადტი-აისბარენი	3:2
კრეფელდი-ნიურნბერგი	5:2
შტრაუბინგი-კიოლნი	0:1

სლოვაკეთი

ქეგაროკი-პოპარადი	3:3
კოშიცე-ზვოლენი	1:4
სკალიცა-ნიტრა	4:2
სლოვანი-მიკულაში	2:2 ო.ბ. 3:2
ტრენჩინი-ქილინა	6:1

ჩეხეთი

ზნოიმო-პარდუბიცე	2:1
კლადნო-ელინი	3:0
სპარტა-ლიბეროეცი	3:1
სლოვანი-სლავია	1:5
ბუდეიოვიცე-პლზენი	6:2
კარლოვი ვარი-ბრნენეცი	1:2

შვეიცარია

დავოსი-სერეტი	3:0
კლოტენი-ფრიბურგი	1:3
ლანგნაუ-ბაზელი	4:2
ლუგანო-ამბრი	0:1
ცუგი-ბერნი	2:5
ციურიხი-რაპერსვილი	7:1

შვედეთი

ლინეროვინგი-ბრინანსი	5:5 ო.ბ. 6:5
მორა-ფოდო	3:4
სოლიერტალე-ეე 71	2:3

დანია

ოდენსე-როდოვრე	1:5
ოლბორგი-ეერინგი	3:3 ბულ. 3:4
ბოგენში-ნორდლანდი	3:3 ო.ბ. 3:4
ფრედრიქსაავნი-ესბერგი	7:5

NHL რეგულარული ჩემპიონატი

ᲐᲘᲚᲘᲜᲓᲘᲡᲘ-ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ 1:3

0:1, 0:1, 1:1

გოლები: 0:1 გ. მიურეი-8 (საკარი-26, შტურმი-10), 0:2 ნოკელაინენი-1, 0:3 კობესიუ-11 (მეფერი-9, ვიდემანი-6), 1:3 კამპოლი-3 (მ-ა. ბერეტერონი-6, კომრი-12).

ᲠᲘᲜᲯᲘᲡᲘ-ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ 0:4

0:2, 0:0, 0:2

გოლები: 0:1 ს. უოკერი-2 (კულენი-20, ლაროზი-5), 0:2 სტილმანი-14 (ჯასტინ უილიამსი-17, კულენი-21), 0:3 ტანაბე-1 (საიდენბერგი-7), 0:4 სტილმანი-15 (ჯასტინ უილიამსი-18, ე. სტაალი-11).

ᲙᲝᲚᲐᲛᲑᲣᲡᲘ-ᲓᲐᲚᲐᲡᲘ 1:2 (Გ)

1:0, 0:0, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 ფერდიოვი-9 (ნეში-13), 1:1 კონერი-3 (გროსმანი-1).

ბულეტები გაიტანეს: ფერდიოვი (კოლამბუსი), მოდანო (დალასი), გლენროსი (კოლამბუსი), რიბეირო (დალასი), პაგმანი (დალასი).

ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ-ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ 3:1

1:0, 0:0, 2:1

გოლები: 1:0 ტელბოტი-6 (ლარაკი-3), 1:1 დოუნი-6 (რანტანენი-10, მორისი-4), 2:1 ლეტანენი-1 (ოლსბი-23, მალკინი-21), 3:1 ტ. კენედი-4 (ჯ. სტაალი-4, გ. რობერტსი-10).

ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ-ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ 2:3

1:1, 0:1, 1:1

გოლები: 0:1 მ. მიხალეკი-8 (ჩიჩუ-5, ჯ. ტორნტონი-19), 1:1 პეიდუკი-9 (კამისკი-4, სკრასტინსი-2), 1:2 ბერნიე-5 (ჯ. ტორნტონი-20, სემიონოვი-2), 1:3 გორი-4 (ტ. მიტჩელი-4, რიეე-10), 2:3 ბრუნეტი-5 (ბ. რიჩარდსონი-1).

Ლ. ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ-ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜᲘ 3:4 (ᲝᲗ)

1:0, 1:3, 1:0, 0:0

გოლები: 1:0 კოპიტარი-12 (დ. ბრაუნი-9, რ. ბლეიკი-7), 1:1 პიტკანენი-3 (ტორესი-5), 1:2 პენერი-6 (პიტკანენი-2, პოროფი-16), 2:2 დ. ბრაუნი-11 (კამალერი-9, კოპიტარი-12), 2:3 ტორესენი-1 (რ. ნილსონი-7), 3:3 ნადი-5 (დ. არმსტრონგი-11, რ. ბლეიკ-8).

ბულეტები გაიტანეს: სემ განიე (ედმონტონი).

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ

გასული კვირის სამივე საუკეთესო მოთამაშე მეკარე გახდა. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ვარსკვლავია „ვანკუვერ კანაქსის“ გოლკიპერი **რობერტო ლუონგო**, რომელმაც ზედიზედ სამი შთაუტი შეასრულა და მისი „მშრალი“ სერია 210 წუთსა და 34 წამს გაგრძელდა.

ლუონგო გასულ კვირას საკუთარ კარში 0.67 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 97.6 პროცენტს იგერიებდა.

მეორე ვარსკვლავის სტატუსი მიიღო „ნიუ ჯერსი დევილზის“ კარის დარაჯმა **მარტინ ბროდომ**, ვინც გასულ კვირას კარიერაში 94-ე შთაუტი მიითვალა და გაუთანაბრდა ყველა დროის სიაში მეორე ადგილზე მყოფ **ჯორჯ ჰეინსუორტს**. ახლა ბროდოს 10 „მშრალი“ მატჩი სჭირდება იმისთვის, რომ ლეგენდარული **ტერი სავჩუკის** ყველა დროის რეკორდი (103 შაითაუტი) გააუმჯობესოს.

რაც შეეხება მესამე ვარსკვლავის სტატუსს, ის „მინესოტა უაილდის“ მეკარე **ნიკლას ბექსტრიომს** ერგო, რომელიც გასულ კვირას საშაულოდ მატჩში 1.32 შაიბას უშვებდა.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

	თ	მ	ნ	ᲝᲜ	ქ
1. ᲝᲗᲐᲕᲐ*	25	16	7	2	34
2. ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ*	28	15	10	3	33
3. ᲠᲘᲘᲜᲯᲘᲡᲘ*	27	15	10	2	32
4. ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ	25	14	9	2	30
5. ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ	25	14	9	2	30
6. ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ	26	14	10	2	30
7. ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ	26	13	9	4	30
8. ᲐᲘᲚᲘᲜᲓᲘᲡᲘ	25	13	11	1	27
9. ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ	26	12	12	2	26
10. ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ	27	10	11	6	26
11. ᲑᲐᲤᲐᲚᲝ	24	12	11	1	25
12. ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ	26	12	13	1	25
13. ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐ	27	12	14	1	25
14. ᲢᲐᲛ�პᲐ ᲑᲘ	26	11	13	2	24
15. ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ	27	9	16	2	20

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

	თ	მ	ნ	ᲝᲜ	ქ
1. ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ*	26	18	6	2	38
2. ᲓᲐᲚᲐᲡᲘ*	28	15	9	4	34
3. ᲛᲘᲜᲘᲡᲝᲢᲐ*	26	15	9	2	32
4. ᲡᲢ. ᲚᲣᲘᲡᲘ	24	15	8	1	31
5. ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ	26	14	10	2	30
6. ᲩᲘᲙᲐ�გᲝ	26	14	10	2	30
7. ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ	25	13	8	4	30
8. ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ	26	14	11	1	29
9. ᲙᲝᲚᲐᲛᲑᲣᲡᲘ	27	12	10	5	29
10. ᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ	24	13	9	2	28
11. ᲐᲜᲐᲰᲔᲘᲛᲘ	28	12	12	4	28
12. ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜᲘ	28	13	14	1	27
13. ᲙᲐᲚ�გᲐᲠᲘ	27	10	13	4	24
14. ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ	25	11	14	0	22
15. ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ	26	10	14	2	22

* - დივიზიონის ლიდერი

ᲒᲝᲚᲘ-ᲞᲐᲡᲘ

ᲚᲔᲙᲐᲕᲐᲚᲘᲔ (ტ-ᲑᲝᲔ)	41 (18+23)
ᲙᲠᲝᲡᲑᲘ (ᲞᲘᲢ)	37 (14+33)
ᲙᲝᲕᲐᲚᲩᲣᲙᲘ (ᲐᲢᲚ)	37 (22+15)
ᲘᲒᲘᲜᲚᲐ (ᲙᲐᲜ)	36 (14+22)
ᲖᲔᲢᲔᲠᲑᲔᲠᲒᲘ (ᲓᲔᲢ)	35 (17+18)

ᲒᲝᲚᲘᲐᲚᲓᲝᲠᲔᲑᲘ

ᲙᲝᲕᲐᲚᲩᲣᲙᲘ (ᲐᲢᲚ)	22
ᲝᲕᲔᲩᲙᲘᲜᲘ (ᲕᲐᲨ)	20
ᲚᲔᲙᲐᲕᲐᲚᲘᲔ (ტ-ᲑᲝᲔ)	18
ᲐᲚᲤᲠᲔᲓᲡᲝᲜᲘ (ᲝᲗᲐ)	17
ᲖᲔᲢᲔᲠᲑᲔᲠᲒᲘ (ᲓᲔᲢ)	17

ᲐᲡᲘᲡᲢᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲡᲐᲕᲐᲠᲘ (ᲒᲝᲡ)	26
ᲙᲠᲝᲡᲑᲘ (ᲞᲘᲢ)	23
ᲡᲘᲜᲔᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ (ტ-ᲑᲝᲔ)	23
ᲚᲔᲙᲐᲕᲐᲚᲘᲔ (ტ-ᲑᲝᲔ)	23
ᲡᲞᲔᲪᲐ (ᲝᲗᲐ)	22

ᲓᲔᲕᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ. ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ

ᲫᲛᲔᲑᲘ ᲑᲚᲣᲖᲔᲑᲘ

ᲞᲝᲠᲢᲚᲔᲜᲓᲨᲘ გამართული დევისის თასის ფინალში, ამერიკის ნაკრებს გადამწყვეტი ქულა ძმები **ბობ** და **მაიკ ბრაიანების** დუეტმა მოუტანა. წლევანდელ ფინალში ამერიკის ფავორიტობაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყველანი დაძაბულ ბრძოლას ვარაუდობდნენ, რადგან ერთეულთა მატჩებში რუსები საკმაოდ ძლიერები არიან. სამაგიეროდ, გადამწყვეტი შეხვედრების წინ, ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ შაბათის წყვილთა თამაშში ამერიკელებს ერთი ქულა გარანტირებული ექნებოდათ.

2003 წლიდან მოყოლებული, ტყუპებმა დევისის თასზე 14 მატჩი ჩაატარეს და მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ - ორი წლის წინ, მათ ხორვატულ დუეტთან (**ანჩიჩი-ლუბიჩიჩი**) წააგეს.

ბრაიანები თითქმის არ თამაშობენ ერთეულთა თანრიგში და ამის გამო, მათ შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდით. დღეს გვინდა ეს საინფორმაციო ვაკუუმი ნანილობრივ ამოვავსოთ და მსოფლიოს საუკეთესო წყვილი უფრო ახლოს გავიცნოთ.

საინტერესოა, რომ ძმებში წარმატებულად არის შეხამებული მათი მშობლების ნიჭი. მამა **უეინი** ადვოკატი და მუსიკოსია, დედა **კეტი** - ყოფილი ჩოგბურთელი, რომელსაც ოთხჯერ უთამაშია უიმბლდონზე. მშობლებმა შვილებს ორი წლის ასაკიდან დააწყებინეს ჩოგბურთსა და მუსიკაში მეცადინეობა. მაგრამ უკვე ადრეულ ასაკში, უეინმა და კეტმა თავიანთ შვილებს აუკრძალეს ტურნირებში ერთმანეთის წინააღმდეგ თამაში. ძმები აგრეთვე კალათბურთითაც და მუსიკითაც იყვნენ გატაცებულნი. სახელგანთქმული „ძმები ბლუზების“ მაგალითზე, მათ ჩამოაყალიბეს ჯგუფი Bryan Brothers Band, რომელშიც ბობი კლავიშებზე უკრავდა, მაიკი კი, დასარტყმელ ინსტრუმენტებზე და გიტარაზე. მუსიკით გატაცება დღესაც გრძელდება. ბრაიანები მუსიკას წერენ ATP-ის პროექტის - Doubles Revolution-ის სარეკლამო კლიპისთვის, აგრეთვე პროგრამა Tennis Channel-სთვის. ისინი ხშირად ატარებენ კონცერტებს იმ ადგილებში, სადაც ტურნირებზე უწევთ გამოსვლა. განსაკუთრებით წარმატებული იყო მათი კონცერტი შარშან, შანხაიში წლის შემაჯამებელი ტურნირის დროს.

სხვათა შორის, მუსიკისადმი და კალათბურთისადმი სიყვარული ძმები ბრაიანებისთვის განსაკუთრებულ აზრს სწორედ პორტლენდის Memorial Coliseum-ში იძენდა, სადაც დევისის თასის ფინალი გაიმართა. ეს არენა სხვებისთვის შესაძლოა მხოლოდ „უაზრო შუშისა და ბეტონის ყუთს“ წარმოადგენს, მაგრამ კალათბურთის მოყვარულთათვის ეს არის ადგილი, სადაც ბრწყინავდნენ **სკოტი პინენი, დრაჟენ პეტროვიჩი, არვიდას საბონისი, კლაიდ დრექსლერი**... რაც შეეხება მუსიკას, „კოლიზეუმში“ გამართული კონცერტების სია კიდევ უფრო შთამბეჭდავად გამოიყურება: The Allman Brothers, The BeeGees, Crosby, Stills, Nash and Young, Grateful Dead, Jethro Tull, Jimi Hendrix, Led Zepelin... და რა თქმა უნდა, პორტლენდელთა უფროს თაობას კარგად ახსოვს 1965 წლის 22 აგვისტო, როცა „კოლიზეუმში“ ლეგენდარულმა The Beatles-მა იმღერა. იმ კონცერტის ბილეთებს დღესაც ინახავენ. სხვათა შორის, მაშინ ლივერპულური ოთხეულის ცოცხლად ხილვა სულ რაღაც 5 დოლარი ღირდა, დევისის თასზე კი, ბილეთის ფასი 600 დოლარამდე ადიოდა.

ასე რომ, რუსებს შანსი არ ჰქონდათ ბრაიანების წინააღმდეგ. როცა პარასკევის ორი მატჩის შემდეგ ამერიკა 2:0 დაწინაურდა, ცხადი იყო, რომ **პატრიკ მაკინროის** ნაკრებს ჯიბეში ედო თავისი არსებობის ისტორიაში 32-ე ტიტული.

ᲓᲔᲕᲘᲡᲘᲡ	ᲗᲐᲡᲘ	ᲤᲘᲜᲐᲚᲘ
1900	ᲐᲨᲨ*-ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ	3:0
1902	ᲐᲨᲨ*-ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ	3:2
1903	ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ-ᲐᲨᲨ*	4:1
1904	ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ*-ᲑᲔᲚ�გᲘᲐ	5:0
1905	ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ*ᲐᲨᲨ	5:0
1906	ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ*-ᲐᲨᲨ	5:0
1907	ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ-ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ*	3:2
1908	ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ*-ᲐᲨᲨ	3:2
1909	ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ*-ᲐᲨᲨ	5:0
1911	ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ*-ᲐᲨᲨ (6)	4:0
1912	ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ-ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ*	3:2
1913	ᲐᲨᲨ-ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ*	3:2
1914	ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ-ᲐᲨᲨ*	3:2
1919	ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ*-ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ	4:1
1920	ᲐᲨᲨ-ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ*	5:0
1921	ᲐᲨᲨ*-ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲐ	5:0
1922	ᲐᲨᲨ*-ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ	4:1
1923	ᲐᲨᲨ-ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ	4:1
1924	ᲐᲨᲨ*-ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ	5:0
1925	ᲐᲨᲨ*-ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ	5:0
1926	ᲐᲨᲨ*-ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ	4:1
1927	ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ-ᲐᲨᲨ*	3:2
1928	ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ*-ᲐᲨᲨ	4:1
1929	ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ*-ᲐᲨᲨ	3:2
1930	ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ*-ᲐᲨᲨ	4:1
1931	ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ*-ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ	3:2
1932	ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ*-ᲐᲨᲨ	3:2
1933	ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ-ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ*	3:2
1934	ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ*-ᲐᲨᲨ	4:1
1935	ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ*-ᲐᲨᲨ	5:0
1936	ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ*-ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ	3:2
1937	ᲐᲨᲨ-ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ*	4:1
1938	ᲐᲨᲨ*-ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ	3:2
1939	ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ-ᲐᲨᲨ*	3:2
1946	ᲐᲨᲨ-ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ*	5:0
1947	ᲐᲨᲨ*-ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ	4:1
1948	ᲐᲨᲨ*-ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ	5:0
1949	ᲐᲨᲨ*-ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ	4:1
1950	ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ-ᲐᲨᲨ*	4:1
1951	ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ*-ᲐᲨᲨ	3:2
1952	ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ*-ᲐᲨᲨ	4:1
1953	ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ*-ᲐᲨᲨ	3:2
1954	ᲐᲨᲨ-ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ*	3:2
1955	ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ-ᲐᲨᲨ*	5:0
1956	ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ*-ᲐᲨᲨ	5:0
1957	ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ*-ᲐᲨᲨ	3:2
1958	ᲐᲨᲨ-ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ*	3:2
1959	ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ-ᲐᲨᲨ*	3:2
1960	ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ*-ᲘᲢᲐᲚᲘᲐ	4:1
1961	ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ*-ᲘᲢᲐᲚᲘᲐ	5:0
1962	ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ*-ᲒᲔᲓᲜᲘᲙᲐ	5:0
1963	ᲐᲨᲨ-ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ*	3:2
1964	ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ-ᲐᲨᲨ*	3:2
1965	ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ*-ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ	4:1
1966	ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ*-ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ	4:1
1967	ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ*-ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ	4:1
1968	ᲐᲨᲨ-ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ*	4:1
1969	ᲐᲨᲨ*-ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ	5:0
1970	ᲐᲨᲨ*-ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ	5:0
1971	ᲐᲨᲨ*-ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ	3:2
1972	ᲐᲨᲨ-ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ*	3:2
1973	ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ-ᲐᲨᲨ*	5:0
1974	Ს. ᲐᲤᲠᲘᲙᲐ-ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲣᲐᲠᲘ	
1975	ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ*-ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ	3:2
1976	ᲘᲢᲐᲚᲘᲐ-ᲩᲘᲚᲔ*	4:1
1977	ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ*-ᲘᲢᲐᲚᲘᲐ	3:1
1978	ᲐᲨᲨ*-ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ	4:1
1979	ᲐᲨᲨ*-ᲘᲢᲐᲚᲘᲐ	5:0
1980	ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ*-ᲘᲢᲐᲚᲘᲐ	4:1
1981	ᲐᲨᲨ*-ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ	3:1
1982	ᲐᲨᲨ-ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ*	4:1
1983	ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ*-ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ	3:2
1984	ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ*-ᲐᲨᲨ	4:1
1985	ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ-ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ*	3:2
1986	ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ*-ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ	3:2
1987	ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ*-ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ	5:0
1988	ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ-ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ*	4:1
1989	ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ*-ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ	4:1
1990	ᲐᲨᲨ*-ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ	3:2
1991	ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ*-ᲐᲨᲨ	3:2
1992	ᲐᲨᲨ*-ᲨᲕᲘᲪᲐᲠᲘᲐ	3:1
1993	ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ*-ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ	4:1
1994	ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ-ᲠᲣᲡᲔᲗᲘ*	4:1
1995	ᲐᲨᲨ-ᲠᲣᲡᲔᲗᲘ	3:2
1996	ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ-ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ*	3:2
1997	ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ*-ᲐᲨᲨ	5:0
1998	ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ-ᲘᲢᲐᲚᲘᲐ*	4:1
1999	ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ-ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ*	3:2
2000	ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ*-ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ	3:1
2001	ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ-ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ*	3:2
2002	ᲠᲣᲡᲔᲗᲘ-ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ*	3:2
2003	ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ*-ᲔᲡᲪᲐᲜᲔᲗᲘ	3:1
2004	ᲔᲡᲪᲐᲜᲔᲗᲘ*-ᲐᲨᲨ	3:2
2005	ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ-ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲗᲘ*	3:2
2006	ᲠᲣᲡᲔᲗᲘ* -ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ	3:2
2007	ᲐᲨᲨ*-ᲠᲣᲡᲔᲗᲘ	4:1

** - მასპინძელი*

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ: 32 - აშშ; 28 - ავსტრალია; 9 - ბრიტანეთი, საფრანგეთი; 7 - შვედეთი; 3 - გერმანია; 2 - ესპანეთი, რუსეთი; 1 - იტალია, ჩეხოსლოვაკია, ს. აფრიკა, ხორვატია.

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ
ᲞᲐᲐᲢᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ
ᲒᲘᲐ ᲗᲕᲚᲐᲒᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ
ᲞᲐᲐᲢᲐ ᲗᲝᲗᲗᲐᲫᲔ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲪᲐᲒᲐᲫᲔ
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲐᲜᲔᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲘᲐ ᲢᲣᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲘᲠᲐᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ
ᲕᲐᲫᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲖᲕᲘᲐᲓ ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲙᲝᲒᲐ ᲮᲐᲢᲘᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲑᲔᲡᲘᲙ ᲯᲐᲜᲒᲐᲕᲐᲫᲔ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
ᲨᲐᲚᲕᲐ ᲒᲘᲖᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲝᲩᲐ ᲨᲘᲠᲘᲚᲐᲫᲔ
ᲘᲚᲘᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲔ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ:
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲝᲮᲠᲔᲘᲫᲔ, ᲕᲐᲡᲘᲚ ᲑᲐᲚᲐᲮᲐᲫᲔ, ᲛᲔᲠᲐᲑ ᲑᲠᲙᲔᲚᲘᲫᲔ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲓᲐᲠᲪᲛᲔᲚᲘᲫᲔ, ᲜᲘᲙᲝ ᲕᲐᲧᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲤᲝᲢᲝ
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲝᲢᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲡᲣᲠᲐᲫᲔ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲐᲨᲘ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲐᲙᲘᲛᲝᲕᲐ, ᲛᲖᲘᲐ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲙᲝᲑᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲣᲠᲐ
ᲚᲔᲚᲐ ᲮᲝᲛᲐᲡᲣᲠᲘᲫᲔ
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲘᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲛᲠᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ (დირექტორის მოადგილე), ᲒᲘᲕᲘ ᲗᲔᲗᲨᲐᲕᲘᲫᲔ, ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲓᲘᲓᲑᲐᲠᲘᲫᲔ

ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜ�გᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ
ᲗᲐᲛᲐᲠ ᲯᲘᲛᲘᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘ (ტ: 46 34 48)
ᲑᲐᲫᲐᲠ ᲑᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934